საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული
ენის თესაურუსის კომიტეტი

ნინო მაქაძე

იუსტინე აბულაძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა

Iustine Abuladze's Life and Scientific Activities

თბილისი
2019

წინამდებარე გამოცემა ეძღვნება ქართული ირანისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ირანული ფილოლოგიის კათედრის დამაარსებლის, ცნობილი რუსთველოლოგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. იუსტინე აბულაძის დაბადებიდან 145-ე წლისთავს.

წიგნი მოიცავს როგორც მეცნიერის ბიოგრაფიას, დაფუძნებულს საარქივო მასალებზე, ასევე მის ფართო და მრავალფეროვან საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად ასპექტებს.

წიგნს ერთვის მეცნიერის არქივში დაცული რამდენიმე წერილი, რომლებიც გვამცნობს იუსტ. აბულაძის საქმიან ურთიერთობას კოლეგებთან, აგრეთვე – მეცნიერის შევსებული ბიბლიოგრაფია და ფოტოსურათები.

რედაქტორი - აკად. ავთანდილ არაბული

რეცენზენტი - ფილოლოგიის დოქტორი - ზურაბ ბარათაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა - პაატა ქორქია

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ნინო მაქაძე, 2019

ISBN 978-9941-8-1796-0

1. ბიოგრაფიული ეტიუდი

2015 წლის 18 ნოემბერს, გარდაცვალებიდან ორმოცდაცამეტი წლის შემდეგ, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გადმოსვენებულ იქნა ქართული ირანისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ირანული ფილოლოგიის კათედრის დამაარსებლის, ცნობილი რუსთველოლოგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იუსტინე აბულაძის ნეშტი. ამით ქართულმა სამეცნიეო საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა და სათანადო პატივი მიაგო ამაგდარი მეცნიერის დამსახურებულ ღვაწლს და ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით დაუმკვიდრა აწ უკვე სამუდამო განსასვენებელი.

როდესაც ვეხებით იუსტინე აბულაძის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობას, სიტყვა „ცხოვრებაში“ ვგულისხმობთ არა მარტო მის გარეგან დინებას, მისი ცხოვრების, მისი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მშრალი ბიოგრაფიული და გეოგრაფიული საზღვრების ქრონოლოგიას, არამედ მის შინაგან სვლას, იმ იდეურ ამოცანებს, რომელთაც მეცნიერი თავის წინაშე სვამდა, მოვლენათა იმ ურთიერთკავშირსა და განვითარებას, რასაც ხშირად „სულის ბიოგრაფიას“, ან „სულიერ ბიოგრაფიას“ უწოდებენ.

ამიტომ ბიოგრაფიულსა და საარქივო მასალებზე მუშაობის პროცესში ჩვენ ძირითადად ყურადღებას ვამახვილებთ იუსტ. აბულაძის ბიოგრაფიის იმ ასპექტებზე, რომლებ-

მაც ძირეული გარდატეხა მოახდინეს მის შემდგომ ცხოვრებაზე, იმთავითვე განსაზღვრეს მისი მეცნიერული ინტერესების სფერო, ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა მეცნიერის თვალსაწიერის გაფართოებას, და იმ მასალაზე, რომელთა საშუალებითაც ნათლად იკვეთება მეცნიერის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, სულიერი სახე[1].

---

[1] გამოყენებულია: 1. იუსტინე აბულაძის პირადი საარქივო მასალები, რომელიც დაცული იყო თბილისში, მეცნიერის ბინაზე – 26 კომისრების რაიონი, წურწუმიას ქ. № 29/11; 2. იუსტ. აბულაძის პირადი საქმე №308, თბ. სახ. უნივერსიტეტის არქივი; 3. დ. კობიძე, იუსტ. აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. – თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1964, გვ. 11-21 (ტომი მიძღვნილია პროფ. იუსტ. აბულაძის ხსოვნისადმი); 4. იოსებ მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 198-211; 5. ალ. გვახარია, იუსტ. აბულაძე (დაბადების 100 წლის შესრულების გამო). – თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 163, თბ., 1975; 6. დ. კობიძე, როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა (მეორე გამოცემა), თბ., 1977, გვ. 132-136; 7. კ. ფაღავა, პროფ. იუსტინე აბულაძე (დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულების გამო). – გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი", 1954, 24 აპრილი, № 16(77), გვ. 4; 8. ალ. ბარამიძე, ივ. ლოლაშვილი, ი. მეგრელიძე, ქართული ლიტერატურის სახელოვანი მკვლევარი. – „ლიტერატურული გაზეთი", 1962, 8 ივნისი, № 22(1296), გვ.3; 9. ნეკროლოგები: ა) Ю. И. Абуладзе (1874-1962), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „Народы Азии и Африки", მოსკოვი, 1963, № 1, გვ. 255-256; ბ) პროფ. იუსტ. აბულაძე, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1962, 11 ივლისი, № 21(1374), ხელს აწერენ: პროფ. დ. კობიძე, დოცენტები: კ. ფაღავა, მ. თოდუა, ა. გვახარია, ჯ. გიუნაშვილი; გ) გაზ. „კომუნისტი", 1962, 7 ივნისი, № 132(12340), ხელს აწერენ პროფესორები: გ. ახვლედიანი,, გ. წერეთელი, ა. ბარამიძე, ს. ჯიქია, დ. კობიძე, ვ. გაბაშვილი, კ. წერეთელი, დოცენტები: ვ. ფუთურიძე, კ. ფაღავა, ლ. თუშიშვილი, ა. ლეკიაშვილი, გ. ფუთურიძე; დ) Г. Ахведиани, Выдающийся ученый–востоковед, „Вечерный Твилиси", 1962, 8 июня, № 134(2743); ე) Группа товагищей,

ქუთაისის მაზრაში შემავალ, ქვემო იმერეთის პატარა და ლამაზ სოფელ როკითში (იმჟამად – მაიაკოვსკის, ახლანდელი ბაღდათის რაიონი), რომელმაც ბევრი სახელოვანი მეცნიერი და ხელოვანი შესძინა ჩვენს ქვეყანას, 1874 წლის 18 აპრილს (ძველი სტილით 5 აპრილს), ყოფილი აზნაურის, ირაკლი

Ю. И. Авуладзе, „Заря Востока“, 7 июня, 1962, № 131(11451); ვ) ამხანაგების ჯგუფი, ი. ი. აბულაძე, გაზ. „თბილისი“, 1962, 6 ივნისი, № 132(2749); 10. გამოყენებულია აგრეთვე იუსტ. აბულაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შემდეგი წერილები: ა) დ. კობიძე, წარუშლელი კვალი (იუსტ. აბულაძის დაბადების 100 წლისთავის გამო), გაზ. „კომუნისტი“, 1975, 16 იანვარი, № 13, გვ. 4; ბ) დ. კობიძე, სახელოვანი მეცნიერი (პროფ. იუსტ. აბულაძის დაბადებიდან მე-100 წლისთავი), გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1974, 15 ნოემბერი, № 35(1015), გვ. 3; გ) პროფ. კ. ფაღავა, სახელოვანი მეცნიერი, გაზ. „სამშობლო“, № 1(1358), 1975 წლის იანვარი, გვ. 7; დ) Проф. К. Пагава, Незабываемое имя (к 100-летий со дня рождения Ю. И. Абуладзе), „Заря“ востока, 1975, 10 января, № 8(15072), ст. 2; ე) Проф. Дж. Гиунашвили, В служении науке, (к 100-летию со дня рождения профессора Юстина Ираклиевича Абуладзе), „Вечерный Тбилиси“, 1974, 23 декабря, № 298(9074), ст. 4; 11). კ. ფაღავა, ძიება 60 წლის მანძილზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, 17 მაისი, № 19(1604), გვ. 2. 12). გათვალისწინებულია აგრეთვე იუსტ. აბულაძის ქალიშვილის, აწ განსვენებული ალისა აბულაძის მიერ მოწოდებული ბიოგრაფიული ცნობები და მოგონებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალბატონმა ალისამ, თავის მხრივ, დიდი დახმარება გაგვიწია მეცნიერის ბინაზე დაცული არქივის მოძიებისა და შესწავლის საქმეში; 13) ნინო მაქაძე, გამოჩენილი რუსთველოლოგი (იუსტინე აბულაძის დაბადების 100 წლისთავის გამო). – „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 2, გვ. 189-192; 14. ნ. მაქაძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ (საარქივო მასალების მიხედვით). – „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 4, გვ 36-46; 15. ლ. ნუცუბიძე, გ. სამხარაძე, ლ. სანიკიძე, ე. უბილავა, ხანისწყლის პირას, 1973, გვ. 178-180; 16) „Сьезд тружеников по армяно-грузинской филологии в Тифлисе 1910 года“, Тиф., 1909, ст. 4.

გიორგის ძე აბულაძის ოჯახში, დაიბადა მომავალში ცნობილი მეცნიერი და მამულიშვილი იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე.

იუსტინე აბულაძის ბაბუა, როკითის მკვიდრი, გიორგი აბულაძე[2], შეძლებული ტახტის აზნაური ყოფილა. გიორგის ცოლად მასხარაშვილის ქალი ჰყოლია. მათ ზედიზედ ექვსი ქალიშვილი შესძენიათ. მოგვიანებით, უკვე ხანშიშესულ და იმედდაკარგულ მშობლებს ნანატრი ვაჟიშვილიც გასჩენიათ, რომლისთვისაც სახელად ირაკლი დაურქმევიათ. ბავშვი ფიზიკურად სუსტი, მაგრამ ლამაზი გარეგნობის ყოფილა. სილამაზე არც ორ უფროსს ქალიშვილს, ეკატერინესა (ეკაკი) და მარინეს, აკლდათ. როდესაც ირაკლი დაბადებულა, ორივე და გათხოვილი ყოფილა. ჯერ მარინე დაქორწინებულა ბეჟან გაბუნიაზე, რომელსაც ქუთაისში საკუთარი სახლი და, იქვე, პატარა სავაჭროც ჰქონია. შემდეგ უფროსი და, ეკატერინე, გაჰყოლია ცოლად სამხედრო პირს, ნიკოლოზ კახიანს. გიორგი აბულაძეს თავისი პირმშო, მშვენიერი ეკაკი, შორს წასასვლელად ვერ გაუმეტებია და იქვე, თავის კარმიდამოსთან ახლოს დაუსახლებია. მოგვიანებით ნიკოლოზ კახიანს მამისეულ სოფელ ეწერაში თავისი წილი მიწები გაუყიდია, სამაგიერო როკითში შეუძენია და საბოლოოდ იქვე დაფუძნებულა.

ირაკლის ორი და – ირინე და გაიანე, ირაკლიზე უფროსები, ხოლო ეკატერინესა და მარინეზე უმცროსები, ირაკლის

---

[2] აბულაძე მეტად გავრცელებული გვარია, მას საქართველოს მრავალ კუთხეში შეხვდებით, დაწყებული აჭარიდან (ხულოს რაიონი) თელავამდე. იმასაც ვარაუდობენ, რომ ეს გვარი მესხური წარმომავლობისაა.

გაჩენამდე 13 და 15 წლისანი გარდაცვლილან. მათზე უფროსი დები – სოფიო და ანეტა – ერთი ზემო იმერეთში, ორჯონიკიძეზე, ხოლო მეორე, გურიაში, გოგიბერიძეზე ყოფილან გათხოვილები. ალბათ აქედან აიხსნება ის დიდი სიყვარული და ახლო ნათესაური ურთიერთობა, რომელიც ირაკლი აბულაძეს ბავშობიდანვე აკავშირებდა თავისი უფროსი დების – ეკატერინესა და მარინეს ოჯახებთან. განსაკუთრებით მაინც ირაკლის მარინე და მისი მეუღლე ბეჟან გაბუნია ჰყვარებია. იქნებ იმიტომ, რომ გაბუნიებს შვილი არ ჰყოლიათ და საფიქრებელია, რომ თვით ირაკლის გაზრდაშიც მიუძღოდათ წვლილი (რადგან მარინე ბევრად უფროსი იყო ირაკლიზე), მაშინ როდესაც ეკატერინე თვითონ გახლდათ მრავალშვილიანი (6 თუ 7 შვილის) დედა. ბავშვობაც ირაკლის თავის ტოლ დისშვილებთან აქვს გატარებული, ამიტომ ბიძა და დისშვილები, როგორც ერთი ოჯახის წევრები, ისე იზრდებოდნენ ერთად.

ირაკლი აბულაძე მშვიდი ხასიათისა და გამორჩევით ლამაზი კაცი ყოფილა. სრულიად ახალგაზრდა მოჰკიდებია ოჯახს. მას ცოლად შეურთავს თერჯოლელი პელაგია ფირალის ასული მხეიძის ქალი, რომელიც სიცოცხლით სავსე, პატარა ტანის, მკვირცხლი, კეთილი და ტკბილმოუბარი ყოფილა. ირაკლი აბულაძის სტუმართმოყვარე ოჯახს კარგად უძღვებოდა ეს გამრჯე ქალი. იუსტინე აბულაძის მშობლების საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო.

ირაკლი აბულაძესა და პელაგია მხეიძეს ორი შვილი ზედიზედ, მცირეწლოვანი გარდაცვლიათ, ამიტომ, მაშინდელი წესისა და ჩვევის თანახმად, მომდევნო შვილები, ალექსანდრე (სანდრო) და ელისაბედი (ლიზა) გასაზრდელად ირაკლი აბულაძემ თავის საყვარელ უშვილო დას, მარინეს,

მიანდო. ასე იმიტომ მოქცეულან, რომ მათთვის უსწავლებიათ, თუ გინდათ შვილი შეგრჩეთ, დაბადებისთანავე გაასაჩუქრეთო. ამის შემდეგ ირაკლი აბულაძის მომდევნო შვილებსაც არ მოჰკლებიათ მამიდის მზრუნველობა. მასვე უკისრია იუსტინესა და გიორგის აღზრდაც.

მარინე აბულაძეს რაიმე სპეციალური განათლება არ ჰქონია მიღებული, მაგრამ იმ დროისათვის საკმაოდ განათლებულ ქალებად ითვლებოდენ როგორც მარინე, ისე მისი უფროსი და, ეკატერინე. წერა-კითხვაც პატარა იუსტინეს სწორედ მარინემ შეასწავლა (და არა დედამ, როგორც ამას სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილ მეცნიერის ბიოგრაფიულ ცნობებში ვხვდებით, და რაც იუსტინე აბულაძის ქალიშვილის, ალისა აბულაძის, გადმოცემით არის დადასტურებული), რადგან პელაგია სულ მუდამ საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული და მრავალრიცხოვან, სტუმართმოყვარე ოჯახს სათანადო მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. პატარა იუსტინეს ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ქართული ლიტერატურისადმი სიყვარული, მან ჯერ კიდევ სრულიად პატარამ ზეპირად იცოდა ბევრი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“, გატაცებული ყოფილა დავით გურამიშილის თხზულებებით, „ყარამანიანით“, „როსტომიანით“ და უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებული შესულა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

როდესაც ირაკლი აბულაძის შვილები – ალექსანდრე (სანდრო), იუსტინე და გიორგი წამოიზარდნენ და ქუთაისის გიმნაზიაში დაიწყეს სიარული, სამივე მამიდა მარინესთან ცხოვრობდა. ბავშვები ზამთარს ქუთაისში, ხოლო ზაფხულს როკითში ატარებდნენ. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები ძირითადად უფროსი მამიდის, ეკატერინე აბულაძე-კახიანის მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ.

ამდენად, ირაკლი აბულაძის მრავალშვილიან ოჯახს, რომელსაც 8 შვილიდან 6 შერჩენია: ალექსანდრე, ელისაბედი, იუსტინე, გიორგი, ბესარიონი (ბაჭუა) და ფუცა, დიდ დახმარებასა და თანადგომას უწევდა ორივე მამიდა.

თავად პელაგიას მხოლოდ უმცროსი ვაჟი ბესარიონი გაუზრდია, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგვანებია დედას. ეს შვილი პელაგიას განსაკუთრებულად, გამორჩევით ჰყვარებია და ამით აიხსნება უთუოდ ისიც, რომ მას მხედველობა სამუდამოდ დაჰკარგვია სწორედ იმ წუთს, როდესაც ბესარიონის ჯარში გაწვევის უწყება მიუღია. თავის დროზე ახლობლებსა და შვილებს არ დაუკლიათ მისთვის მზრუნველობა, მაგრამ მკურნალობას შედეგი არ მოჰყოლია.

იუსტინე აბულაძე ერთგან აღნიშნავს, რომ მამამისი გარდაიცვალა ოქტომბრის რევოლუციამდე 4 წლით ადრე, ე.ი. 1913 წელს, დედა კი – ოქტომბრის რევოლუციის მე-5 წელს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ე. ი. 1921 წელს, ხოლო იუსტ. აბულაძის ქალიშვილის, ალისა აბულაძის მტკიცებით – 1925 წელს.

როგორც ითქვა სწავლა-განათლების მიღება იუსტ. აბულაძეს 1882 წლიდან დაუწყია ქუთაისში, ჯერ – კერძოდ, დაწყებით სკოლაში, ხოლო 1886 წლიდან – ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

გიმნაზიაში პატარა იუსტინე კარგად დაუფლებია ბერძნულსა და ლათინურ ენებს, ამიტომაც ქუთაისის გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს ალექსანდრე სტოიანოვს მიუჩენია პატარა იუსტინე ლათინური ენის მასწავლებლად მომავალი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ერთ-ერთი დისათვის, რომელსაც დახმარება ესაჭიროებოდა ამ ენაში (ვლადიმერ მაიაკოვსკის ორი და სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ

გიმნაზიაში – ლუდმილა და ოლია). იუსტინეც თურმე ყოველ შაბათს დადიოდა დაბა ბაღდათში, მაიაკოვსკების ოჯახში და პირნათლად ასრულებდა მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას. მოგვიანებით, იუსტინე აბულაძე სიამოვნებით იგონებდა პატარა ვალოდიას ბავშობას, რომლის ნიჭითა და გონიერებით განცვიფრებული ყოფილა.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-8 კლასში მყოფი იუსტინე აბულაძე მიზნად ისახავს ცნობილი აღმოსავლური ძეგლების – „ვისრამიანისა“ და „როსტომიანის“ გვერდით შეისწავლოს მისთვის უსაყვარლესი ეროვნული ძეგლი – „ვეფხისტყაოსანი“.

ამავე გიმნაზიაში თავის დროზე სწავლობდა აკად. ნიკო მარი, რომლის შესახებაც ჭაბუკ გიმნაზიელს ბევრი კარგი ჰქონია გაგონილი. ეს გარემოება, თავის მხრივ, აბედვინებს სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას მოკრძალებული წერილი მისწეროს იმჟამად უკვე სახელმოხვეჭილ მეცნიერს, რომელშიც სთხოვს, გააცნოს მას პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განყოფილების პროგრამის შინაარსი და უზიარებს თავის მიზნებს.

ათი დღის შემდეგ გიმნაზიელი ჭაბუკი ნიკო მარისაგან იღებს მეტად საინტერესო და ამომწურავი პასუხის შემცველ წერილს:[3]

„... შემომსვლელმა უნდა იცოდეს, როგორც დამხმარე საშუალება ზედმიწევნით, როგორც რუსული, ისე ყველა მთავარი

[3] წერილი მოგვყავს უცვლელად იუსტ. აბულაძის გამოუქვეყნებელი მოგონებებიდან ნ. მარზე, რომელიც დაცული იყო მის პირად არქივში, მეცნიერის ბინაზე.

ევროპული ენები, რასაც ქუთაისის გიმნაზია, რამდენადაც მე მას ვიცნობ, არ იძლევა.

საერთოდ ვერ ვბედავ გაგიადვილოთ საქმე და დაგაიმედოთ, პირიქით, ვგონებ, უფრო სიკეთეს მოგიტანთ, თუ გულახდით გეტყვით, რომ თქვენთვის დიდი შრომაა საჭირო, რომ სავსებით დასძლიოთ პროგრამის მინიმუმიც კი ხსენებულ დარგში. თუმცა ყველაზე მეტად საჭიროა თქვენთვის ამგვარი მიზნის მისაღწევად საგნის განსაკუთრებული სიყვარული და შრომის სათანადო უნარიც.

აქ უკვე არის ჩემთან ხსენებულ დარგში ერთი მსმენელი, რომელიც თამამად აკმაყოფილებს ყველა დასახულ მოთხოვნებს,[4] მაგრამ ასეთი მსმენელი არა მგონია გამოვიდეს ქუთაისის გიმნაზიიდან.

რაც შეეხება თქვენს მისწრაფებას, შეისწავლოთ „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“, ამაზე უნდა გიპასუხოთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“, თუ თქვენ ამას ეცდებით, ისინი მეც თქვენთან უნდა შევისწავლო, რადგან ამ მხრით ჯერ არაფერი გაკეთებულა, გარდა იმისა, რაც თქვენც, ალბათ, იცით. მაგრამ ერთი დამავიწყდა, რაც, მე მგონია, არა ნაკლებ უმნიშვნელო იქნება თქვენთვის, რომ იცოდეთ.

თუ თქვენ გსურთ ხსენებულ დარგში ცოდნის მოხვეჭა ცხოვრების სახსრის მოპოვების მიზნით, მაშინ, ჩემი მხრით, დანაშაულობა იქნება გირჩიოთ ასეთი გზა, რადგან კარიერისათვის იგი არ გამოგადგებათ, პირიქით, ვშიშობ, რომ ასეთი ცოდნა, რა სამსახურშიც არ უნდა იქნეთ, ძნელგამოსაცნობად და ბუნდოვნად იქნება მიჩნეული, მაგრამ თუ თქვენ გინდათ, ემსახუროთ მეცნიერების უმაღლეს მიზანს, გსურთ იდგეთ თვითგამორკვეულობის გზაზე და ამისთვის კი ზნეობრივი და გონებრივი ძალა შეგწევთ, მაშინ ვბედავ მოგიწონოთ თქვენი განზრახვა.

თქვენი პატივისმცემელი პრივატ-დოცენტი ნ. მარი“

---

[4] აქ იგულისხმება ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თბილისის გიმნაზია დაასრულა 1895 წელს.

აქედან გაიბა ის უხილავი ძაფი ამ ორ პიროვნებას შორის, რომელიც მოგვიანებით ერთმანეთის ღრმა პატივისცემაში, საქმიან დამოკიდებულებასა და თბილ ადამიანურ ურთიერთობაში გადაიზარდა ...

ამ მიმოწერის შემდეგ გადის ორი თვე, 1896 წელს იუსტინე აბულაძე ასრულებს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის სრულ კურსს, სამი თვის შემდეგ კი მიემგზავრება პეტერბურგს და ეწერება უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განყოფილებაზე. ეს ფაკულტეტი იმ დროისათვის წარმოადგენდა მსოფლიო მნიშვნელობის ორიენტალისტურ ცენტრს. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები: ვიქტორ როზენი, კარლ ზალემანი, ვასილ ბარტოლდი, ნიკო მარი, პროფესორები: ვალენტინ ჟუკოვსკი, ალექსანდრე ცაგარელი და სხვ. დაძაბულ სასწავლო-სამეცნიერო ატმოსფეროსთან ერთად აქ სუფევდა საქმიანი და მეგობრული კეთილგანწყობა ლექტორებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებისადმი მზრუნველობაზე მეტყველებს იუსტინე აბულაძის ერთი ნაწყვეტი მოგონებიდან ნიკო მარზე.

...ახალგაზრდა სტუდენტის, იუსტინე აბულაძის გაოცებას საზღვარი არ ჰქონია, როდესაც უამრავი საქმით დაკავებული მეცნიერი ერთხელ, გვიან ღამით, ბინაზე სწვევია მას. საუბრის დროს ნიკო მარს აღუნიშნავს, რომ თავისი ცოლისძმის, პროფ. ვალენტინ ჟუკოვსკისგან შეიტყო იუსტ. აბულაძის წარმატებების შესახებ სპარსულ ენაში და, ამდენად, უკვე შეიძლებოდა სპარსული „ვისრამიანის“ ტექსტზე მუშაობის დაწყება. აქვე ნ. მარს კმაყოფილება გამოუთქვამს

იუსტ. აბულაძის მიერ კლასიკური სომხური ენის სათანადოდ დაუფლების გამო. იუსტინე აბულაძეს ამაზე ასე უპასუხია: „ვეცდები, რაც ძალი და ღონე შემწევს, გავამართლო თქვენი ასეთი იშვიათი ყურადღება თქვენი მოწაფისადმი.“

ნიკო მართან შეხვედრის პირველ შთაბეჭდილებას კი პეტერბურგის უნივერსიტეტში ასე გადმოგვცემს იუსტ. აბულაძე თავის მოგონებებში ნ. მარზე:

„ ... სწავლის დაწყების დრო თუმცა იყო, მაგრამ ნ. მარი ჯერ არ ჩამოსულიყო პეტერბურგში, რადგან სამარაში იყო წასული კურორტზე დაღლილობის და დაავადების წინააღმდეგ სამკურნალოდ. მეორე დღეს უნივერსიტეტში რომ მივედი 11-2 (იგულისხმება საათი – ნ. მ.), ვნახე, რომ უკვე დანიშნული იყო მისი ლექციები სომხურ ენაში, და მეც ვუცდიდი აუდიტორიაში. მალე დავინახე კიბიდან მძიმედ ამოდიოდა შავ-შავი გრუზა თმით, შრომით დამაშვრალი და სიცოცხლით სავსე, გულახდილობის და სიმართლის გამომეტყველი სახის პიროვნება. ეს იყო პირველი ჩემი ნახვა ადამიანის, რომელიც ყველა მის მოწაფეში იწვევდა უღრმეს პატივისცემას და მოკრძალებას მისადმი. ჩემთან ერთად აუდიტორიაში იჯდა ერთი სტამბოლელი სომეხი, რომელმაც ქართული არ იცოდა, გვარი მისი აღარ მახსოვს.

ნიკო მარრს აუდიტორიაში შემოსვლისთანავე დაავადებული სახე ერთბაშად გამოეცვალა, და მოგვიახლოვდა რა, მხიარულად ჩამოგვართვა ხელი ისეთი მოღიმარი სახით, თითქო დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო ჩვენი.

გამოგვკითხა ამბავი ჩვენი დასახული მიზნის შესახებ, გვარები კი არ უკითხავს, თუმცა, ეტყობოდა, მიხვდა, ვინ რომელი ეროვნების ვიყავით და დაუწყო სომეხს თითქო ჩემ გასაგონადაც ლაპარაკი: «თქვენ შემოდით ჩვენს ფაკულტეტზე, ეს კარგია, მაგრამ იცოდეთ, თუ რა ძნელია, საჭიროა განსაკუთრებული მოთმინება და შრომის უნარი, უამისოდ არ ღირს აქ შემოსვლა, მართალია,

ფაკულტეტი კია, მაგრამ ფაკულტატური აქ თითქმის არაფერია. ცხოვრების სახსარი კი აუცილებლად საჭიროა» ...“[5]

როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, გიმნაზიელისადმი მიწერილ წერილში ნ. მარი უწონებდა ჭაბუკ იუსტ. აბულაძეს თავის მიზანდასახულობას და სათანადო დახმარებასაც აღუთქვამდა ორი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის – „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და კვლევა-ძიების საქმეში. ნიკო მარს არც შემდგომ გადაუხვევია დანაპირებისათვის და თავისი მზრუნველობა არ მოუკლია მომავალი მკვლევრისათვის როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ისე შემდეგაც. მისი ნამოწაფარის მეცნიერული მიღწევები ყოველთვის ჭეშმარიტად ახარებდა დიდ მეცნიერს, რასაც, თავის მხრივ, სათანადოდ ეხმაურებოდა კიდეც. როგორც ცნობილია, შემდგომში იუსტ. აბულაძე

---

[5] საერთოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ იუსტ. აბულაძის მოგონებები ნ. მარზე გამთბარია დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემის გრძნობით თავისი პირველი ლექტორის მიმართ. მოგონებების ერთი ნაწილი ეხება პირადად ნ. მარის პიროვნებას, ხოლო ნაწილი – ნ. მარს, როგორც მასწავლებელს. ვინაიდან ეს უკანასკნელი უშუალო კავშირში იმყოფება თვით იუსტ. აბულაძის ბიოგრაფიასთან, ამიტომ აქ მარტო ამ ნაწილის მოყვანით შემოვიფარგლეთ. სამწუხაროდ, ეს საინტერესო მოგონებები ნ. მარზე სრული არ არის. როგორც ჩანს, მეცნიერი აპირებდა მის სისტემაში მოყვანასა და გამოქვეყნებას, მაგრამ არ დასცალდა. ჩვენი ვარაუდით, ეს მოგონებები და კიდევ ერთი წერილი ნ. მარზე (ასევე ნაკლული), რომელიც უფრო ნეკროლოგის ხასიათს ატარებს, იუსტ. აბულაძეს უნდა დაეწერა ნ. მარის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან არცთუ იშვიათად ადამიანს უჩდება დაუოკებელი სურვილი ძვირფას ადამიანთა ხსოვნის უკვდავყოფისა, მისი გაცოცხლება მოგონებებში და ქაღალდზე გადატანა, რაც, ალბათ, თავის თავთან შინაგანი მონოლოგისა თუ სულის აღსარების ხასიათს ატარებს.

ხშირად იზიარებდა მისი მასწავლებლის შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ არასოდეს ბრმად არ ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ, უფრო მეტიც, რიგ კერძო საკითხებში დამოუკიდებელ და რადიკალურად განსხვავებულ აზრებს ავითარებდა, რაც მათ ურთიერთობას იოტის ოდენადაც არ აყენებდა ჩრდილს.

სიცოცხლის ბოლომდე იუსტ. აბულაძის სამუშაო კაბინეტს ამშვენებდა სურათი მასწავლებლისა, რომლის წინაშეც ის ყოველთვის ანგარიშვალდებულად თვლიდა თავს. თბილ, ადამიანურ დამოკიდებულებაზე, ურთიერთპატივისცემასა და საქმიან ურთიერთობაზე ამ ორ პიროვნებას შორის, რომელიც არ შეწყვეტილა იუსტ. აბულაძის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც, მეტყველებს არქივში მიკვლეული ორი საქმიანი წერილიც:[6]

„ძმაო იუსტინე !

თქვენმა წერილმა სულზე მომისწრო, გარნისს მივეშურები, და რომ ცოტა დაგვიანებულიყო, ერთ თვემდე პასუხს ვერ მოვასწრებდი.

წიგნი ახლა ჩამოსრული უნდა იყოს, დავეკითხე ტელეგრამით და მიპასუხეს, ივნისის დამლევს გავგზავნეთო.[7]

---

[6] იხ. აგრეთვე: ი. მეგრელიძე, ნიკო მარისადმი გაგზავნილი იუსტინე აბულაძის შვიდი ბარათი. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 241, 1983, გვ. 159-171; ასეთი პირადი წერილების ნაწილი დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილებაში (აკად. ნ. მარის ფონდი, 800, გვ. 1487, ფურცლები 1-9).

[7] სამწუხაროდ, არ ვიცით, რომელ წიგნზეა აქ ლაპარაკი.

სვანეთში აგვ. ოც რიცხვში ვაპირებ. ხანა სიცივის იქნება, მაგრამ ამდენ წვის შემდეგ რამოდენიმე ყინვაც საჭიროა, თოვლი ვერ შემაწუხებს, რადგან იქ სიძველეთ აღარ ვეძებ, მარტო ენაზე ვიქნები მიჩენილი.

ქუთაისში დაახლოებით 22 ან 23 აგვისტოს ვიქნები, იქითობას არც თბილისში, არც ქუთაისში არ შევჩერდები ერთ წუთსაც, თუ ცხენები ვიშოვე ქუთაისში, რადგან დრო ცოტა მაქვს, სულ ერთი თვე სვანეთისთვის, ხოლო საქმე ბევრი.

თქვენთან ერთი თხოვნა. გელათის მხატვრობათაგან (ძველი ქართული მხატვრობა) დაგვჭირდა ერთი სურათი ტიგრან ჰონენცის ქართულ (ქალკედ.) ეკლესიის მხატვრობასთან შესადარებლად. თუ ახლავე იშოვება ვინმე ფოტოგრაფთაგანი, გელათს გაემგზავროს და ქვემორე ჩვენებული გვერდი სურათით გადმოგვიღოს ფოტოგრ. დიდ თაბაღზე (18 x 24), ხარჯს ვკისრულობ და ერთი სურათის ღირებულება გადამახდევინოს. საჩქარო მაინც და მაინც არ არის, მაგრამ იქნებ უფრო ადვილად მოაწყოთ ეს საქმე და მიტომ მოგმართავ. ქუთაისში ბევრი ნაცნობები გეყოლებათ. ძნელი ის არის, რომ გვერდი არ ვიცით აქ ხელნაწერის. ცნობილია, თვით განთქმული გელათის სახარებაში ჯოჯოხეთის სურათი, მისი გადმოღებაა საჭირო, ფოტოგრაფმა უნდა გადაათვალიეროს ეს ჩინებული ხელნაწერი და მიაგნოს. შესძლებს განა რომელიმე ქუთაისელი ფოტოგრაფი? თუ ახლავე მოეწყო, დაბეჭდილი ორი პირი ან თვით ნეგატივი გამოაგზავნიეთ შემდეგი ადრესით დაზღვეულ: г. Александрополь (მცხ. უბ.) Никите Егоровичу Халатову для передачи проф. Н. Я. Марру. თუ არა, იქნებ შემდეგში მოეწყოს. მე აქ დავბრუნდები არა უადრეს ხუთ მარიამობისთვისა.

თქვენი პატივისმცემელი ნ. მარრი.“

წერილი არ არის დათარიღებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის უნდა განეკუთვნებოდეს 1910-11 წლებს.[8] როგორც ცნობილია, სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა გარნისის გათხრები. გათხრები გარნისის მიდამოებში დაწყებულა 1910 წლის ზაფხულში, ანისის გათხრების შემდეგ. სვანეთში ნ. მარი პირველად გამგზავრებულა 1911 წლის ზაფხულში, იმ მიზნით, რომ შეესწავლა და განემტკიცებინა თავისი მოსაზრებები სვანური ენის სემიტურ ენებთან ნათესაური კავშირის შესახებ.[9]

ნიკო მარის მეორე წერილი ძირითადად ეხება სომხურ-ქართული ფილოლოგიის მკვლევართა ყრილობის მასალებს. ეს ყრილობა ნ. მარის ინიციატივით უნდა შემდგარიყო 1910 წელს თბილისში. ყრილობის მომწყობი კომიტეტის ერთ-ერთი წევრთაგანი იყო იუსტინე აბულაძეც. ყრილობა, თავის მხრივ, ითვალისწინებდა კავკასიის შესწავლას ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული თვალსაზრისით, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის გათვალისწინებით, რის განსახორციელებლადაც საჭირო იყო საქართველოსა და სომხე-

---

[8] ჩვენი ვარაუდი დამტკიცდა ერთი წერილით, რომელიც იოსებ მეგრელიძემ გამოაქვეყნა სათაურით – „ნიკო მარისადმი გაგზავნილი იუსტინე აბულაძის შვიდი ბარათი“, თსუ-ს შრომები, № 241, 1983, გვ. 162, წერილი მე-3, საიდანაც ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძე წერილის მიღებისთანავე გამგზავრებულა ქუთაისში ნ. მარის თხოვნის აღსასრულებლად. იუსტ. აბულაძის ეს საპასუხო წერილი დათარიღებულია 1911 წლის 4 აგვისტოთი.

[9] В. А. Миханкова, Н. Я. Марр, Ленинград, 1949, ст. 179, 198.

თის მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობის დამყარება, რათა მათი მუშაობის ნაყოფი უფრო პროდუქტიული ყოფილიყო აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად.[10]

შემდგარა მხოლოდ სამი მოსამზადებელი სხდომა, ხოლო ყრილობის საბოლოო მოწყობაზე თავად ნ. მარს უთქვამს უარი, რამეთუ ის დებულებები, რომელიც იმჟამინდელი კავკასიის ხელისუფლების წარმომადგენლებს წაუყენებიათ ყრილობისათვის, არ აკმაყოფილებდა ნ. მარს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს ახალგაზრდა იუსტ. აბულაძის კიდევ ორი საინტერესო წერილი, მიწერილი ერთი თავისი გიმნაზიელი მეგობრის, გიორგი ალექსის ძე ახვლედიანისადმი, ხოლო მეორე – თავისი უმცროსი ძმის გიორისათვის. ორივე წერილი დაახლოებით მსგავსი შინაარსის შემცველია, ამიტომ აქ მხოლოდ ერთ მათგანს მოვიტანთ სრულად, მეორიდან კი, რომელიც სამწუხაროდ ნაკლულია, ცალკეული ადგილებით შემოვიფარგლებით.

„ძვირფასო ძმო გიორგი!

მოგიკითხავ ძმური სიყვარულით და ვსთხოვ ყოვლად შემძლებელ ღმერთს შენს ბედნიერ სიცოცხლეს და კეთილ წარმატებას. შენი წერილი მივიღე 13 ოქტომბერს, და უნდა გითხრა, რომ ჩემს სიამოვნებას საზღვარი არა ქონდა. მე თუ მიკითხავ, ძმაო, კარგათა ვარ, არც არავითარი გაჭირვება მომდგომია ჯერ-ჯერობით. ჩემი ფაკულტეტი მაინც და მაინც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მხოლოდ (ვითამც ქვია), ვითამც ქვია კი არა გვარიანი ძნელია არა-

[10] Съезд тружеников по армяно-грузинской филологии в Тифлисе 1910 года, Тифлись, 1909, ст. 3-4 (протокол).

ბული ენა, მაგრამ ისეც მარტო შობამდი უნდა ვისწავლო, ღრამმატიკას რომ დავასრულებ (არაბულ გრამ.), მერე პირდაპირ სპარსულზე გადავალ; თუ არაბული გრამატიკა არ იცი, ისე შეუძლებელია სპარსულის შესწავლა. მარრი მირჩევს მერეც განვაგრძო არაბულის სწავლა. მერე გავაგრძელებ თუ არა, ჩემ სურვილზე კიდია. ახლა ქართულსა და სომხურს ვსწავლობ. ორივე გრამმატიიდან დამაწყებინეს. ქართულში ჯერ ბრუნვას გავდივარ, მხოლოდ უკანასკნელ ლექციაზე ქონდა ლაპარაკი მიმოხრაზე ცაგარელს, დღეს, ესე იგი 13 ოქტომბერს. ცაგარელი კარგი პროფესორია, მაგრამ ცოტა ზარმაცობს და ხშირად არ დადის უნივერსიტეტში, რაღაც გულაგორებულივით არი. მე იმის ამგვარ საქციელს იმით ვხსნი, რომ ჩემს მეტი ყურის მგდებელი არავინა ყავს, მხოლოდ მეორე კურსზე არის ერთი ჯავახიშვილი, ძალიან მუყაითი ყმაწვილი, რომლის ძალიან მადლიერია ცაგარელიც და ნამეტურ მარრი, რომელიც მეტის მეტად აქებს. პირველ გაცნობისთანავე მარმა მითხრა, უეჭველად გაეცანი ჯავახიშვილს, თუ არ იცნობო, ჩემ ხელში ის ჩინებულად სწავლობს და ის გიხელმძღვანელებს, თუ რამ გაგიძნელდეს ჩემს საგანშიო. რამდენადაც ცაგარელი ზარმაცია და გულაგორებულივით ირჯება, იმდენათ მარრი ბეჯითათ და მომეტებული გულმოდგინებით ასრულებს თავის საქმეს, მაგრამ რაც შეეხება გავითარებულობას, ჩემი აზრით, უფრო მაღლა დგას ცაგარელი, თუმცა ენების ცოდნაში მარრს ტოლი არა ჰყავს, იცის სუყველა ევროპული ენები და, რა თქმა უნდა, აღმოსაველეთის ენებიც მშვენივრათ აქვს შესწავლილი. მე ახალ ენებში ფრანგული ენა ავირჩიე. ის შედის ჩემ პროგრამაში და ეგზამენსაც მომთხოვენ თავის დროზე. მე გულმოდგინეთ შევუდექი ნემეცურის სწავლასაც, ნემეცურ ენის ლექციებზე ყოველთვის დავდივარ. ფრანგული ენის ლექციებს წრეულს არ კითხულობენ, ჩემით ვმაცადინობ. ჩემთვის აუცილებელი საჭიროებაა, მარრმაც პირველად ის მითხრა, ევროპული ენების ცოდნა, ნამეტურ ნემეცურისა და ფრანგულის. გარდა სომხურ-ქართულ-სპარსული-ფრანგულისა, ჩემ პროგრამაში შედის

აგრეთვე რუსული ლიტერატურა და აღმოსავლეთის ისტორია. ახლა რომ გაგაცნო ჩემი მეცადინეობის ხასიათი, საჭიროა ამისთვის იმის ახსნა, თუ რას წარმოადგენს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი, ანუ როგორც ხშირათ უწოდებენ მეცნიერების ტაძარი, ბევრათ განირჩევა შკოლებისაგან და სამეცნიერო სასწავლებლებისაგან. აქ მბრძანებელი არავინა გყავს, ძალას არავინ გატანს, გინდა ისწავლე, გინდა არა, შენი მბრძანებელი და გზის მაჩვენებელი თითონ შენა ხარ. ის ფორმანული მოთხოვნილება, რომელიც სასწავლებელშია, აქ არ არსებობს. შენ შენთვის, პროფესორი მისთვის. პროფესორს შენზე არავითარი უფლება არა აქვს, მხოლოდ შემოდის აუდიტორიაში, სადაც შეკრებილია სტუდენტობა და კითხულობს ლექციებს. იმან არც კი იცის, შენ ვინ ხარ. ლექციები იწყება 9, თავდება 3 ან 4 საათზე – ეს საზოგადოთ, კერძოთ კი – მე რომ იუსტინე აბულაძე ვარ, ვზივარ ჩემთვის ოთახში და ველი იმ დროს და საათს, როდის მოაწევს უნივერსიტეტში წასვლის დრო, ვთქვათ, მარრი დღეს 10 ან 11 ან 3 ან 2-ზე კითხულობს ლექციას, დავხედავ საათს, მოაწევს დრო, დაიხურავ ქუდს, მოისხამ პალტოს და წაბრძანდები უნივერსიტეტში. შესავალ «კარიდორში» დაგინახავს შვეიცარი, მოვარდება, ჩამოგხდის პალტოს და ჩამოკიდებს – ასევე – წასვლაზე, დახედავ ყოველდღიურ განწესებას, წაიკითხავ, გაიგებ, რომელ აუდიტორიაში კითხულობს ეს და ეს პროფესორი ლექციას და შეხვალ, მშვენიერ, დიდებულად მოწყობილ ოთახში, საზოგადოდ, მოწყობილობით პეტერბურგის უნივერსიტეტი ყველა უნივერსიტეტებზე უკეთესია, თუმცა ყველგან ამგვარივე წესწყობილებაა. თითო ლექცია თითო საათს გრძელდება. შეგიძლია ყველა ლექციებზე იარო, სრული ნება გაქვს, ოღონდ კი რაიმე გამოიტანე და. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ თუ სტუდენტი თითონ თავის თავად არ მუშაობს, ვერაფერს შეიძენს, ნამეტურ მე რა უნდა შევიძინო, თუ მარტო აღმოსავლეთის ენების გრამმატიკული ლიტერატურის შესწავლით დაბოლოვდა ჩემი განათლება. უსაჭიროესი ყველაზე წიგნების კითხვაა, რომ საფუძვლიანი ცოდნა გექნეს,

გარდა ამისა შავი (ფიქრი) ნაღველი მაწვება გულზე, კარგათ დაფიქრდი, მომავალზედაც იფიქრეო, თუ არ შეგიძლია უზრუნველად ცხოვრება, თუ არ იმსახურე, ისე ადგილი არსად ექნება შენი განყოფილება დამთავრებულებსო. ახლა შენგან ველი მსჯავრს. ეს ფიქრი მე და შენ შუა დარჩეს, არავის გაუზიარო. პეტერბურღს შემდეგ წერილში აგიწერ, თუ ამის პასუხს მალე მომწერ. იცოდე ხშირად მომწერე წერილი.

იუსტინე "

ამ წერილის ადრესატი – გიორგი ალექსის ძე ახვლედიანი – იყო შემდგომში საზოგადო მოღვაწე, მაიაკოვსკის რაიონის პირველი აღმასკომის თავჯდომარე. წერილი, მართალია, დათარიღებული არ არის, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ის იუსტ. აბულაძეს უნდა დაეწერა 1897 წლის შემოდგომაზე, პირველი კურსის პირველ სემესტრში, ვინაიდან აქ იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებზე საუბრობს. დასანანია, რომ მათ შემდგომ მიმოწერაზე არაფერი ვიცით. ისე კი აშკარაა, მიმოწერა გაგრძელდებოდა.

„ძმაო გიორგი!

1897 წელს შენდა საბედნიეროდ მოგილოცავ ტანის სიმრთელეს, დღეგრძელ სიცოცხლეს შენი ოჯახში მყოფელებით და ყოველი შენი კეთილით გისურვებ. შენი წერილი ბევრი ლოდინის შემდეგ მივიღე და, რა თქმა უნდა, გიორგი, რომ დიდათ გამახარა როგორც თითონ წერილის მიღების გარამოებამ, ისე შიგ დალაგებით მოთავსებულმა სასიამოვნო ანბებმა. ამ წერილის მიღებასთან, რა თქმა უნდა, მეც მოგიკითხავ, და, ამიტომ, უნდა პირველთავე მოგითხრა ჩემი ანბავი. მე, როგორც ჩვენებისაგანაც შეიტყობდი, არ გადამიხვევია ჩემგან არჩეულ გზიდან. კარგი ვქენი, თუ ცუდი – ამის განსჯა, აწონ-დაწონა ამ წერილის პასუხისთვის

მიმინდვია. (ახლა) მე მხოლოდ ჩემი საქმეების ავკარგიანობის შესახებ მოგწერ ...

... ამ განყოფილების პირველ-მეორე სემესტრზე, ესე იგი I-ლ კურსზე 1897 წ. არავინ არი ჩემს გარდა, მეორე კურსზე III-მე სემესტრზე კი არის ერთი ქართველი აღმოსავლეთის საქართველოდან ივანე ჯავახიშვილი, რომელიც კარგად მეცადინეობს და, მგონია, მომავალ პროფესორობაზედაც ოცნებობს. ღმერთმა კეთილი ქნას! რამდენად მეტი იქნებ ჩვენში კარგი კაცი, იმდენათ ჩვენთვის უკეთესია, რადგანაც კრუხების შიშით ქორი წიწილას ვეღარ წაგვართმევს.[11] აი ეს ჯავახიშვილი 2-რე კურსზეა, მე ერთადერთი კი I-ლ კურსზე ვარ. ახლა, რადგანაც ამდენი ხანი ვარ ამ ფაკულტეტზე, იმედი მაქვს შემიძლია გადმოგცე მისი ხასიათი და გიპასუხო ამ კითხვაზე: «მისცემს თუ არა იგი კაცის ჭკუა-გონებას რაიმე ნაყოფს?» რასაკვირველია, ყოველი კაცისთვის სასიამოვნოა ესმოდეს კარგი მდგომარეობა თავის ქვეყნის, ესმოდეს რომ ის შვილია დიდებული წარსულის, რომ ის არ არის წყალწაღებული, რომ იმას აქვს თავისი სამშობლო, ჰყავს თავის თანამოძმეები, რომლებიც სიამაყით წარმოსთქვამენ დიდებული სამშობლოს შარავ[ანდედით] მოსილ სახელებს და სასოებით იხსენიებენ წმინდა მამებს, რომლებმაც შექმნეს ეკკლესია, დაგვიტოვეს სამშობლო ენაზე საეკლესიო ლიტერატურა, და რომლებსაც, ეს კი ყველაზე სასურველია, საქმითაც სურთ წარსულის შესწავლა და დაფასება. მე, არ მგონია, მოიპოვებოდეს დედამიწის ზურგზე ისეთი ადამიანი, რომელსაც ეს ბუნებრივი გრძნობა, თუ რომ ეცდები და სიყვარულის ფარდას ახდი მის

---

[11] მართალია, ივ. ჯავახიშვილის მოხსენიება ორივე წერილში ამ უკანასკნელის ბიოგრაფიისათვის რაიმე ახალს არ იძლევა, რადგან კარგად არის ცნობილი მისი მუყაითობის ამბავი ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიიდან მოყოლებული, მაგრამ ის ფაქტი, რომ იუსტ. აბულაძეს, ჯერ სრულიად ახალგაზრდას, ჭეშმარიტად ახარებს რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი კაცის გამოჩენა ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, უკვე მეტყველებს მის მხურვალე მამულიშვილობაზე.

ცნობიერებას, არ გააჩნდეს. ეს რომ ასეა, ამაზე შენც დამემოწმები და იმასაც დამიჯერებ, რომ სპეციალურათ მეცნიერული გზით შესწავლას შეუძლია მხოლოდ დააკმაყოფილოს ეს გრძნობა, რომელიც გამჯდარი აქვს გულში ან უნდა ქონდეს ყოველ ...“

დასანანია, რომ ამ საინტერესო წერილის დასასრულს ვერ მივაკვლიეთ არქივში.

ეს წერილი, თავის მხრივ, ყურადსაღებია იმით, რომ მასში ნათლად შეიგრძნობა მომავალი მეცნიერის მოქალაქეობრივი მრწამსი, მისი სერიოზული დამოკიდებულება არჩეული საქმისადმი და ღრმა პატივისცემა თავისი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ლიტერატურული წარსულისადმი.

1900 წელს იუსტ. აბულაძე პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტს ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განსრით. აქ მან გაიარა დიდი ორიენტალისტური სკოლა. როგორც კარგი მომავლის მქონე სტუდენტს, თავისი პედაგოგების, ცნობილი მეცნიერების ალ. ცაგარელის, ნ. მარის და ვალენტინ ჟუკოვსკის რეკომენდაციის თანახმად, მას შეეძლო პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენა და იქ მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობის გაშლა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ის ბრუნდება საქართველოში, სახლდება თბილისში და სათანადო ცოდნით აღჭურვილი იწყებს თავის ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ვინაიდან იუსტ. აბულაძე, გარდა სპარსული ენისა, კარგად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, სომხურ, რუსულ ენებს, მეცნიერული სარგებლობისათვის – ინგლისურ, იტალიურ, თურქულ, აზერბაიჯანულ, ლათინურ და ბერძნულ ენებს,

ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჯერ არ იყო დაარსებული, მომავალ მეცნიერს კი საარსებოდ სახსრები ესაჭიროებოდა, ამიტომ 1901 წლიდან 1921 წლამდე ის მსახურობს ქართული, რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად: თბილისის ყოფილ მიხაილოვის სახელოსნო და პირველ 8 კლასიან კომერციულ სასწავლებლებში რუსულ-ქართული ენის მასწავლებლად, 1903-1920 წლებში – მანთაშევის სავაჭრო სკოლასა და 1904-1909 წლებში – თბილისის მე-5 ქართულ გიმნაზიაში – ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლად.

აღსანიშნავია, რომ 1906 წლის 4(17) ივლისს თბილისის ქართული გიმნაზიის აკლებისა და გიმნაზიის ინსპექტორის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და რევოლუციონერის შიო ჩიტაძის მკვლელობის დროს, ამ გიმნაზიის მასწავლებელი, იუსტ. აბულაძე მეფის შავრაზმელებმა მძიმედ დაჭრეს სამი ტყვიით ორივე ფეხში და თავში თოფის კონდახები დაუშინეს, რამაც საკმაოდ შეარყია მეცნიერის შემდგომი ჯანმრთელობა. ყოველივე ამის მერე იგი სხვა მეამბოხეებთან ერთად დაატყვევეს.[12] ერთგვარი მამაცობა და წინდახედულება გამოუჩენია იუსტ. აბულაძეს ამ რთულ სიტუაციაში. ის თურმე ჟანდარმერიის მიერ ალყა შემორტყმულ მეამბოხეებს ამხნევებდა და ურჩევდა პოლიციის გამოჩენისას მეფის სასარგებლოდ სიმღერა „Боже царя храни“ წამოეწყოთ. იმ მომენტში ამ სიმღერას უშველია კიდეც მეამბოხეებისათვის, მაგრამ დაპატიმრებას

[12] ვარლამ ქაჯაია – „ქართული გიმნაზიის აკლება და შიო ჩიტაძის მკვლელობა“ წიგნში – გამოჩენილი ქართველი პედაგოგები, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1973, გვ.124-126.

მაინც ვერ აცდენილან. დაპატიმრების შემდეგ სხვა დაჭრილებთან ერთად იუსტ. აბულაძეც საავადმყოფოში მოუთავსებიათ, იქ თურმე ერთი ალიაქოთი აუტეხია, რადგან ერთი დაჭრილი ჯარისკაცისთვის უშაქრო ჩაი მიუტანიათ.

მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ამ ფაქტთან დაკავშირებული ერთი დოკუმენტი, რომლითაც იუსტ. აბულაძე თხოვნით მიმართავს თბილისის მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, სადაც მეცნიერის სავალალო მდგომარეობაზეა საუბარი:

Его высокородию Господину Директору
Тифлиского Михайловского Городского
Ремесленного Училища

Преподавателя Юстина
Ираклиевича Абуладзе

Прошение.

4 июля текущего года, при разгроме частной Дворянской Гимназии, между прочим и я сделался невинной жертвой сложившихся обстоятельств, и был тяжело ранен в обои ноги. Одна из пуль попала в левую ногу и, пробив насквозь главную кость голени вышла в артерии. Другая же попала в правую ногу и застряла в артерии. Чтобы избегнуть атрофии, как неизбежного последствия полученной мною раны, в двух ногах, я до сих пор лечусь электричеством, что обходится крайне дорого. Помимо этого в скором предстоят расходы по извлечению пули из правой ноги, где она застряла в главной артерии и не извлечена до сих пор, потому что я лишился слишком много крови при получении двух тяжелых ран. Само собой разумеется, что подобная кара для меня – самые печальные результаты; я прямо разорился: лечение

и все расходы по нему обходятся мне в день не менее 3-х руб. К этому следует присовокупить и то обстоятельство, что я был ограблен самым немилосердным образом: все нижнее платье, серебрянные часы и портмане с деньгами в размере 60 рублей были отобраны безвозвратно. Все это меня бросает в отчаянное положение при мысли о том, как мне содержать свою семью, маленьких ребят и жену, которая в положении. За службу я получаю слишком скудное содержание, а иного источника у мения нет.

Вследствие этого, я имею честь покорнейше просить Ваше Высокородие ходатайствовать перед Городской Управой о выдаче мне пособия, могущего облегчить мою горькую участь.

Преподаватель Ю. И. Абуладзе

Сентябрь 12 дня 1906 года г. Тифлис

ЦГИА – ГССР
фонд – 192 Опись 6
дело – 1469 лист 96

სამწუხაროდ, არ ვიცით, მიიღო თუ არა ეს დახმარება იუსტ. აბულაძემ.

1911-1914 წლებში იუსტინე აბულაძე აგრეთვე ასწავლიდა სპარსულ გრამატიკას და გერმანულ ენას თათრული ენის საშუალებით ტფილისის ირანული ენჯუმენის (საზოგადოების) მედრესეში (ითთიფაქში).[13]

---

[13] ტფილისის სპარსული ენჯუმენი (საზოგადოება) მდებარეობდა ყოფილ შეიხ-ოლ-ისლამის დარბაზში, ვორონცოვის ქუჩაზე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იუსტ. აბულაძეს უმუშავია შეთავსებით მთარგმნელად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, სადაც უხდებოდა აზერბაიჯანული ენიდან ყოველგვარი ბრძანებების, ინსტრუქციებისა და რკინიგზის საექსპლოტაციო ხასიათის დოკუმენტების გადმოთარგმნა რუსულსა და ქართულ ენებზე.

1902 წლის ზაფხულში იუსტინე აბულაძე სამეცნიერო მიზნით მოგზაურობს შუა აზიაში (ტაშკენტი, ბუხარა, სამარყანდი), სადაც აკვირდება და სწავლობს იქაურ მკვიდრთა მეტყველებას და ეთნოგრაფიის საკითხებს, ეცნობა ხელნაწერებს, ჰკრებს ფოლკლორულ მასალებს და საკუთარი თვალით აღიქვამს აღმოსავლეთის განუმეორებელ, თვითმყოფად კულტურას, არქიტექტორულ ანსამბლებს, მედრესეებს, მეჩეთებსა და მხატვრობას.

1903 წლის 14 იანვარს 29 წლის იუსტ. აბულაძე ცოლად ირთავს თავის მოგვარე ქალს ქუთაისიდან – ნინო მაქსიმეს ასულ აბულაძეს, რომლის სახით მომავალმა მეცნიერმა შეიძინა ერთგული მეგობარი და მთელი ცხოვრების კეთილი თანამგზავრი. ქალბატონი ნინო მუდამ მისი სიხარულის, წარმატებებისა თუ წარუმატებლობის, ლხინისა თუ გაჭირვების თანამოზიარე იყო. მათ ექვსი შვილი შეეძინათ, სამი ქალი და სამი ვაჟი: კლარა, ალისა, ვანდა, ვიქტორი, ვასილი და ვალერიანი. ერთი მათგანი, კლარა, ადრევე დაღუპულა.

იუსტ. აბულაძის შვილები საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ: ალისა ქიმი კოსი (ინჟინერ-მეტალურგი), ვანდა მეცნიერმუშაკი ქიმიის დარგში, ვიქტორი ინჟინერი (მეტყევე), ვასილი შინაგან სნეულებათა ექიმი, ვალერიანი პედაგოგი (ლიტერატორი).

იუსტ. აბულაძის შვილების, ქალბატონ ალისასა და ბატონ ვალერიანის, გადმოცემით ნათელი ხდება ქალბატონ ნინოს დამსახურება მეუღლისა და ოჯახის წინაშე. მას ბევრი გაჭირვება და უძილო ღამეები გაუტარებია იმაზე ფიქრში, თუ როგორ შეემსუბუქებინა მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახის ტვირთი სამეცნიერო და საზოგადო საქმეებით დაკავებული მეუღლისათვის.

საოცრად ფაქიზი და ამაღლებული სულიერი განწყობილებით არის გამთბარი იუსტ. აბულაძის ყველა წერილი ქალბატონ ნინოსადმი; ეს განწყობილება ორივეს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

რაც შეეხება იუსტ. აბულაძის შვილებს, მართალია, არცერთი არ გაჰყოლია მამის კვალს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ. აღსანიშნავია ალისა აბულაძის დამსახურება განსვენებული მეცნიერის ბინაზე დაცული არქივის შეკრებისა, სათუთად მოჰყრობისა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის საქმეში. ქალბატონმა ალისამ, თსუ-ს სპარსული ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტ ე. ღოლოძესთან ერთად, შეადგინა იუსტინე აბულაძის შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, № 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1964, გვ. 23-29. მანვე, სათანადო მასალებისა და ბიბლიოგრაფიული ცნობების მიწოდებით, დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე პროფ. იოსებ მეგრელიძეს, რომელმაც გააერთიანა და ერთ კრებულად გამოსცა იუსტ. აბულაძის ძირითადი რუსთველოლოგიური გამოკვლევები, სათაურით: „რუსთველოლოგიური ნაშრომები“, თბილისი, 1967, 362 გვერდი. ნაშრომს ერთვის იუსტ. აბულაძის მიერ 1926 წელს გამოცემული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა საძიებელი (სომხურ-ქართული, არაბულ-ქართული, სპარსულ-არაბული, თურქ.-ოსმ.-ქართული, ბერძნულ-ქართული, ლათინურ-ქართული), და „ვეფხისტყაოსნის“ 26-ე (1926წ.) გამოცემის ლექსიკონის დანართი – საკუთარი სახელები. გარდა ამისა, ალისა აბულაძე იყო საკმაოდ გათვითცნობიერებული, ცოცხალი და უტყუარი მატიანე იუსტ. აბულაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობისა, ის დედასთან ერთად იყო პირველი გამზიარებელი და მონაწილე მამის შეხედულებებისა, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საკითხებში, რა თქმა უნდა, არა ოფიციალურად, არამედ მამაშვილურად, ოჯახურ პირობებში. დასანანია, რომ ის არ გაჰყვა მამის კვალს და ქიმიკოსის სპეციალობა აირჩია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აწ განსვენებულმა ქალბატონმა ალისამ ჩვენც დიდი დახმარება გაგვიწია მეცნიერის ბინაზე დაცული არქივის მოძიებისა და შესწავლის საქმეში.

1903 წელს იუსტინე აბულაძეს მეუღლესთან ერთად მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში (გერმანია, პოლონეთი, შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი). ამავე წლის აპრილიდან ოქტომბრამდე იგი მუშაობდა ვენის, ბერლინის, პარიზის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში. აქ მეცნიერი დეტალურად ეცნობოდა და იკვლევდა უახლეს აღმოსავლურ სამეცნიერო ლიტერატურას და ძველ ხელნაწერ ტექსტებს. ყველაზე მეტ ხანს მათ დაჰყვეს ვენასა და პარიზში. საკმაოდ კარგად იცნობდა იუსტ. აბულაძე ვენის წიგნსაცავებს, საიდანაც შემდგომში იღებდა წიგნებს ფასდადებით. მეცნიერის არქივში აღმოჩნდა სპეციალურ შტამპიან ბლანკზე გერმანულ ენაზე დაბეჭდილი 4 წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ 1910-11

წლეებში იუსტ. აბულაძეს ინტენსიური მიმოწერა ჰქონია ლაიპციგის ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის მფლობელსა და ანტიკვართან – კარლ ჰირზემანთან, რომელიც უგზავნიდა მეცნიერს, ძირითადად, აღმოსავლურ ლიტერატურას. ამ ლიტერატურაში შედიოდა ევროპელ მეცნიერთა მიერ შედგენილი და გამოცემული აღმოსავლური ენების ლექსიკონები და გრამატიკის სახელმძღვანელოები.

აქვე გვინდა მოვიტანოთ ერთი ფაქტი, რომელიც ქალბატონ ნინოს გამბედაობასა და თავისებურ მამაცობაზე მიგვანიშნებს. საფრანგეთიდან დაბრუნებისას საზღვარზე ჩხრეკდენ თურმე შემჩნეულ ქართველობას, რადგან პარიზში იმ ხანად მოღვაწეობდა არალეგალური ქართველი ემიგრანტების რევოლუციური ჯგუფი. ვიღაცას ქალბატონი ნინოსათვის უთხოვია, როგორმე საქართველოში ვინმე ჯორჯაძისათვის ჩაეტანა პარიზში გამოცემული არალეგალური გაზეთების რამდენიმე ეგზემპლარი. მართლაც, იუსტ. აბულაძე საზღვარზე გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩინეს, ხოლო ქალბატონ ნინოს, ვინაიდან ფეხმძიმედ იყო, ვერ გაუბედეს გაჩხრეკა. მას კი სინამდვილეში კორსეტის ქვეშ წელზე ჰქონია შემოხვეული არალეგალური გაზეთების რამდენიმე ეგზემპლარი.

ზემოთ აღინიშნა, რომ ქალბატონი ნინო ყოველთვის ეხმარებოდა მეუღლეს, რითაც შეეძლო. ასე მაგალითად, როდესაც იუსტ. აბულაძე მუშაობდა რუსულ-ქართულ ლექსიკონზე, რომლის I ტომი გამოსცა კიდეც 1927 წელს და მე-2 ტომს ამუშავებდა, ქალბატონ ნინოს თავისი ხელით გადაუწერია ორივე ტომის თითოეული სიტყვა, ამასთან ამოწმებდა მათ განმარტებებს, ადარებდა ორიგინალს, სინჯავდა და აზუსტებდა სტამბიდან მიღებულ საკორექტურო ფურცლებს.

ამდენად, ქალბატონი ნინო იყო მთელი ამ ზღვა მასალის გადამწერ-გადამნუსხავი და კორექტორი. ეს დასტურდება კიდეც ამავე ლექსიკონზე დართული ავტორის წინასიტყვაობიდანაც, რომელშიც იუსტ. აბულაძე მხურვალე მადლობას უხდის ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ წიგნის გამოსვლას. მათ რიგში ის ასახელებს ნინო მაქსიმეს ასულ აბულაძესაც, რომელიც, ავტორისავე სიტყვებით: „დაუღალავად მუშაობდა, როგორც საგამომცემლო აპარატის მთავარი ხელმძღვანელი. უკანასკნელმა, გარდა საერთო ხარჯთაღრიცხვის სწორის წარმოებისა, თავის ხელით შეასრულა მთელის ძირითადის ლექსიკონის გადაწერა.“[14]

ერთმანეთისგან გამომრიცხავ ფაქტებს ვაწყდებით, იუსტ. აბულაძის შესაძლო მოგზაურობის შესახებ ირანში. პროფ. დ. კობიძე მეცნიერის მე-100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავს, რომ 1903 წელს იუსტ. აბულაძემ იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში, ხოლო „უფრო გვიან თანამედროვე სპარსული კულტურისა და ცოცხალი მეტყველების ახლო გაცნობის მიზნით იმოგზაურა ირანში, სადაც მან ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.“[15]

პროფესორები კონსტანტინე ფაღავა[16] და ჯემშიდ გიუნაშვილი[17] მიუთითებენ, რომ იუსტ. აბულაძეს 1915 წელს

---

[14] პროფ. იუსტ. აბულაძე, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ნაწილი I, თბ., 1927, გვ. 3;

[15] პროფ. დავით კობიძე, სახელოვანი მეცნიერი, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1974, 15 ნოემბერი, გვ.3.

[16] კ. ფაღავა, სახელოვანი მეცნიერი, გაზ. „სამშობლო“, № 1, 1975, გვ. 7; К. Пагава, Незабываемое имя, газ. „Заря востока“, № 8, 1975, стр. 2.

[17] Дж. Гиунашвили, В служении науке, газ. „Вечерний Твилиси, №298, 1974. Ст. 4.

უმოგზაურია ირანში, ხოლო იოსებ მეგრელიძე 1902 წელს ასახელებს მეცნიერის სამეცნიერო მიზნით სპარსეთში მოგზაურობის თარიღად, სადაც მას ერთი თვე დაუყვია თავრიზში.[18]

რაც შეეხება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში დაცულ იუსტ. აბულაძის პირად საქმეს, № 308, სადაც ჩართულია მეცნიერის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია, დათარიღებული 1951 წლის 3 აპრილით, იუსტ. აბულაძე არაფერს ამბობს ირანში თავისი მოგზაურობის შესახებ. ჩვენი ვარაუდით, მეცნიერი აქ შეგნებულად არიდებს თავს ამ საკითხს, ვინაიდან იმ წლებში შექმნილი (პოლიტიკური) ვითარება არ იძლეოდა ამის საფუძველს.

საინტერესოა, რომ იუსტ. აბულაძის ბინაზე დაცულ პირად არქივში აღმოჩნდა 1919 წლით დათარიღებული ერთი წერილი, რომელიც წარმოადგენს მეცნიერის შუამდგომლობას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ირანში სამეცნიერო მუშაობის მიზნით გამგზავრების თაობაზე.

ამ საკითხში საბოლოოდ გარკვევის მიზნით ეს წერილი მოგვყავს უცვლელად:

„სიბრძნის მეტყველბის ფაკულტეტის საბჭოს
იუსტინე აბულაძის
მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

როგორც პატივცემულ საბჭოსაც მოეხსენება, შარშან გაზაფხულისათვის მე განზრახული მქონდა მემოგზაურა სპარსეთში სპარსული ენის შესასწავლად.

---

[18] იოსებ მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 198.

მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, იმ დროს ამოვარდნილმა ქარიშხალმა და დატრიალებულმა ამბებმა მაიძულეს სხვა დროისათვის გადამედო ეს ჩემი განზრახვა.

რადგან ამ ჟამად გზა სპარსეთისაკენ უკვე გახსნილია, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ ფაკულტეტის საბჭოს იშუამდგომლოს უნივერსიტეტის გამგეობის წინაშე, რომ ამ შემთხვევისათვის მიღებული წესის თანახმად, მომეცეს შეძლება მოვიარო სპარსეთი და სპეციალურად შევისწავლო სპარსული ენა და მწერლობა.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ მივაქციო პატივცემულის საბჭოს ყურადღება შემდეგ გარემოებას.

სპარსული ენა ერთი უსაჭიროესი საგანთაგანია ქართული ენისა და კულტურის გასაშუქებლად და ღრმად შესასწავლად, და, ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების იმ თავითვე, სათანადო ყურადღება იქნება მიქცეული სპარსული ენისა და მწერლობის კათედრის მოწყობის საქმისათვის. მაგრამ ჯერ ისევ დასაწყისში ვართ, და ბევრი რამ არის გასაკეთებელი და მოსაწყობი: ყველაზე უწინ, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ის პირი, რომელსაც დაეკისრება ამ დარგზე მუშაობა. ხსენებული პირი მთელის თავისი არსებით უნდა ემსახურებოდეს საუნივერსიტეტო მეცნიერების მიზნებს და, ამიტომაც, არ უნდა წვრილმანდებოდეს და კნინდებოდეს სხვა საქმეებზე.

მე კი, როგორც ცხოვრებაში ფეხის შედგომის იმ თავიდან ამ ბოლომდე, ისე კვლავაც იძულებული ვხდები მთელი ჩემი საუკეთესო დრო და ენერგია ერთი სასწავლებიდან მეორეში სიარულს მოვანდომო. აი, ამ დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჩემი დამკვიდრება, ანუ უკეთ დაფუძნება უნივერსიტეტში, რისთვისაც შესაფერი უფლების მოპოებაა საჭირო, და აი, სწორედ ამ მოსაზრებით, მე ვთხოვ საბჭოს დაუყონებლივ შემისრულოს ეს ჩემი უმორჩილესი თხოვნა და გამგზავნოს სპარსეთში, რომ ჯეროვნად შევისწავლო სპარსული ენა და ამით გავიადვილო ხსენებული

უფლების მოპოების საქმე, თუ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება რუსეთში ან გერმანიაში ჩემი გაგზავნა გამოსაცდელად და უფლების მისაღებად.

კიდევ ერთი გარემოება მსურს აღვნიშნო საბჭოს საყურადღებოდ, გარემოება, რომელსაც კავშირი აქვს ჩემი მოგზაურობის მიზანთან. მე უკვე დავასრულე სპარსულ-ქართული სპეციალური ლექსიკონი, რომელიც შედგენილი მაქვს უნივერსიტეტში მომუშავეთათვის. ამ ლექსიკონში შეტანილი მაქვს ბევრი ჩემ მიერ შემთხვევით ჩაწერილი სიტყვა, რომლებიც არსებულ ლექსიკონებში არ მოიპოება და, მაშასადამე, საჭიროებს ადგილობრივ შეჯერებას. მე საჭიროდ მიმაჩნია ამ საქმის დაჩქარებაც, რომ, რაც შეიძლება მალე მივაწოდოთ ლექსიკონი ჩვენი უნივერსიტეტის მსმენელებს.

ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც ისე ახლო სდგას ჩვენის სპეციალური საგნის ინტერესებზე, ხელი შემიწყოს ამ საქმისათვის.

აქვე საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო ჩემი მარშრუტი და მის შესასრულებლად საჭირო დრო.

მე უნდა ვიმოგზაურო ჩრდილო-სპარსეთში ენზელიდან – თეირანამდე, მაშასადამე, მარშრუტის ხაზი ამგვარია: ბაქოდან: ენზელი, რეშტი, თეირანი. ხსენებულ ქალაქებსა და მათ მიდამოებში მე საჭიროდ მიმაჩნია დავყო ორ თვეზე არა ნაკლები, 26 ივნისიდან 26 აგვისტომდი.

იუსტინე აბულაძე

28 მაისი, 1919 წ. ქ. ტფ.“

ამდენად, წინამდებარე წერილის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იუსტ. აბულაძეს მართლაც დიდი სურვილი ჰქონია სამეცნიერო მიზნით ემოგზაურა ირანში, თუმცა, სამწუხაროდ, მეცნიერის ეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა და სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა.

მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, იუსტ. აბულაძეს ერთხელ მაინც უმოგზაურია სპარსეთში და ერთი თვეც დაუყვია თავრიზში, ოღონდ რომელ წელს, გადაჭრით ვერ ვიტყვით. ამავე ფაქტს გვიდასტურებდა მეცნიერის ქალიშვილი, ალისა აბულაძეც, სამწუხაროდ, ზუსტ თარიღს ვერც ის ასახელებდა. საინტერესოა მისი მონათხრობიდან ერთი ფაქტიც: თურმე, იუსტ. აბულაძის ოჯახში გარკვეული დროის მანძილზე ცხოვრობდა თავრიზელი შეძლებული სპარსელის მაჰმუდოვის ორი ვაჟიშვილი, უფროსი, მამედ ალი მაჰმუდ ზადე და უმცროსი – ასკერა. სწორედ ამ მაჰმუდოვის ოჯახთან ჰქონია იუსტ. აბულაძეს ინტენსიური მიმოწერა. სამწუხაროდ, ამ მიმოწერიდან არაფერი შემორჩენილა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეგობრობას თავრიზელი სპარსელის ოჯახთან საფუძველი ჩაეყარა ან იუსტ. აბულაძის თავრიზში ყოფნის დროს, ან მათი შვილების საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ყოველივე ეს კიდევ ერთხელ რეალურს ხდის იუსტ. აბულაძის მოგზაურობის ფაქტს თავრიზში, ოღონდ გარკვეული სამეცნიერო მიზნით თუ არა, უბრალოდ, აღმოსავლეთის მოხილვის მიზნით მაინც, რაც, თავის მხრივ, არ გამორიცხავდა მეცნიერული სარგებლობის მოტანის ფაქტსაც. რაც შეეხება კონკრეტულად სამეცნიერო მუშაობისათვის ირანში გამგზავრებას, ჩვენი აზრით, იუსტ. აბულაძეს ეს სწორედ 1918-1919 წლებში ჰქონია განზრახული, რასაც ზემოთ მოტანილი წერილიც ადასტურებს.

2. მოღვაწეობა სხვადასხვა საზოგადოებასა და კომისიაში

საქართველოს სამეცნიერო ცხოვრებაში დიდი ეროვნული და სულიერი მუხტი შემოიტანა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც იმთავითვე ქართველოლოგიის ცენტრად იქცა თბილისში. მართებულად აფასებდა ამ საზოგადოების დანიშნულებას მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი კორნელი კეკელიძე – „ეს იყო მაშინ ჩვენი უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიც.“[19] ნიკო მარი ხაზგასმით აღნიშნავდა ამ საზოგადოების როლს ქართული მეცნიერული აზრონების განვითარებაში და მიიჩნევდა, რომ როგორც აკადემიური დაწესებულება იგი ფრიად მნიშვნელოვანი იყო.[20]

დიდი შრომა აქვს გაწეული იუსტინე აბულაძეს ექვთიმე თაყაიშვილთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად მისივე მონაწილეობით დაარსებულ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში (1907-1928 წ.წ.), სადაც ის არჩეულ იქნა ამ საზოგადოების ნამდვილ და დამფუძნებელ წევრად. საზოგადოების პირველმა კრებამ, რომელიც 1907 წლის 20 სექტემბერს შედგა, ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით, წესდების შესაბამისად, ფარული კენჭისყრით, აირჩია საზოგადოების საბჭო 9 წევრის შემადგენლობით,

---

[19] აკაკი სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1977, გვ. 113.

[20] როინ მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ 79.

წევრობის კანდიდატი – 3 კაცის რაოდენობით და სარევიზიო კომისია:

ს ა ბ ჭ ო: თავმჯდომარე – ე. თაყაიშვილი; თავჯდომარის ამხანაგი – დ. კარიჭაშვილი; ხაზინადარი – ალ. სარაჯიშვილი;

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი – ი. ფერაძე;

მდივანი – ს. გორგაძე;

წევრები: ა. ყიფშიძე, პ. კარბელაშვილი, მ. ჯანაშვილი, იუსტ. აბულაძე;

წევრობის კანდიდატები: კ. ცინცაძე, ა. მდივანი, კ. კეკელიძე;

სარევიზიო კომისია: ივ. აფხაზი, გრ. ყიფშიძე, კ. მაყაშვილი.[21]

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1915 წლის 20 სექტემბრიდან 1919 წლამდე იუსტინე აბულაძე დროებით განაგებდა ამავე საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკას. ის ინტენსიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოების კრებებში, გამოდიოდა დისკუსიებში, მოხსენებათა განხილვაში და თავადაც ხშირად კითხულობდა მოხსენებებს. ასე მაგალითად, ამავე საზოგადოების ლინგვისტური განყოფილების მესამე კრებაზე, რომელიც შემდგარა 1908 წლის 7 ნოემბერს, მის მიერ წაკითხულ მოხსენებას – „ქართული არსის ნაცვალებრივი ელემენტები (ნაცვალსახელები) და მათი მნიშვნელობა“ – დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოუწვევია. მოხსენება მოიცავდა ზოგად ცნობებს ნაცვალსახელებზე და

[21] ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 1, კრებ., ძველი საქართველო, 1, 1909, VI განყოფილება, გვ. 3-4. – წიგნში: როინ მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თბ., 1982, გვ. 11.

მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე თანამედროვე ქართულში და ასევე მათ დიდ როლს ძველი ქართულის ლინგვისტური ტიპის აღდგენაში. კრების მონაწილეებს დიდი მადლობა გადაუხდიათ მომხსენებლისათვის, ხოლო დამსწრეთაგან გრ. დიასამიძეს, გრ. ვოლსკის, მ. ყიფიანსა და ვ. ღამბაშიძეს ამ მოხსენების დაბეჭდვაც კი მოუთხოვიათ.[22]

1912 წლის 25 ივლისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე განხილულ იქნა სალინგვისტო და სალექსიკონო მასალის შეგროვება-დამუშავების საკითხები. მოხსენებით გამოსულა იუსტ. აბულაძე. მომხსენებელს მოუთხოვია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან შექმნილიყო კომისია, რომელიც შეაგროვებდა სალინგვისტო და სალექსიკონო მასალას და იკისრებდა მის სათანადო მოწესრიგებასაც. კრებამ უარი თქვა ცალკე ორგანოს დაარსებაზე და საჭიროდ ჩათვალა, რომ ისევ საზოგადოების საბჭო გასძღოლოდა ამ საქმის მოგვარებას, ამიტომ ამავე კრებაზე დ. კარიჭაშვილს, ჰ. მირიანაშვილსა და იუსტ. აბულაძეს დაევალათ, რომ შეემუშავებინათ ნიშნები ქართული დიალექტებისა და კილოკავების ზოგიერთ ბგერათა გამოსახატავად. ასევე, მათ უნდა შეედგინათ მოკლე გეგმა (ინსტრუქცია), რომელიც ყოველ დაინტერესებულ ქართველ ინტელიგენტს სალექსიკონო მასალის შეგროვების საშუალებას მისცემდა.

ამდენად, საზოგადო კრებებზე ენათმეცნიერების ცალკეულ პრობლემებს, სხვა მეცნიერებთან (იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, მიხეილ ყიფიანი) ერთად, იუსტინე აბულაძემაც არაერთი მოხსენება მიუძღვნა.

---

[22] იქვე, გვ. 274-276.

საგულისხმოა ასევე, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველ ნაბეჭდ კრებულში „ძველი საქართველო“ (ტ. I, 1909 წ.), სხვა სახელოვან მეცნიერთა გამოკვლევების გვერდით, დაიბეჭდა იუსტ. აბულაძის ნაშრომი: „მე-XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი», რომელიც წაკითხულ იქნა საზოგადოების კრებაზე 1908 წლის 21 თებერვალს. ეს ნაშრომი იუსტ. აბულაძისთვის, მის ცალკეულ წერილებსა და გამოკვლევათა შორის, ყველაზე საყვარელ და, ასე ვთქვათ, სამაგიდო ნაშრომს წარმოადგენდა. ის პირველად 1909 წელს დაიბეჭდა, ხოლო მეორედ გადამუშავებული სახით გამოიცა 1922 წელს. მას ერთვოდა ლექსიკონი და შემდეგი ნარკვევები: პოემის ხალხურობის, ძეგლის კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალ გამოცემათა შესახებ. აქ განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის, სიუჟეტის, ლექსიკისა და მხატვრული ენის საკითხები.

საყურადღებოა ისიც, რომ ძირითადი გამოცემების გარდა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ცალკე წიგნებად გამოსცა 1916 წელს „ძველი ქართული მწერლობის“ პირველი ტომი, რომელშიც შევიდა „შაჰ-ნამეს“, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, რომლის ტექსტი მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ (დაიბეჭდა მ. ციციშვილის სტამბაში – „ქართლი“).

საინტერესოა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“, ტ. III, თბ., 1914 წ., დაბეჭდილია შემომწირველთა და შემოწირულობათა სია, საიდანაც ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძეს ამ საზოგადო-

ებისათვის შეუწირავს 35 წერილი, „ზატიკი“, ხუცური ხელნაწერი (ბესარიონ კათალიკოზის ბრძანებით გადაწერილი) და ვერცხლის სპარსული ფული.[23]

ასევე ამავე საზოგადოების ოქმი № 54 გვამცნობს, რომ 1911 წლის 23 დეკემბერს შემდგარ კრებაზე საბჭოს წევრს, იუსტინე აბულაძეს წაუკითხავს მოხსენება თავისი მოგზაურობის შესახებ ამავე წლის ზაფხულში იმერეთში, სახელდობრ, საკრეულა-ხანისწყლის ხეობებსა და უხუთ-ზეინდარში. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას შედეგები თავისი საარქეოლოგიო მოგზაურობის შესახებ. მას უნახავს და აღუწერია მრავალი ტაძარი და მათი ნანგრევები, მათი მხატვრობა, აგრეთვე ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნები, ძველი ნივთები, რომელთაგან ზოგი მოუპოვებია კიდეც ამავე საზოგადოების მუზეუმისათვის. მოხსენება დამსწრე საზოგადოებას შინაარსიანად მიუჩნევია და მომხსენებლისათვის მადლობაც გადაუხდია.[24] ეგევე ირკვევა იუსტ. აბულაძის ერთი წერილის P. S.-იდან, ოღონდ ერთის დამატებით, რომ ხანის ხეობაში აღმოჩენილი ბევრი ხელნაწერიდან და ძველი ნივთებიდან, სამწუხაროდ, ცოტა აღმოჩენილა საყურადღებო.[25]

---

[23] როინ მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ-გვ 10, 89, 91, 94, 95, 96,108, 118,149, 157, 169,`309.

[24] ოქმის ანაბეჭდი დაცული იყო იუსტ. აბულაძის არქივში, მეცნიერის ბინაზე.

[25] იხ. იოსებ მეგრელიძე, ნიკო მარისადმი გაგზავნილი იუსტ. აბულაძის შვიდი ბარათი, თსუ-ს შრომები, № 241, 1983, გვ.162.

აქვე გვინდა შევჩერდეთ ერთ მომენტზე, როდესაც, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებმაც დიდი მწუხარება გამოხატეს დიდი მგოსნის, საზოგადოების საპატიო წევრის, აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო. 1915 წლის 27 იანვარს შეიკრიბა საზოგადოების საბჭო, რათა ჯეროვანი პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისადმი. კრებას თავმჯდომარეობდა ე. თაყაიშვილი, ხოლო ესწრებოდნენ: დ. კარიჭაშვილი, დ. კილოსანიძე, იუსტ. აბულაძე, შ. ქარუმიძე, კ. კეკელიძე, ი. სონღულაშვილი და ს. გორგაძე (მდივანი). საბჭომ დაადგინა, ვიდრე საგანგებო კრება შედგებოდეს, თუ როგორ აღინიშნოს განსვენებულის დაუფასებელი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, შემუშავდა რამდენიმე პუნქტი და ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით საზოგადოების დამფუძნებელ წევრს გრიგოლ დიასამიძეს და საბჭოს წევრს იუსტინე აბულაძეს ეთხოვათ, რომ საზოგადოების სახელით დასწრებოდენ განსვენებულის გვამის გადმოსვენებას საჩხერიდან .

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თბილისის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისა და მისი ორგანიზების საქმეში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შორის იყვნენ ამავე საზოგადოების წევრები: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე და სხვ.

1900-1921 წლებში იუსტინე აბულაძე ითვლებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუდმივ წევრ-თანამშრომლად, რომლის სხდომებზეც ხშირად გამოდიოდა მეცნიერული მოხსენებებით. აღსანიშ-

ნავია, რომ დასახელებული საზოგადოების მიერ გამოყოფილმა საკვალიფიკაციო კომისიამ იუსტ. აბულაძეს „ვეფხისტყაოსნის“ 1914 წლის საუკეთესო გამოცემისათვის და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის მიანიჭა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მხურვალე მამულიშვილის, დიდი ქველმოქმედის, ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძის (1838-1911) სახელობის პრემია 400 მანეთის რაოდენობით.

იუსტინე აბულძე იყო 1923 წელს შექმნილი ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ნამდვილი წევრი. დასახელებული საზოგადოება, რომელმაც ინტენსიური ენათმეცნიერული მუშაობა გააჩაღა, შედგებოდა 39 წევრისაგან. მათში ერთი – საპატიო, სამი – წევრ-კორესპონდენტი და 35 ნამდვილი წევრი შედიოდა.[26]

გიორგი ახვლედიანი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა ირანისტების დამსახურებას ლინგვისტური საკითხების კვლევა-ძიების საქმეში: „მართალია, ირანოლოგიის მუშაკნი უმთავრესად ეწევიან ფილოლოგიურ კვლევას, მაგრამ ლინგვისტური საკითხების დამუშავებასაც საკმაო ყურადღება ექცევა, პირველ რიგში ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ცნობილი მკვლევარის, პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ, რომელიც სპარსული ენის ხელმძღვანელია უნივერსიტეტში მისი დაარსებიდანვე ...“[27]

---

[26] ალექსი ჭინჭარაული, აკაკი შანიძე – მთის მკვლევარი, „წელიწდეული“, თბ., 1977, გვ. 380.

[27] გიორგი ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XIX, 1941, გვ. 162.

იუსტინე აბულაძე ითვლებოდა უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტის – სიბრძნისმეტყველების ბაზაზე ჩამოყალიბებული ქართული ფილოსოფიური საზოგადოების ნამდვილ წევრად. ეს საზოგადოება გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სახელს ატარებდა და მის შემადგენლობაში 46 ნამდვილი წევრი შედიოდა.[28] გარდა ამისა, იუსტ. აბულაძე იყო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და პოემის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის რედაქციის წევრი, ასევე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კომისიის წევრიც, რომლის თავმჯდომარეც მ. ტოროშელიძე, ხოლო მდივანი ვ. თოფურია გახლდნენ.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძე ყოფილა წმინდა სინოდის კანტორასთან არსებული „ბიბლიისა და საღვთო წიგნების ქართულ ენაზე შესწორებისა და გამოცემის კომისის“ წევრიც. ამავე კომისიის წევრები ყოფილან კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე და თედო ჟორდანია. იუსტ. აბულაძე აგრეთვე იყო ქ. ტფლისის ქართული სასულიერო ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრიც. ამას ადასტურებს მეცნიერის პირად არქივში მოძიებული 1912 და 1916 წლების ორი დოკუმენტი. დაბოლოს, როგორც ითქვა, იუსტ აბულაძე იყო სომხურ-ქართული ფილოლოგიის მკვლევართა ყრილობის მომწყობი კომიტეტის ერთ-ერთი წევრთაგანი.

---

[28] ვ. სიდამონიძე – ქართული ფილოსოფიური საზოგადოება, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1968, 15 აგვისტო.

3. ქართული უნივერსიტეტის სათავეებთან

ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოში როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ისე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არსებობა და საქმიანობა, სადაც მოწინავე სამეცნიერო-საზოგადოებრივი ძალები მოღვაწეობდნენ და იღვწოდნენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. საგულისხმოა, რომ ამ საზოგადოებებთან აქტიურად თანამშრომდა ივანე ჯავახიშვილიც. როგორც აკად. როინ მეტრეველი აღნიშნავს, მან „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას თავისი დაუღალავი შრომით ფასდაუდებელი ამაგი დასდო და დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ამ საზოგადოებას“, რომელსაც „სათავეში ედგა 1927 წლამდე, ვიდრე მეცნიერი გარკვეული საპატიო მიზეზების გამო არ გადადგა ამ თანამდებობიდან“.[29]

აღნიშნული საზოგადოებების არსებობის მიუხედავად, მეოცე საუკუნის დასაწყისში მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი ქართული უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე. სწორედ ამ საშვილიშვილო და ეროვნული საქმის უშუალო მოთავე გახლდათ დიდი ივ. ჯავახიშვილი, რომლის თავდაუზოგავი რუდუნებით 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, წყნეთის ქუჩაზე № 41-ში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი – ქართული უნივერსიტეტი, რომლის დასაყრდენიც იმდროინდელი სამეცნიერო და საზოგადოებრივი

[29] როინ მეტრეველი, კვალი განათლებული, თბ., 1975, გვ. 68,69.

ბალები იყო.[30] ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის ერთ-ერთი თანამონაწილე იუსტინე აბულაძეც გახლდათ.

1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, იუსტინე აბულაძე მიწვეულ იქნა სპარსული ენის ლექტორად. ამ დროისათვის იგი სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც თბილისის, ასევე პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში, ჰქონდა პედაგოგიური მოღვაწეობის ოცი წლის სტაჟი, ითვლებოდა რამდენიმე ცნობილი საზოგადოების წევრად. ამ დროისათვის იუსტ. აბულაძე უკვე იყო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირველი ტომის, „ვეფხისტყაოსნის“ (1914 წლის) მეცნიერული გამოცემის და სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი. ამავე დროს, ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ირანულ-ქართულ ფილოლოგიაში. სპეციალურად იკვლევდა ქართულ საერო ლიტერატურას, განსაკუთრებით კი ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს.

მეცნიერის პირად არქივში არმოჩნდა ერთი საყურადღებო დოკუმენტის ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძე ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ოფიციალურ გახსნამდე (1918 წლის 26 იანვარი), კერძოდ 1917 წლის 26 ნოემბერს, უკვე მიწვეული იყო უნივერსიტეტის მეცნიერ ხელმძღვანელად (ლექტორად) სპარსულ ენაში.[31]

ამასვე ადასტურებს მოგვიანებით თავად იუსტ. აბულაძეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის დ. ყიფშიძისადმი მიწერილ წერილში, სადაც ვკითხულობთ:

---

[30] იხ. იქვე, გვ. 38,39.

[31] საქ. ცენტრ. აღმ. კომიტ. ცენტრ. საარქივო სამმართველო, № 40/880, 1938, 9/VI.

„თბილსახუნტის დაარსებიდან, სადაც მე გაყვანილი ვიყავი 5 პირის შემადგენლობაში (ჯავახიშვილი, თაყაიშვილი, მელიქიშვილი, კეკელიძე და მე), ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში დავინიშნე მეცნიერ ხელმძღვანელად და პირველი ლექცია ჩემ მიერ წაკითხული იქნა ახალ დაარსებულ სახუნტში 1918 წლის თებერვალში."[32]

ცნობილია ის ფაქტიც, რომ სწორედ 1917 წლის 26 ნოემბერს ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე შემდგარა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ გამოყოფილი აკადემიური კომისიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, აკ. შანიძე. სხდომაზე მიღებული დადგენილების თანახმად, უნდა დაარსებულიყო ერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც ექნებოდა სამი განყოფილება: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, 2. სამათემატიკო, 3. საბუნებისმეტყველო. პირველ რიგში უნდა გახსნილიყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგიკა) განყოფილება. აქვე უნდა გადაწყვეტილიყო უნივერსიტეტის მომავალ პროფესორთა, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორთა შემადგენლობაც.

არსებობს აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის ხელით დაწერილი დოკუმენტი, რომლის პირველ ნაწილში მოცემულია თბილისის უნივერსიტეტის პირველი გამგეობის მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის მომავალ პროფესორ-მასწავლებელთა სია 7 პროფესორის, 2 მეცნიერი ხელმძღვანელის და 4 ლექტორის შემადგენლობით. ამ მეცნიერ ხელმძღვანელთაგან

---

[32] მეცნიერის პირადი არქივიდან.

ერთი იყო ექვთ. თაყაიშვილი (ქართულ სიძველეთა მეცნიერება ანუ არქეოლოგია), ხოლო მეორე – იუსტ. აბულაძე (სპარსული ენა).[33]

საგულისხმოა, რომ იუსტინე აბულაძე სისტემატურად ესწრებოდა თითქმის ყველა ძირითად სხდომას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებულ სამეცნიერო თუ სამეურნეო საკითხებს განიხილავდა. ასე მაგალითად, 1917 წლის 17 დეკემბერს შემდგარ კერძო თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე (მდივანი), თათბირს თავმჯდომარე არ ჰყოლია, გამოთქმულა სურვილი უნივერსიტეტის 14 იანვარს გახსნის თაობაზე. 1917 წლის 19 დეკემბერს შემდგარა პროფესორთა კოლეგიის წინასწარი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტ. აბულაძე, ექვთ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი. თავჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივნობდა ა. შანიძე. შექმნილ კომისიას ივანე ჯავახიშვილის (თავმჯდომარე), ი. ყიფშიძის, ფ. გოგიჩაიშვილისა და დ. უზნაძის შემადგენლობით დაევალა სასწავლო გეგმის შედგენა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი უნივერსიტეტში მიღების პირობებზე, სწავლის ფულის ოდენობაზე და სხვ. 1918 წლის 10 იანვარს კვლავ შემდგარმა პროფესორთა კოლეგიის წინასწარმა სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტ. აბულაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ექვთ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი

---

[33] იხ. „საისტორიო მოამბე“, 21-22, თბ., 1967; ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი“ (1918-1968), თბ., 1968; რ. მეტრეველი, კვალი ნათელი, თბ., 1965.

(თავმჯდომარე), შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე (მდივანი), ი. ჯავახიშვილი, განიხილა არააკადემიური საკითხი – აუდიტორიების მოწყობა (მერხები, განათება, გათბობა). ამავე სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც. მათ შორის დაუკმაყოფილებიათ იუსტ. აბულაძის შუამდგომლობა სპარსული ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების შესაძენად 300 მანეთის გამოყოფის შესახებ.[34]

ამდენად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და მისი შემდგომი წინსვლის საქმეში, როგორც ეს სათანადო ოქმებიდან და საარქივო მასალებიდან ირკვევა, იუსტინე აბულაძეც მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა რიგებში იდგა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

მართებულად შენიშნავს პროფ. დ. კობიძე, რომ „იუსტინე აბულაძე, ექ. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვა მოღვაწენი წარმოადგენენ ერთგვარ შემაერთებელ ხიდს საქართველოში ძველად არსებულ აკადემიებსა, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ახალ უნივერსიტეტს შორის.“[35]

მართლაც, დღიდან თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა 40 წლის მანძილზე იუსტინე აბულაძე დაუცხრომელი ენერგიით, საქმისადმი დიდი სიყვარულითა და ერთგულებით იღვწოდა. დიდია მისი დამსახურება ქართული ორიენტალისტური სკოლის შექმნისა და განვითარების საქმეში.

---

[34] ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, კრებ. „თბილისის უვივერსიტეტი“ (1918-1968), თბ., 1968, გვ. 28.

[35] დ. კობიძე, როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა (მეორე გამოცემა), თბ., 1977, გვ. 135.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იუსტ. აბულაძე აყალიბებს სპარსული ენისა და კლასიკური სპარსული ლიტერატურის ისტორიის კურსებს და კითხულობს მას აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტებზე. მის სახელთანაა დაკავშირებული ირანული ფილოლოგიის კათედრის დაარსება 1939 წელს, რომლის გამგედ ოფიციალურად დამტკიცებულ იქნა 1940 წლის 21 მაისს. იუსტ. აბულაძე აქტიური მონაწილე იყო 1945 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის შექმნისა და ორგანიზაციის საქმეშიც. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სამეცნიერო კონფერენციებსა და დისკუსიებში, კითხულობდა ლექციებს ლექტორიუმში. იუსტ. აბულაძე ამზადებდა ასპირანტებს, იყო მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი, ასევე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოფიციალური ოპონენტი. ასე რომ, მას თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა ქართველი ირანისტების მომზადების საქმეში. მისი აღზრდილები, დღეს უკვე ცნობილი მეცნიერები, წარმატებით მოღვაწეობდნენ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების, სპარსული ლიტერატურისა და ირანული ენების კვლევის სფეროში. მისი აღზრდილები არიან: აკად. ალ ბარამიძე, პროფესორები: დ. კობიძე, ვ. ფუთურიძე, კ. ფაღავა, ალ. გვახარია, მ. თოდუა, ჯ. გიუნაშვილი, დოცენტები: მ. ხუბუა, ლ. თუშიშვილი, თ. კეშელავა და სხვები.

როგორც დ. კობიძე აღნიშნავს, პროფ. იუსტ. აბულაძე ეკუთვნოდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პირველ შემადგენლობას, რომელმაც უდიდესი როლი შეას-

რულა ქართველ ახალგაზრდებს შორის უმაღლესი განათლების გავრცელებისა და ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში.[36]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 7 წლის შემდეგ, კერძოდ, 1924 წლის აგვისტოში, იუსტ. აბულაძე უკვე მიემგზავრება ლენინგრადში სადოქტორო გამოცდების ჩასაბარებლად სპარსულ ენასა და სპარსული ლიტერატურის ისტორიაში.

არქივში დაცული ორი წერილიდან (ერთი – დათარიღებული 1926 წლის 24 აპრილით, მეორე – ამავე წლის 17 დეკემბრით), რომლებიც მსგავსი შინაარსისანი არიან, ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძეს ეს გამოცდები ლენინგრადში წარმატებით ჩაუბარებია.

ამასვე ადასტურებს ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებული აღმოსავლურ და დასავლურ ენათა და ლიტერატურის შედარებითი ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმაღლესი სამეცნიერო საბჭოს ოქმები, რომელსაც ხელს აწერს ინსტიტუტის ნამდვილი წევრი, პროფ. ა. რომასკევიჩი.[37]

---

[36] დ. კობიძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ-ს შრომები, № 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1964, გვ. 12.

[37] Научно-исследовательский институт сравнит. истории литератур и яз. запада и востока (ასეთი შემოკლებებითაა ა. რომასკევიჩის მიერ ხელმოწერილ ოქმებში). ამ ოქმების ასლი დაცულია იუსტ. აბულაძის პირად არქივში. არქივში აღმოჩნდა აგრეთვე ა. რომასკევიჩის სამი წერილი იუსტინე აბულაძისადმი, რომლებიც განეკუთვნებიან 1925 წელს. ეს წერილები უმეტესად პირადი ხასიათისაა, ამიტომ მათზე აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რომასკევიჩი შემდეგშიც დაინტერესებული ყოფილა იუსტ. აბულაძის საქმიანობით.

აქვე ნიკო მარის გამოხმაურებიდან მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს, რომელნიც მოწმობენ მეცნიერის მიერ იუსტ. აბულაძის სადოქტორო გამოცდებისა და, საერთოდ, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დადებითად შეფასების ფაქტს:

«Иустин Ираклиевич Абуладзе по грузинскому языку и грузинской литературе должен был выявить свой познания на основе предложенной ему и совместно с ним обсужденной программы, достаточные для квалификации специалиста по персидской литературе и языку, исследующего влияние персидской литературы на грузинскую. Между тем он обладает грузиноведными знаниями в мере, вполне достаточными не только для подсобной отрасли науки, но и для таго, чтобы признать его научно вполне вооруженным для самостоятельных историко-литературных изысканий в определенной части, именно в части произведений эпического и романического характера. В этой части у него уже имеется фактически вполне заслуженная репутация специалиста. Достаточно знать, что И. И. Абуладзе мы обязаны первым изданием грузинской версии персидской эпопей Шахнамэ с критическим аппаратом и с глоссариями, чтобы признать в нем вполне квалифицированного научного работника по средневековой грузинской литературе. Грузиноведная область ему обязана другим основным текстом важнейшего памятника грузинской светской литературы – «Витязя в барсовой шкуре», первым опытом воспроизведения рукописного подлинника, как он подлежал в слывущей за лучший список рукописи . . . Изданиие И. И. Абуладзе оказалось снабженным опять-таки филологическим аппаратом, толкованиями трудных и редких слов, свидетельсвующими о прекрасном знании грузинского языка, умении выявлять вклады различных языков мусульманской культуры, равно армянского языка в грузинские литературные памятники по его специальности. Он один из немногих руставелистов, единственный по полноте знакомство с литературой. Творению Шоты из Рустава им посвящена не одна работа... При учете факта, что Иуст. Ир. Абуладзе уже известный исследователь с независимыми взглядами по основным вопросам средневековой грузинской литературы, я не нуждался собственно в коллоквиуме, чтобы признать его в полне квалифицированным научным работником по грузинской филологии. Ряд вопросов по занимающим его темам, в частности Руставели,

Вирамиани и Житию Григория Хандзтийского мог только лишний раз потвердить то, что и без того известно...»[38]

იუსტინე აბულაძის არქივში აღმოჩნდა აგრეთვე მეცნიერის ხელით თაბახის დიდ ფურცლებზე 2 ცალად შედგენილი ქართული მწერლობის ისტორიის ვრცელი და ამომწურავი გეგმა, დაწყებული V საუკუნიდან XX საუკუნემდე, სათანადო წყაროების მითითებით, რომელიც მეცნიერს წარუდგენია სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭოსადმი სადოქტორო ხარისხზე გამოცდების ჩასაბარებლად.

ამავე პერიოდთან არის დაკავშირებული იუსტ. აბულაძის განცხადება თბილისის სახელმწიფო უნიერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს სახელზე, სადაც მეცნიერი დაწვრილებით აცნობს საბჭოს ზემოთ აღნიშნული გამოცდების ჩაბარების წესს, თავისებურებასა და მის მიღწევებს სპეციალურ დარგში. ვინაიდან ეს წერილი უცნობია ფართო საზოგადოებისათვის და, თავის მხრივ, ავსებს მეცნიერის ამ პერიოდის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამიტომ მას აქ სრულად წარმოვადგენთ:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური
ფაკულტეტის საბჭოს

იუსტინე აბულაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე უკვე წარმოუდგინე საბჭოს გამოცდების ჩაბარების საბუთები სპარსულ ფილოლოგიასა და მის დამხმარე საგანში.

[38] Проф. Н. Марр, Отзыв об Ю. И. Абуладзе, Архив АН СССР, А – 1273, 1924 г.

აწ მაქვს პატივი განგიმარტოთ ამ საბუთების მოპოების ისტორია და მნიშვნელობა. ჩემი გამოცდები წარმოებდა ძველებურად, ე.ი. ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველი წესების დროს. ამ მხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტის კოლეგიას განსაკუთრებულ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე, რადგან ჩემებრი ასპირანტისათვის მას პრეცენდენტი არ მოეპოებოდა: მას იქ არსებული წესების მიხედვით, არც ჰქონდა ჩემი გამოცდის უფლება ამ სახით, რა სახითაც მე გამომცადეს. მაგრამ მან ჰოვა ასეთი გამოსავალი; მან განსაკუთრებული ხასიათი მისცა და სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა საკითხს, სახელდობრ, მან განსაკუთრებული მსჯელობა იქონია ჩემზე, როგორც ისეთ ასპირანტზე, რომელიც ასრულებს ლექტორის თანამდებობას ისეთ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც გამოცდებისათვის ძველი წესები არსებობს და ამასთან თვით გამოსაცდელის დამსახურებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების უმეტნაკლებოდ გაცნობა და დაფასება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქართული ენის მცოდნეთათვის, რადგან, ჩემი დამსახურება მეცნიერებისადმი გამოიხატა მხოლოდ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში, სპარსულ-ქართულ ფილოლოგიის სფეროში. ამიტომაც აკადემიკოსის მარრის მიერ კოლეგიაში წარდგენილი აზრის თანახმად, კოლეგიამ წინადადება მომცა წარმედგინა მისთვის ჩემი curriculum vitae, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი გარემოებანი:

1) მე, მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული ვიყავი საქმეებით მთელი 24 წლის განმავლობაში, როდი გამიწყვეტია კავშირი ჩემ სპეციალობასთან.

2) ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობა დავიწყე ტფილისში ჩემივე უახლობელესი თანამშრომლობით დაარსებულ საისტ. და საეთნ. საზოგადოებაში.

3) ჩემი სპეციალური კვლევა-ძიება სპარსულ-ქართული ფილოლოგიის სფეროში, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საკითხის დეტალური კვლევა-ძიება და სპარსულ-ქართული სიტყვებისა და

ფრაზების ურთიერთ შორის შესატყვისობათა განხილვა ისეთ მეგლებში, როგორიცაა: „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიები, (იხ. სხვათაშორის, „მე-12 საუკ. ქართ. საერო მწერლობის ხასიათი“, საისტ. და საეთნ. საზოგად. კრებ., ძვ. საქ., I-ლი ტომი, 1909 წ.), სპარსული „შაჰ-ნამეს“-ს, ანუ ფირდოუსის „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების შესწავლის დროს შესრულებული კვლევა-ძიება, რაც უმთავრესად გამოიხატა სპარსულ-ქართული ფილოლოგიის სფეროში სპარსულისა და ქართული ტექსტების შედარებითს შესწავლაში და ამის შედეგად შესაფერი წინასიტყვაობის, ტექსტისათვის კომენტირების და სპეციალური ქართულ-სპარსული ლექსიკონის შედგენაში და სპეციალისტ-ირანისტებისათვის საყურადღებო ახალი და უცნობი ფაქტების აღმოჩენაში. ყველაფერი ეს აღნიშნული ჰქონდა სხვადასხვა დროს თავის შენიშვნებში აკადემიკოს ნიკო მარრს.

კოლეგიის დასკვნით, ჩამოთვლილ ნაშრომებში ნათლად ჩანს ავტორის მხრით სპარსული ენის, მუსულმანური კულტურისა და სპარსულ-ქართული ურთიერთობის ცოდნა, და იმ გამოცდებთან ერთად, რომლებიც მან ჩააბარა თავის სპეციალურ დარგში, ე. ი. სპარსულ ფილოლოგიაში, სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ იგი ცნობილ იქნას სრულიად მომზადებულად დამოუკიდებელი სამეცნიერო და საპროფესორო მუშაობისათვის (ამონაწ. გ/წ. 22 დეკემბ. სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტის კოლეგიის სხდომის ოქმიდან).

ამნაირად, როგორც ჩემი გამოცდების შედეგად, ისე მეცნიერებისადმი დამსახურებათა ნიშნად, მებოძა მე ის საბუთები, რომელიც მე წარმო[ვ]უდგინე საბჭოს ორი უკანასკნელი სხდომისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემ მიერ წარმოდგენილი საბუთები ზემორე დასახელებული გამოცდების შედეგია, და ტფ. უნივერსიტეტის მიერ მიღებული წესებიდან თუ გამოვალთ, – ეს გამოცდები უდრის ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო გამოცდების პირველ ნაწილს, ე.ი. ზეპირ გამოცდებს. მაგრამ ამასთანავე კოლეგიამ

მხედველობაში მიიღო ჩემი ნაკვლევები სპარსულ-ქართული ფილოლოგიის სფეროში და მიმდინარე მუშაობა – დაუბეჭდავი ნაშრომები: სპარს. გრამატიკა, ქრესტომატია, სპარს.-ქართ. ლექსიკ. და ახალი გამოკვლევა „სპარს. წყაროები (ეპიური და ეპიურ-რომანტიული) ძველი ქართული მწიგნობრობის ძეგლებში და მათი მნიშვნელობა ქართული მწერლობისა და ენის განვითარების ისტორიაში“ და, საერთოდ, დამაკმაყოფილებლად აღიარა ჩემი ოთხი თვის მუშაობა კოლეგიის წევრთა პირდაპირი ხელმძღვანელობის ქვეშ და აგრეთვე ის მეცნიერული ბაასიც, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩემს სპეციალურ საკითხებში გამოცდის დროს.

ამნაირად მე წარმოვადგინე საბჭოს წინაშე ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი სამეცნიერო საბჭოსაგან ბოძებული საბუთები, რომლებითაც მე მენიჭება სპეცის უფლება (ე.ი. დამოუკიდებელი კათედრის დაჭერა სპარსულ ფილოლოგიაში) და გთხოვთ მაუწყოთ ფაკულტეტის დადგენილება მათ შესახებ, ან და ის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს მათ ფაკულტეტის საბჭო.

იუსტინე აბულაძე

ტფილისი 11 თებერვალი 1925 წ.“[39]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში დაცულ იუსტინე აბულაძის პირად საქმეს, № 308, ახლავს ამ საკითხთან დაკავშირებული ერთი დოკუმენტის ასლი, პროფესორების ივ. ჯავახიშვილის, გ. ნათაძის და კ. კეკელიძის ხელმოწერით, სადაც დასტურდება, რომ იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე პროფესორთა საბჭოს მიერ 1925 წლის მარტში

[39] მეცნიერის პირადი არქივიდან.

თანახმად წინასწარ არჩეული საკვალიფიკაციო კომისიის წინადადებისა, დამტკიცებულ იქნა დოქტორანტად ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საგამოცდო სესიებში სადოქტორო გამოცდების ჩაბარების შედეგად მოპოვებული საბუთების საფუძველზე.

ამდენად, ლენინგრადში მოპოვებული მეცნიერ-ირანოლოგის მაღალი კვალიფიკაციის მიღების საფუძველზე 1925 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობიდან გამოყოფილმა საკვალიფიკაციო კომისიამ, რექტორ პროფ. ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე დაამტკიცა დოქტორანტობის ხარისხში – ირანოლოგიაში.

არქივში მივაკვლიეთ ამ პერიოდთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საინტერესო წერილს, რომელსაც აკად. ა. კრიმსკის დავალებით წერდა იუსტ აბულაძეს ჩვენთვის უცნობი პირი (სამწუხაროდ გვარი ვერ ამოვიკითხეთ). წერილი დათარიღებულია 1925 წლის 21 აპრილით. წერილის P. S. -ში აღნიშნულია, რომ „Акад. Крымский просит сообшить, что наилегче ему дать отзив о Вашей равоте, грузинской версии Шах-наме.“ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, გამოეხმაურა თუ არა მართლაც აკად. ა. კრიმსკი იუსტ. აბულაძის ამ ნაშრომს, მაგრამ თვით ფაქტი ყურადსაღებია. ეს კიდევ ერთი მანიშნებელია იმ დიდი რეზონანსისა, რაც იუსტ. აბულაძის ამ ნაშრომს გამოუწვევია მეცნიერთა ფართო წრეში.

ეს წერილი ყურადსაღებია იმითაც, რომ აქედან ირკვევა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დაინტერესებულობა არა მარტო იუსტინე აბულაძის პირადი შრომებით, არამედ საერთოდ ქართველი ირანისტების სამეცნიერო შრომებითაც,

რომლებიც სამწუხარიდ ვერ აღწევდნენ კიევის სამეცნიერო წრეებამდე. ამიტომ წერილის ავტორი უმორჩილესად სთხოვს იუსტ. აბულაძეს შეძლებისდაგვარად ამ ხარვეზის შევსებას. ვინაიდან წერილი საინტერესოა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მის აქ მთლიანად მოყვანას:

Глубокоуважаемый Коллеги!

По просбе акад. Крымского высылаю Вам те из его трудов, которые изданы Украинской Академией Наук за время ее существования. Денег мы с Вас не возмем, но покорнейше просим, по мере возможности, высылать нам как Ваши личние так и вообще Тифлисские научные труды, которые выходят там.

До нас почти ничего не доходит, а нужны они нам безусловно.

Труды акад. Крымского, изданные до революции, достать довольно трудно. Некоторые из них сохранились у него по 1 экз., а большинства даже и у него нет совсем. Если мой сотрудник, которому я поручил поискать их у букинистов Киева – достанет что-нибудь, я охотно вышлю их Вам наложным платежом. Конечно легче всего было-бы достать их в Москве в бывш. Лазаревском институте, но обратиться туда лучше уж Вам лично.

С искр. уваж ..... (?)

სულ მოკლე დროში, კერძოდ, 1927 წელს, იუსტინე აბულაძეს ენიჭება დოცენტის, ხოლო სამი წლის შემდეგ, 1930 წელს, პროფესორის სამეცნიერო წოდება. აღნიშნულ წოდებაში იუსტ. აბულაძე დამტკიცებულ იქნა საქართველოს სახალხო კომისარიატის მიერ 1932 წლის 26 ოქტომბერს. 1938 წელს კი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლების საქმეთა სრულიად საკავშირო

კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, ს. კაფტანოვის თავმჯდომარეობით, იუსტინე ირაკლის ძე აბულაძეს, მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომების საფუძველზე, დისერტაციის დაუცველად, „ჰონორის კაუზას“ წესით მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული იუსტინე აბულაძეს აგრეთვე რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. მეცნიერის ანკეტური მონაცემებიდან ირკვევა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ინსტიტუტში, რომელიც 1933 წელს 10 ივნისამდე დაარსდა და „ელხის“ (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) სახელწოდებით იყო ცნობილი,[40] 1934 წლის 1 ოქტომბერს იუსტ. აბულაძე დაინიშნა ფირდოუსის, ხოლო 1937 წლის დეკემბერში რუსთაველის სექციის გამგედ.

არქივში დაცულ ერთ ბართში (დათარიღებულია 1941 წლის 6 მარტით), რომლის ადრესატიც არის თსუ-ს რექტორი დ. ყიფშიძე, იუსტ. აბულაძე საგანგებოდ აღნიშნავს და დიდ მადლიერებას გამოთქვამს იმჟამად ქართველ მწერალთა მუზეუმის, ხოლო შემდგომ კი შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, გ. ლეონიძის მიმართ, რომელმაც ინსტიტუტის დაარსებიდან ნახევარი წლის შემდეგ მოახერხა იუსტ. აბულაძის უფროს წევრ-თანამშრომლად გაყვანა, რის გამოც მეცნიერს მიეცა

[40] იხ. ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი“ (1918-1968), გვ. 85.

შესაძლებლობა მიეტოვებინა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში შეთავსებით მუშაობა, სადაც ხელმოკლეობის გამო იძულებული იყო ინსტრუქციების მთარგმნელად ემუშავა. ამავე ბარათსა და და კიდევ ერთ სხვა ბარათში, რომელიც სამწუხაროდ ნაკლულია, იუსტინე აბულაძე ასევე ემადლიერება და დიდი სიმპატიით იხსენიებს უნივერსიტეტის რექტორს, გ. კიკნაძეს, რომელსაც თავისი რექტორობის ხანმოკლე პერიოდში დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოუჩენია მეცნიერისადმი. მასვე უმადლის იუსტ. აბულაძე ლიტერატურის ინსტიტუტში რუსთაველის სექციის გამგედ გაყვანასაც.

აღსანიშნავია იუსტინე აბულაძის ღვაწლი ფირდოუსის, რუსთაველის და დავით სასუნელის იუბილეების ღირსეულად ჩატარების საქმეშიც. ამ უკანასკნელისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში იუსტ. აბულაძემ 1939 წელს საინტერესო წერილიც კი გამოაქვეყნა სათაურით: „«დავით სასუნელი» და ქართული ეპოსი“[41].

იუსტინე აბულაძეს მონაწილობა აქვს მიღებული აგრეთვე ნ. მარისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, აქტიური მონაწილე იყო უნივერსიტეტის ჟურნალ „ლიტერატურული მემკვიდრეობისა“ და უნივერსიტეტის „შრომებისა“.

1939 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

---

[41] სინანულს იწვევს ის ფაქტი, რასაც იუსტ. აბულაძე ზემოთ მოყვანილ დ. ყიფშიძისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ ის რატომღაც ღირსად არ ჩათვალეს იუბილესთან დაკავშირებით სომხეთში გასამგზავრებლად, რაც თავის მხრივ სასომხეთის სამეცნიერო საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

დ. ყიფშიძე, პროფესორი იუსტინე აბულაძე დაინიშნა ირანოლოგიის კათედრის გამგედ დროებით, ხოლო 1940 წლის 21 მაისს სსრკ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ იუსტინე აბულაძე დაამტკიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანოლოგიის კათედრის გამგედ. ამით ასრულდა მეცნიერის დიდი ხნის ოცნება, რომელსაც წლების მანძილზე დიდი გულისტკენაც ახლდა თან. არქივში დაცული ორი წერილიდან (დათარიღებულია 1926 წლის 24 აპრილით და 17 დეკემბრით) ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძისთვის სპარსულ ფილოლოგიაში დამოუკიდებელი კათედრის დაჭერის უფლება ჯერ კიდევ 1925 წელს მიუნიჭებია ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებულ უმაღლეს სამეცნიერო საბჭოს, რაც ასე დაგვიანებით, მხოლოდ 1940 წელს განხორციელებულა.

1945-46 წლიდან ირანოლოგიის კათედრა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ჩამოყალიბებისთანავე, გადაკეთდა სპარსული ფილოლოგიის კათედრად, რომელსაც იუსტ. აბულაძე პენსიაზე გასვლამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა. ნიშანდობლივია, რომ ეს კათედრა დღემდე მის სახელს ატარებს.

იუსტინე აბულაძე კათედრის ხელმძღვანელობას კარგად უთავსებდა მთელ რიგ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხშირად კითხულობდა ლექციებს ლექტორიუმში. მეცნიერის არქივს შემოუნახავს მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ იგი აქტიური მონაწილე იყო თბილისის მასწავლებლის სახლთან ჩამოყალიბებული ლიტერატურულ-პედაგოგიური წრისა. ასე მაგალითად, 1941

წლის 2 თებერვალს იუსტ. აბულაძეს წრის სხდომაზე წაუკითხავს ლექცია თემაზე: „ნიზამი განჯელის ცხოვრება და შემოქმედება“. თითქმის სისტემატიურად ესწრებოდა წრის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს.

ვინაიდან ქრონოლოგიას მივყვებით, ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე ერთი ფაქტის გახსენებაც. როგორც ცნობილია ილია ჭავჭავაძის მკვლელის – გიგლა ბერბიჭაშვილის გასამართლების დროს, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა 1941 წლის 25 დეკემბრიდან 1942 წლის 5 იანვრამდე უმაღლესი სასამართლოს დახურულ კრებაზე, იმის გასარკვევად, იყო თუ არა ბერბიჭაშვილი ნამდვილად სპარსეთში 1907-1921 წლებში და ფლობდა თუ არა სპარსულ ენას, რასაც ბრალმდებელი ირწმუნებოდა, სასამართლოზე მოწვეულ იქნა პროფ. იუსტ. აბულაძე. ამ უკანასკნელს ბერბიჭაშვილის გამოცდის შემდეგ დაუსკვნია, რომ მას არც ერთი სიტყვა სპარსულის (ფარსული) არ სცოდნია, ფლობდა მხოლოდ აზერბაიჯანულ ენას.[42]

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ იუსტინე აბულაძე არა მარტო სამეცნიერო წრისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც ცნობილი იყო როგორც სპარსული ენის კარგი სპეციალისტი.

იუსტინე აბულაძის ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე არაერთგზის იქნა სათანადოდ აღნიშნული.

---

[42] იხ. ვარლამ ძიძიგური, მასწავლებლის მოგონებები, თბ., 1957, გვ. 235, 236.

1938 წლის 15 ივლისს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის პრეზიდიუმის მიერ იგი დაჯილდოვდა წარჩინების სიგელით სასწავლო პროცესის სანიმუშოდ დაყენებისა და კადრების მომზადებისათვის.

1941 წლის 1 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის დ. ყიფშიძის მიერ 1939/40 აკადემიური წლის წარჩინებული მუშაობისათვის იუსტინე აბულაძე დაჯილდოვდა ვახუშტის „გეოგრაფიის“ საუკეთესო გამოცემით (თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 იანვრის ბრძანებით, იუსტინე ირაკლის ძე აბულაძეს მეცნიერების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

იუსტინე აბულაძე 1946 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებული იქნა მედლით დიდი სამამულო ომში 1941-45 წ.წ. მამაცური შრომისათვის[43].

ამავე წელს ის იღებს მოწვევას იოსებ ორბელისგან ირანისტთა საკავშირო ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად, რაც მეცნიერის კიდევ ერთ აღიარებას ნიშნავდა.

ამავე წლის ზაფხულში იუსტ. აბულაძეს სამეცნიერო მივლინებით უმოგზაურია ლენინგრადში, სადაც მას გადაუთვალიერებია, გადაუწერია და შესადარებლად გამოუყენებია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის

[43] საგულისხმოა, რომ იუსტ. აბულაძე მხოლოდ 74 წლის ასაკში, 1948 წელს, შედის სკკპ რიგებში.

წიგნთსაცავსა და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ნაციონალურ განყოფილებაში არსებული საჭირო მასალები მის მიერ გამოსაცემად მოსამზადებელი სპარსული ლიტერატურის ისტორიის ხარვეზების შევსებისა და დაზუსტების მიზნით.

1954 წლის 7 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტმა აღნიშნა იუსტინე აბულაძის დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი, ხოლო 1955 წლის პირველი სექტემბრიდან კი, თანახმად პირადი განცხადებისა, იუსტინე აბულაძე გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან. მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ამ ფაქტთან დაკავშირებული ბრძანების ასლი:

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №97

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტისადმი
21 თებერვალი 1956 წელი

დამატებით 1955 წლის 21 სექტემბრის № 641 ბრძანებისა აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წინაშე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იუსტინე ირაკლის ძე ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს, რომელიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა 1918 წლიდან და მიუძღვის დიდი დამსახურება ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის დანერგვისა და განვითარების საქმეში, როგორც ახალი კადრების აღმზრდელს, სახელმძღვანელოების შემქმ-

ნელს, სპარსული ფილოლოგიის კათედრის დამაარსებელს და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, მაქსიმალური ოდენობის პენსიის დანიშვნის შესახებ.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის
რექტორი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ/წ
პროფესორი – ვ. კუპრაძე

მხცოვანი მეცნიერი პენსიაზე გასვლის შემდეგაც აქვეყნებდა წერილებს[44]. მისი უკანასკნელი წერილი 1962 წელს, მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გამოქვეყნდა. ეს წერილი წარმოადგენდა რეცენზიას მისი ნამოწაფარის, პროფ. დ. კობიძის ნაშრომზე – „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, რეცენზია მან უკვე ლოგინად ჩავარდნილმა დაწერა, სადაც მხცოვანმა მეცნიერმა გამოხატა ის ჭეშმარიტი სიხარული და აღფრთოვანება, რაც მისი ნამოწაფარის მონოგრაფიამ მიანიჭა. იუსტ. აბულაძეს ახარებდა ისიც, რომ მის მიერ წამოწყებულ მუშაობას ასე ღირსეულად აგრძელებდა მისი მოწაფე, რომელმაც თავად მეცნიერის სიტყვებით: „თავის დაუფასებელ შრომაში საუკეთესოდ გაამართლა მეტწილად ის, რაც კი ჩემ მიერ „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების სპარსულ წყაროებთან დამოკიდებულების საკითხში გამოთქმული მოსაზრებებით ნავარაუდები და საგულვებელი იყო, აგრეთვე გაამართლა და თანაც უფრო გააღრმავა პროფ. ალ. ბარამიძის მიერ მოპოვებული ფაქტები

[44] თუმცაღა პენსიაზე გასვლის ფაქტი იუსტ. აბულაძისათვის არცთუ ისე უმტკივნეოლო აღმოჩნდა, როგორც ამას მისი ერთ-ერთი პირადი წერილიდან ვიგებთ.

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროების კვლევა-ძიების საქმეში“.[45]

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იუსტ. აბულაძესა და ალ. ბარამიძეს შორის სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებზე არსებული მძაფრი პოლემიკისა და, ერთ დროს, დაძაბული ვითარების მიუხედავად, მათ შორის პირადული ურთიერთობა არ შერყეულა. ეს კარგად ჩანს ერთი პატარა ბარათიდან, რომელიც იუსტ. აბულაძემ ფოსტით გაუგზავნა ალ. ბარამიძეს:

„ჩემო სასიქადულო ნამოწაფარო, ფრიად პატივცემულო ალექსანდრე!

იმედი მაქვს, ჩვენი ჰარმონიული თანხმობა ჩვენი მეცნიერებისათვის საჭირო ფრიად სასარგებლო საქმის კეთილად მოგვარებაში იმდენად მტკიცეა, რომ მას ძირი არ გამოეთხრება. ჩვენ კი ვეცდებით, რომ იოტის ოდენადაც კი ჯაფა არ მოგაყენოთ ჩვენგან ზედმეტი დატვირთვის მხრივ. გულითადი პატივისცემით ი. აბულაძე.

1. III. 52. კრენკელის ქ. № 29“.[46]

საინტერესოა ალ. ბარამიძის მოგონებაც. როდესაც იგი „ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიებზე დისერტაციას

---

[45] იუსტინე აბულაძე, რეცენზია: დავით კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თსუ შრომები, ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 348.

[46] ალექსანდრე ბარამიძე, ახლო წარსულიდან, 1983, გვ. 262-263. [აქვე შევნიშნავთ, რომ წურწუმიას ქუჩას, სადაც იუსტ. აბულაძე ცხოვრობდა, ადრე ერქვა კრენკელის ქუჩა].

იცავდა 1936 წლის 5 მარტს, ოფიციალურ რეცენზენტ-ოპონენტებად ჰყავდა კ. კეკელიძე და იუსტ. აბულაძე. აი, რას წერს ალ. ბარამიძე: „კ. კეკელიძემ თუმცა საერთოდ დადებითად შეაფასა ჩემი შრომა, მეტისმეტად მკაცრად გააკრიტიკა იგი. ძალიან დაძაბული ვითარება იყო დაცვის წინაც და დაცვის დროსაც. პირველ ოპონენტად გამოვიდა იუსტ. აბულაძე. მან განმაცვიფრებლად შთამბეჭდავი, ამაღელვებელი, მამობრივი სიყვარულით გამსჭვალული შესავალი სიტყვა წარმოთქვა, სანამ საკუთრივ სადისერტაციო შრომის განხილვას შეუდგებოდა. მე ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმ დღეს და ბატონ იუსტინე აბულაძის გამამხნევებელ სიტყვას“.[47]

ასეთი მზრუნველი, ჰუმანური დამოკიდებულება ჰქონდა იუსტ. აბულაძეს ახალგაზრდა მეცნიერთა მიმართ.

პენსიაზე გასვლის შემდეგ იუსტინე აბულაძე უფრო ხშირად მოგზაურობდა თავის მშობლიურ სოფელ როკითში, ხშირად ისვენებდა ქობულეთში ქალიშვილებთან ერთად. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ავადმყოფობდა ფილტვების ანთებით, ხოლო ბოლო ორი თვე ლოგინიდან აღარ ამდგარა. იუსტინე აბულაძე გარდაიცვალა 1962 წლის 1 ივნისს, 88 წლის ასაკში, შუაღამისას, საკუთარ ბინაზე (წურწუმიას ქ. № 11, 26 კომისრის რაიონი), შვილებისა და ახლობლების მზრუნველობით გარშემორტყმული. სიკვდილის წინ თავისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრის, ქალბატონ ნინოსათვის გამოურთმევია ხელი, მაგრად მოუჭერია და ასე დაულევია სული. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე გონზე იყო. 7 ივნისს, მეცნიერის დაკრძალვის დღეს, მის საფლავთან დი-

[47] იქვე, გვ. 255.

დუბეში, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს აკად. აკ. შანიძემ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით), აკად ალ. ბარამიძემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით), პროფ. გ. თავზიშვილმა (მწერალთა კავშირის სახელით) და პროფ. დ. კობიძემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სახელით). თითქოსდა სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ იუსტინე აბულაძე დიდუბის პანთეონში მისი ძველი მეგობრისა და თანამოაზრის, ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით დაკრძალეს.

ბედნიერია ის კაცი, რომლის სახელი და ნაღვაწი ღირსეულად ფასდება.

1964 წლის 24-26 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და აღმოსავლეთმცოდეობის ფაკულტეტმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა იუსტ. აბულაძის დაბადების 90 წლისთავი. მის ხსოვნას მიეძღვნა უნივერსიტეტის შრომების 108-ე ნომერი (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია). 1974 წლის 19, 20 და 21 დეკემბერს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ უღრმესი პატივისცემით კიდევ ერთხელ გაიხსენა ქართული ირანისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ამაგდარი მეცნიერი, ცნობილი ქართველი ირანისტი და რუსთველოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე და საიუბილეო საღამოთი და სამეცნიერო სესიით აღნიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი.

როგორც პროფ. დ. კობიძე აღნიშნავდა, „პროფ. იუსტინე აბულაძის საზოგადოებრივი და მეცნიერული მუშაობა იმდენად ფართოა და მრავალფეროვანი, იმდენად ნაყოფიერია და მნიშვნელოვანი, რომ უკვდავს ხდის მის სახელს ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიისათვის".[48]

მოგვიანებით მანვე სინანულით აღნიშნა: „ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრთა პირველ შემადგენლობაში იუსტინე აბულაძე, ამდენი ხნის ნაამაგარი კაცი, არ იქნებოდა შეყვანილი. ბევრი აკადემიკოსის ხსენება მისი გარდაცვალებისთანავე ქრება, იუსტინე აბულაძე კი სიკვდილის შემდეგ თანდათან იზრდება, უკეთ, რამდენადაც ჩვენ ვიზრდებით და გასაგები ხდება იმ დიდი მუშაობის შედეგები და ნაყოფიერება, რაც იუსტ. აბულაძის მიერაა გაწეული, გასაგები ხდება მისი ღვაწლი და ის წარუშლელი კვალი, რაც მან გაავლო ქართული კულტურის ისტორიაში".[49]

ასევე მართებულად აფასებდა აკად. ალექსანდრე ბარამიძე იუსტ. აბულაძის სამეცნიერო მოღვაწეობას, როცა წერდა: „პროფესორი იუსტინე აბულაძე პირველი მეცნიერია საქართველოში აკადემიკოს ნიკო მარის შემდეგ, რომელიც სათანადოდ ფლობს სპარსულ ენასა და ლიტერატურას და იყენებს ამ ცოდნას ძველი ქართული საერო მწერლობის საკითხების გასაშუქებლად ... პროფესორი იუსტინე აბულაძე საჭირო მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, გამოცდილი და საკმაოდ ნაყოფიერი მეცნიერი მკვლევარია, რომელსაც მნიშვნელოვანი

---

[48] დავით კობიძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ შრომები, № 108, აღმ/მც. სერია, 1964, გვ. 13.

[49] დავით კობიძე, როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა (მეორე გამოცემა), თბ., 1977, გვ. 135.

წვლილი აქვს შეტანილი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საგანძურში“.[50]

აქვე უნდა ითქვას, რომ პიროვნების უკეთ შესამეცნებლად, გარდა მისი მეცნიერული თუ საზოგადოებრივი ნამოღვაწარის ღრმად შესწავლისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის გათვალისწინება. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ თითქოსდა უმნიშვნელო, პატარა პირადი ბარათის წყალობით შუქი მოჰფენია ბევრი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს.

იუსტინე აბულაძის პირად არქივზე მუშაობის პროცესში მრავალ საინტერესო მასალას და პირად წერილს მივაკვლიეთ. სამწუხაროდ, მეცნიერის პირადი არქივი არ იყო სისტემაში მოყვანილი და სრულად დაცული. მისი გარკვეული ნაწილი ინახებოდა თურმე მეცნიერის მშობლიურ სოფელ როკითში (ყოფილი ბაღდათის, შემდგომ მაიაკოვსკის რაიონი), მის მამაპაპისეულ სახლში, რომელიც განადგურებულა სახლის დაწვის დროს, მაგრამ ის, რაც მოვიძიეთ, ვფიქრობთ, ძალზე საინტერესო და საგულისხმოა.

იუსტინე აბულაძე, როგორც მისი თანამედროვენი იხსენებდნენ, უცნაური, წინააღმდეგობრივი ბუნების კაცი ყოფილა, უცბად სცოდნია გაცხარება, თუმცა მალე ივიწყებდა წყენას. მისი უცნაურობა კი, ჩვენი აზრით, იმაში გამოიხატებოდა, რომ ის ზოგჯერ არცთუ უსამართლოდ განაწყენებულა ზოგიერთ თავის კოლეგასა და მოწაფეზე, მაგრამ არასოდეს არ უცდია მათთვის სამაგიეროს გადახდა, პირიქით,

---

[50] ალექსანდრე ბარამიძე, პროფესორი იუსტინე აბულაძის მეცნიერული შრომების მოკლე დახასიათება, უნივერსიტეტის არქივი, საქმე № 81 (1938 წ.).

ყოველთვის ახალისებდა ახალგაზრდა მეცნიერთა საქმიანობას და გულმხურვალედ ეხმაურებოდა მათ წარმატებებს. ალ. ბარამიძე თავის მოგონებებში იუსტ. აბულაძეზე წერს, თუ როგორ სწყენია მას, როდესაც 1957 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, რომელიც ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით დაიბეჭდა, დართული ჰქონდა არა მისი, არამედ ა. შანიძის ლექსიკონი, მანამდე კი – 1937 წლიდან 1956 წლამდის – პოემის ყველა გამოცემას იუსტ. აბულაძის ლექსიკონი ახლავდა. აი, რა უთქვამს მეცნიერს ალ. ბარამიძისათვის ტელეფონით: „გავეცანი ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემას (1957 წლის გამოცემას), უნდა გამოვთქვა ჩემი დიდი გულისწყრომა. შენგან ამას არ მოველოდი, რატომ ამოაგდეთ ჩემი ლექსიკონი, ცოტა დაგეცადათ, ჯერ ცოცხალი ვარ, ცოცხალია ჩემი ლექსიკონიც. იმიტომ დაგირეკე, რომ ჩემი გულისწყრომის ამბავი გადასცე შენს კოლეგებს, დასამალი არაფერი მაქვს“.

ბიოგრაფიული მასალისა და პირადი წერილების შესწავლის საფუძველზე იუსტინე აბულაძე წარმოგვიდგება ისეთ პიროვნებად, რომლისთვისაც ბუნებრივი იყო შემოქმედებითი სიხარულისა თუ რაიმე უმსგავსოებით გამოწვეული ტკივილისა და მწუხარების მწვავე განცდა. იგი პასუხს ეძიებდა მრავალ საკითხზე, რომელსაც მოულოდნელად აყენებდა ცხოვრება მის წინაშე. იგი ღირსეული იყო მაშინაც, როცა თავისი შეცდომების აღიარებას არ ერიდებოდა და სამართლიან კრიტიკასაც იღებდა, თუმცა ხშირად უყვარდა თურმე ერთი ფრთიანი ფრაზის გამეორება: „ყველას ბამბა ჩხრიალებს, ჩემი კაკალიც კი არაო“. მისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ბევრი რამ იცვლებოდა, ბევრ ქარტეხილს გაუძლო, ბევრი რამ მისაღები ან უარსაყოფი ხდებოდა. გარე სამყაროს მუდმივი ცვალებადობა,

რა თქმა უნდა, გარკვეულ კვალს ტოვებდა მის ცხოვრებაში, მაგრამ მრავალი სულიერი ტკივილისა და სიძნელის მიუხედავად, სულით არასოდეს არ ეცემოდა, ყოველნაირად ცდილობდა გამოსავლის პოვნას და, რაც მთავარია, ყოველთვის ერთგული რჩებოდა თავისი ადამიანური ბუნებისა და მეცნიერული მოწოდებისა. აკი სწერდა კიდეც იგი უნივერსიტეტის რექტორ დავით ყიფშიძეს თავის ერთ-ერთ წერილში: „კალამს მე ხელიდან არ გავაგდებ, სანამ პირში სული მიდგას, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიქნე“.

იუსტინე აბულაძე რომ მუდამ გამოირჩეოდა მოვალეობის მაღალი შეგნებით, დაუზარებლობით, უბრალოებითა და პრინციპულობით, ამას მისი თანამედროვენიც აღნიშნავდნენ.[51] თავად იუსტ. აბულაძეც იმ აზრისა იყო, რომ „მეცნიერი კარგავს ღირსებას, თუ ის მხოლოდ მეცნიერის სახელს ატარებს, სინამდვილეში კი მოკლებულია მორალურ თვისებებსო“.

როგორც მისი ახლობლები იხსენებდნენ, იგი ვერ იტანდა უსამართლობას, ამპარტავნობას, ყოყოჩობას, დაცინვას და, საერთოდ, ჩაგვრას. ბავშვივით გულუბრყვილო და მიმნდობი იყო; სრულიად არაპრაქტიკული საყოფაცხოვრებო საკითხებში. მას თურმე ისე დაათენდებოდა მუშაობის პროცესში, ისე სწყდებოდა რეალობას, ისე ვერ გრძნობდა დროის გასვლას, რომ ერთხელ შვილიშვილიც კი (იუზა აბულაძე) გაუოცებია, როცა დილის 7 საათზე ამდგარისათვის უკითხავს, „ჯერ არ დაგიძინია, უკვე ხომ გვიანიაო“, არადა კარგა ხნის გათენებული ყოფილა, მას კი ისევ ღამე ეგონა.

---

[51] იხ. დავით კობიძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ-ს შრომები, № 108, აღმ/მც. სერია, გვ. 13.

საკვირველი ბუნების კაცი იყო, მეზობლის ბავშვიც რომ შემოსულიყო, ფეხზე ადგებოდა, სკამს მიაწოდებდა, გვერდით მიუჯდებოდა და კარგი მეგობარივით დაუწყებდა საუბარს[52].

იუსტ. აბულაძე, რომ უბრალოებითა და სისადავით გამოირჩეოდა, ამას მოწმობს პროფ. დ. კობიძის სტუდენტური წლეების მოგონებაც მეცნიერზე: „...აღნიშნულ ენაში (იგულისხმება სპარსული – ნ. მ.) ლექციების კურსი უნდა წაეკითხა იუსტ. აბულაძეს, „ვეფხისტყაოსნისა“ და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გამომცემელს, სპარსული კლასიკური ენისა და ლიტერატურის შესანიშნავ მცოდნეს, რომლის სახელი შორს იყო გავარდნილი. ყოველივე ამის გამო მისი ლექციების მოსმენის სურვილმა სტუდენტობის დიდი ნაწილი მიიზიდა... დანიშნულ დროზე აუდიტორიაში მოვგროვდით და დიდი ინტერესით მოველოდით იუსტ. აბულაძის გამოჩენას. ჩვენ გვეგონა ის იქნებოდა ჩასუქებული კაცი, დიდი პორტფელით, რა თქმა უნდა, კოსტუმში გამოწყობილი. ზარი დაირეკა. ცოტა ხნის შემდეგ კარი შემოაღო უბრალოდ მორთულმა კაცმა, რომელსაც არც კოსტუმი ეცვა და არც ჰალსტუხი ეკეთა. ნახევრად დაფლეთილი პორთფელი მაგიდაზე დადო, ხელში ცარცი აიღო და დაფაზე სპარსულ-არაბული ასოების წერა დაიწყო. არავითარი შესავალი საუბარი მას არ ჩაუტარებია... იუსტინე აბულაძე მაშინ მოხუცად არ ჩაითვლებოდა, სამოც წელსაც არ იყო მიღწეული, მაგრამ ახალგაზრდობის თვალში მაინც მოტეხილი კაცის შთაბეჭდილებას

[52] საერთოდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პედაგოგიური დისციპლინების განვითარებას, ვინაიდან მომხრე იყო ბავშვში პატარობიდანვე ყველა იმ საჭირო თვისებების დანერგვისა, რასაც დიდაქტიკა მოითხოვდა.

ტოვებდა....იგი არ იყო კარგი პედაოგი, როგორც დღეს უნივერსიტეტში მომუშავე ბევრი სახელოვანი მეცნიერი კარგ პედაგოგობას ვერ დაიჩემებს, მაგრამ მისი მეცნიერული შემოქმედება ყოველთვის დასაფასებელია. მე ამას ბოლოს მივუხვდი. მასთან საუბრების გზას დავადექი. ყოველი გასაუბრება შედეგიანი აღმოჩნდა, ასე შევისწავლე მისგან სპარსული ენა. ასე გამიწია მან კონსულტაციები როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას და მეცნიერების ფართო გზაზე გამომიყვანა.“[53]

აქვე გვინდა გავიხსენოთ ცნობილი თურქოლოგის, იუსტინე აბულაძის ცოლის ძმისშვილის, პროფ. ცისანა აბულაძის მონათხრობი, დაკავშირებული პროფ. მაგალი თოდუასთან, რასაც თავად მაგალი თოდუაც აღნიშნავს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში (ჟურ. „კალამი“, 2012, №11, გვ. 20-26): ...თურმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი მაგალი თოდუა, როდესაც ის რიგში იდგა პურის ტალონის ასაღებად უნივერსიტეტის I კორპუსის I სართულზე, შემთხვევით შეხვდა იუსტინე აბულაძეს, რომელსაც ის, მართალია, სხვაში შეშლია, მაგრამ ეტყობა მეცნიერისთვის გუმანს არ უმტყუნია, დაუყოლიებია ახალგაზრდა სტუდენტი, დეკანთანაც უშუამდგომლია და მისი წყალობით მაგალი თოდუა ფილოლოგიის ფაკულტეტიდან გადასულა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე (სპარსული ენის განხრით). სწორედ, ამ დღემ განსაზღვრა შემდგომში ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის ბედი. მაგალი თოდუა იუსტინე აბულაძის ღირსეულ მოწაფედ იქცა.

---

[53] დავით კობიძე, როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა (მეორე გამოცემა), თბ., 1977, გვ. 133, 135, 136.

4. სამეცნიერო მოღვაწეობა

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, არა მარტო იუსტინე აბულაძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაცნობა საარქივო მასალების მიხედვით, არამედ მისი ფართო სამეცნიერო ნამოღვაწარის გაშუქება ზოგადად.

პოფ. იუსტინე აბულაძის კალამს ასამდე სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის.[54] მისი შრომები ძირითადად შეეხება ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის, სპარსული ენის, სპარსული ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის საკითხებს.

დიდია მისი დამსახურება ქართული ლექსიკოლოგიის განვითარების საქმეშიც. მას, გარდა „ვეფხისტყაოსნის", „ვისრამიანის", „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების ცნობილი ლექსიკონებისა, შედგენილი აქვს არაბულ-სპარსული ტერმინების ლექსიკონი, რომელიც ექიმ ლ. კოტეტიშვილის მიერ გა-

---

[54] იუსტ. აბულაძის დახასიათებაში, რომელიც დათარიღებულია 1951 წლის თებერვალში და რომელსაც ხელს აწერენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ნ. ნ. კეცხოველი და უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. მ. ბახტაძე, აღნიშნულია, რომ მეცნიერი 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. იუსტ. აბულაძის შრომების 1964 წელს გამოცემული ბიბლიოგრაფია ჩვენ შეძლებისდაგვარად შევავსეთ გამოტოვებული ნაშრომებით, მაგრამ აღნიშნულ რაოდენობას მაინც ვერ მივაღწიეთ. ამისი მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ის, რომ მეცნიერის პირადი არქივი არ იყო სათანადოდ დაცული და მოწესრიგებული. შესაძლოა დაიკარგა მისი გამოუქვეყნებელი ზოგიერთი წერილიც და ასევე ის მოხსენებებიც, რომლებსაც ის ზემოთ დასახელებულ სხვადასხვა საზოგადოებების სხდომებზე კითხულობდა, რომელთა დაბეჭდვაც ალმბათ, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა.

მოცემულ კარაბადინის სამივე ტომს ერთვის („წიგნი სააქიმოჲ“, 1936 წ., „იადიგარ დაუდი“, 1927 წ., „უსწორო კარაბადინი“, 1949 წ.).

20-30-იან წლებში რუსული ენის ვრცელი, აკადემიური ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაც იუსტინე აბულაძეს ეკუთვნის. მის მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ I ტომი გამოიცა 1927 წელს შემდეგი სათაურით: „რუსულ-ქართული ლექსიკონი, სალიტერატურო, საპოლიტიკო, სატექნიკო და უცხო სიტყვათა ჩართვით“ (А-К), ხოლო მეორე ნაწილი არ დაბეჭდილა.[55] სამწუხაროდ, დაუბეჭდავია მისი სპარსულ-ქართული ლექსიკონიც.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკას, ნიკო მარის შემდეგ, იუსტინე აბულაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ასე ფართოდ და ნაყოფიერად მოჰკიდა ხელი მისი შესწავლისა და შეჯერების საქმეს. ამ საკითხს აქ მოგვიანებით შევეხებით.

იუსტინე აბულაძე იკვლევდა აგრეთვე ზოგი ეთნიკური და გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიას. ამ საკითხებს მიუძღვნა მან შემდეგი წერილები: ტერმინი „გურჯის“ ეტიმოლოგიისათვის;[56] სახელის „სასანის“ ეტიმოლოგიისათვის;[57] სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის (ბაბოთი, ბაგინეთი, ოზურგეთი) და სხვ. როგორც დ. კობიძე აღნიშნავს: „ზოგიერთი მათგანი, მაგალითად „გურჯის“ შესახებ გამოთქმული

---

[55] იხ. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკიკითხი, თბ. 1983, გვ. 203, 213-215.

[56] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, 1936, გვ. 265-268.

[57] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, 1939, გვ. 279-281.

მოსაზრებები (კრებული „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934, გვ. 293-300), დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას“.[58]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. იუსტინე აბულაძის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა არ შემოიფარგლებოდა მარტო სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობისა და რუსთველოლოგიური საკითხების კვლევით. მას ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, სპარსული ფილოლოგიის განვითარებისა და წინსვლის საქმეში. მართებულად შენიშნავს პროფ. დ. კობიძე, როდესაც წერს, რომ „სპარსული ლიტერატურის ძეგლების ქართული თარგმანების კვლევა, რანაირი ხერხებითა და მეთოდებით არ უნდა იყოს შესრულებული ეს თარგმანები, სპარსული ლიტერატურის კვლევაცაა, რადგანაც ის სპარსული თხზულებების შესწავლასაც გულისხმობს. ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენი ღვაწლი დასდო პროფ. იუსტინე აბულაძემ სპარსულიდან ნათარგმნი თუ გადამუშავებული ძეგლების კვლევა-ძიებას“.[59]

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პროფ. იუსტინე აბულაძე 40 წლის განმავლობაში დაუღალავად მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კითხუობდა სპარსული ენისა და ლიტერატურის ისტორიის კურსებს. „ის იყო პირველი მეცნიერი საქართველოში, რომელმაც ნაშრომები დაწერა აღნიშნულ დარგებში“.[60] მის მიერ ორჯერ გამო-

---

[58] დავით კობიძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 108, გვ. 14.
[59] იქვე, გვ. 20.
[60] იქვე, გვ. 21.

ცემულ (პირველად - 1936 წელს, მეორედ - 1953 წელს) „სპარსული ენის სახელმძღვანელოს“ (ქრესტომატიითა და ლექსიკონით) დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა და დიდ დახმარებას უწევს როგორც სტუდენტებს, ისე კლასიკური სპარსული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთ. იუსტ. აბულაძემ დაწერა აგრეთვე „სპარსული ლიტერატურის ისტორიის“ სახელმძღვანელო კურსი 25 საავტორო თაბახის ოდენობით, რომლის საბოლოო რედაქცია, სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო. ეს ნაშრომი დაუბეჭდავია და მისი შავად დაწერილი, დაუმთავრებელი ვარიანტი ინახებოდა მეცნიერის არქივში. აკად. ალ. ბარამიძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ იგი ბევრს ფიქრობდა და მუშაობდა ამ ნაშრომის შექმნაზე. მას შედგენილი ჰქონია თავისი ლექციების კონსპექტები, გააჩნდა სპარსული კლასიკური მწერლობის საკუთარი თარგმანების ნიმუშები, რომელთაგან ზოგიერთი გამოაქვეყნა კიდეც. კარგად იცნობდა საგნის სპეციალურ ლიტერატურას. ამ სახელმძღვანელოთი იუსტ. აბულაძეს განზრახული ჰქონდა აესახა სპარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები, კერძოდ, როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავდა, ამ ურთიერთობის ორმხრივი ხასიათი – როგორც სპარსულის ზემოქმედება ქართულზე, ისე ქართულის კვალი ირანის სულიერი კულტურის ისტორიაში.[61] ამასვე აღნიშნავდა პროფ. ტრიფონ რუხაძე, რომ თბილისის უნივერსიტეტის რამდენიმე თაობას და მათ შორის მასაც მოსმენილი ჰქონია იუსტ. აბულაძის სპარსული ლიტერატურის ისტორიის კურსი და სინანულით შენიშნავ-

[61] ალექსანდრე ბარამიძე, ახლო წარსულიდან, თბ., 1983, გვ. 263-264.

და, რომ ეს კურსი არ დაბეჭდილა („ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი", 1989, 230). ალ. ბარამიძეც თვლიდა, რომ ურიგო არ იქნებოდა ამ წიგნის თუგინდ დაუმთავრებელი სახით გამოქვეყნება. მაგრამ, სამწუხაროდ, მის კვალს ვერ მივაკვლიეთ მეცნიერის არქივში. თუმცაღა არქივში აღმოჩნდა 2 დოკუმენტი, რომლებიც ამ უკანასკნელი სახელმძღვანელოს შექმნის ისტორიას ეხება. მათგან ერთია იუსტ. აბულაძის განცხადება სსრ კავშირის უმაღლესი განთლების მინისტრის მოადგილის, პროფ. ვ. ნ. სტოლეტოვისადმი, რომლითაც მეცნიერი ითხოვს ვადის გაგრძელებას ნაშრომის საბოლოოდ დასრულებისათვის, და მეორე – თვით სტოლეტოვის ბრძანების ასლი მეცნიერის თხოვნის დასაკმაყოფილებლად:

Заместителю министра высшего образования Союза ССР,
профессору В. Н. Столетову

глубокоуважаемый Всеволод Николаевич!

С 1-го сентября 1953 года, согласно вашему распоряжению, мне было поручено в течение 2-х лет составить учебник – «История персидской литературы» (с древних времён до XV в. н. э.), причем, на этот период, я был освобождён от педагогической нагрузки по кафедре.

В настоящее время я закончил работу над учебником, однако, для окончательного оформления моего труда необходимо поработать в архиве, предусмотренные же для этого командировки мне предоставлены не были.[62]

[62] მეცნიერი ითხოვდა მივლინებას ბაქოში თავისი ნაშრომის შემოწმებისა და საბოლოო დაზუსტებისათვის, რაც ირკვევა იუსტ. აბულაძის ხელით დაწერილი პატარა ანგარიშიდან, რომელიც ამ საბუთებთან ერთად აღმოჩნდა არქივში.

Кроме того, мне пришлось параллельно заканчивать учебник персидского языка, начатый мною ещё в 1952 году и который издавался в течение лета 1953 года непосредственно под моим руководством, из-за чего пришлось пожертвовать летним отдыхом (чтобы предоставить студентам учебное пособие к началу учебного года).

Приступая с нового учебного года к работе на кафедре, я считаю своим долгом выразить Вам сердечную благодарность за созданные Вами благоприятные условия для моей работы над учебником.

Одновременно, прошу Вас, если возможно, продлить мне до конца текущего года срок моей работы, так как, учитывая мой преклонный возраст, педагогическая нагрузка может затянуть окончательное оформление моего многолетнего труда.

Приложение – Приказ по Министерству Культуры СССР № 69 от 9 июня 1953 года.

Заслуженный деятель науки
Доктор филологических наук
Профессор – (Ю. Абуладзе)
10 сентября 1955 г.
г. Тбилиси

Копия

Приказ
По Министерству Культуры СССР

г. Москва № 69-к 9-го июня 1953 года

Содержание: об утверждении профессора Абуладзе Ю. И. автором учебника «История персидской литературы» для высших учебных заведений.

В соответствии с распоряжением Совета Министров СССР от 15-го июля 1952 года № 17893-р

Приказываю:

1. Освободить профессора Абуладзе Юстина Ираклиевича с 1-го сентября 1953 года от фиксированной нормы учебной нагрузки.

2. Поручить профессору Абуладзе Ю. И. работу над рукописного учебника «История персидской литературы» (с древних времен до XV в. н. э.), с таким расчетом, чтобы в течение двух лет рукопись была сдана в издательсво Тбилисского государственного университета.
3. Планово-финансовому Управлению Главного Управления высшего образования предусмотреть дополнительно Тбилисскому государственному университету имени И. В. Сталина по кафедре персидской филологии, начиная с 1-го сентября 1953 года, необходимую штатную должность по согласованию с управлением университетов юридических вузов.

Заместитель Министра Культуры СССР
В. Столетов

როგორც იოსებ მეგრელიძე აღნიშნავს, „იუსტინე აბულაძე ბეჭდავდა აგრეთვე წერილებს და ნარკვევებს ომარ ხაიამის, საადი შირაზელის, ჰაფიზის, აბდურ რაჰმან ჯამის, ნიზამი განჯელის, რუდაქისა და ირანის სხვა მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თარგმნა სპარსული პოეზიის ნიმუშები (მაგ., ომარ ხაიამის „რუბაიები“, დაბეჭდილია ჟურ. „კავკასიონში № 1–2, 1924 წ.), რითაც ხელი შეუწყო აღმოსავლური პოეზიის პოპულარიზაციას საქართველოში“.[63] პროფ. დ. კობიძეც მიუთითებდა, რომ „იუსტინე აბულაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ომარ ხაიამის სახელით ცნობილი რობაიები თარგმა, რითაც ქართველი მკითხველი გაეცნო სპარსული პოეზიის ამ შესანიშნავ ნიმუშებს“.[64] აქვე გვინდა დავაზუსტოთ, რომ ჩვენთვისაც, როგორც

[63] იოსებ მეგრელიძე, რუსთველოლოგები, 1970, გვ. 199.
[64] დ. კობიძე, თსუ შრომები, № 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, 1964, გვ. 21.

დ. კობიძე აღნიშნავს, ცნობილია მხოლოდ იუსტ. აბულაძის მიერ თარგმნილი ომარ ხაიამის რობაიები, ხოლო დანარჩენ ზემოთ დასახელებულ პოეტთა შესახებ არქივში ვერაფერი მოვიძიეთ, გარდა იმ ცნობისა, რომ პოეტ ამბაკო ჭელიძის მიერ შესრულებული ნიზამი განჯელის „ლეილ-მეჯნუნიანის“ ცნობილი ქართული თარგმანი სათანადოდ დაზუსტებულ იქნა იუსტინე აბულაძის მიერ სპარსულ დედანთან შეჯერების გზით. მასვე ეკუთვნის პოემის ტექსტისთვის ლექსიკონისა და წინასიტყვაობის შედგენაც. მეცნიერის არქივში აღმოჩნდა ამავე ფაქტთან დაკავშირებული იუსტინე აბულაძის ხელით დაწერილი ოქმის მეორე ცალი, რომელიც გვამცნობს, რომ 1947 წლის 4 სექტემბერს დღის 3 საათზე, აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტში, აუდიტორია № 157-ში, შემდგარა სპარსული ფილოლოგიის კათედრის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ კათედრის წევრები: პროფ. იუსტ. აბულაძე, დოც. დ. კობიძე, უფ. მასწავლებელი კ. ფაღავა, დოც. ვ. ფუთურიძე, ენის ლექტორი ქერიმ ნაგიბოვი, პარტორგი ჯიბო ლომაშვილი. სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფ. იუსტ. აბულაძის მოხსენება თემაზე: „პოეტ ამბაკო ჭელიძის შესრულებული ნიზამის «ლეილა ო მაჯნუნის» ქართული თარგმანი, – სპარსულ დედანზე შემოწმების გზით დაზუსტებული და დასასტამბად დამზადებული იუსტინე აბულაძის მიერ“.

მოხსენების გარშემო ჩატარებული დისკუსიის შედეგად დაადგინეს: „პოეტ ამბაკო ჭელიძის მიერ შესრულებული ნიზამის «ლეილა ო მაჯნუნის» ქართული თარგმანი, რომელიც სათანადოდ დაზუსტებულია დედანზე შემოწმების გზით პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ და შედგენილია მის მიერვე

ლექსიკონი პოემის ტექსტისათვის და წინასიტყვაობა, გამოქვეყნდეს, რაც შეიძლება მალე, როგორც ფრიად საჭირო მეცნიერული ნაშრომი და მასთან საინტერესო საკითხავი წიგნი".

სამწუხაროდ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს თარგმანი დღემდე არ გამოქვეყნებულა.

საინტერესოა იუსტინე აბულაძის რეცენზიები, რომლებიც ეხება მოსე ჯანაშვილის მიერ ქართული ენის სასკოლო გრამატიკის გამოცემას;[65] კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის პირველ ტომს, რომელიც ძველ მწერლობას მოიცავს;[66] სილოვან ხუნდაძის სალიტერატურო ქართულს;[67] ს. რ. გორგაძის საქართველოს ისტორიას;[68] ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით გამოცემულ „ვისრამიანს";[69] დ. კობიძის – „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების სპარსულ წყაროებს[70] და სხვა.

იუსტინე აბულაძის წინასიტყვაობითა და მოკლე მიმოხილვით გამოვიდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის

---

[65] რეც.: ქართული გრამატიკა მოსე ჯანაშვილისა, ტფ., 1906 წ. – გაზ. „ისარი", 1907, №№ 5, 6, 8, 10, 11.

[66] რეც.: პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი მწერლობა, ტფ., სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, ტფ., 1923 წ. – გაზ. „ქართული სიტყვა", 1924, №№ 16, 18, 19.

[67] რეც.: სილოვან ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901 წ. – „მოგზაური", 1902, № 6, გვ. 394-398; № 7-8, გვ. 494-496.

[68] რეც.: ს. რ. გორგაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1910 წ. – „სახალხო გაზეთი", 1911, № 300.

[69] რეც., „ვისრამიანი", ალ ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ტფ., 1938 წ. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXVII, 1946, გვ. 87-100.

[70] რეც.: დავით კობიძე, „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959, გვ. 284 – თბილისის უნივერსიეტის შრომები, ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, ტ. III, 1962, გვ. 343-352.

ანთოლოგიის I ტომი (V-XII საუკუნის ჩათვლით) – „ქართული მწერლობა მეხუთიდან მეცამეტე საუკუნემდე“, – რედაქტორი იყო ია ეკალაძე.[71]

ინტერესს იწვევს მისი შემდეგი წერილებიც: ქართული მატიანის ძველი სომხურის თარგმანის გამო;[72] ეს ახალგაზრდა იუსტინეს პირველი ნაბეჭდი ნაშრომი იყო, მიძღვნილი ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობისადმი, რომელსაც მარი ბროსე „სომხურ ქრონიკას“ უწოდებდა; ცხოვრება და შრომები ექვთიმე ათონელისა, რომელიც რუსულად არის დაბეჭდილი;[73] ქართული გერბი (სპილენძის ლორფინის გამო);[74] პროფესორ მარის საინტერესო მოგზაურობა;[75] ექსკურსია ანის მიდამოებში...;[76] კურთხევანის დაბეჭდვის გამო (ალ. ხახანაშვილის და სხვ. წერილების პასუხად);[77] სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად;[78] როგორ უნდა გავიგოთ „შოთა კუპრი“;[79] ირანული თეატრის დასაწისი;[80] „დავით სასუნელი“ და ქართული ეპოსი;[81] შესანიშნავი ეპოსი (დავით სასუნელის შესახებ);[82] ერთი რეცენზიის

---

[71] ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. I (V-XII საუკ.), ტფ.-ქუთ., 1927.

[72] „მოგზაური“, 1901, № 4, გვ. 317-327.

[73] Жизнь и труды св. Ефимия Афонского. – Кавказский Вестник, Тифлис, 1901, № 7, стр. 1-5.

[74] საქართველოს კალენდარი, 1903, გვ. 384-390.

[75] გაზ. „დროება“, 1909, № 31.

[76] გაზ. „თემი“, 1911, № 24.

[77] „განათლება“, 1912, № 2, გვ 147-155.

[78] ქართული ლექსიკონის შესახებ, ტფ., 1915.

[79] გაზ. „კომუნისტი“, 1935, №87, 12 აპრილი, გვ. 3.

[80] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1939, № 5, გვ. 13-16.

[81] საიუბილეო კრებული: დავით სასუნელი, თბ., 1939, გვ. 63-68.

[82] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1939, № 9, გვ. 18-20.

გამო.[83] ეს უკანასკნელი წერილი წარმოადგენს იუსტინე აბულაძის პასუხს კ. ტაბატაძის რეცენზიაზე აბულაძის მიერ გამოცემულ სპარსული ენის სახელმძღვანელოს შესახებ.

რაც შეეხება იუსტინე აბულაძის ღვაწლს სპარსულ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის საქმეში, რომელსაც საქართველოში მან ჩაუყარა საფუძველი, მას ასე აფასებს აკად ალ. ბარამიძე: „იუსტინე აბულაძე სპარსულ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა პირველხარისხოვანი, დაუცხრომელი მკვლევარია ნიკო მარის შემდეგ".[84]

სწორედ ქართული საერო მწერლობისა და სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლა იყო იუსტინე აბულაძის ყველაზე საყვარელი და უმნიშვნელოვანესი საქმე. ამ მიზნით ის შეეხო ისეთ ძეგლებს, როგორიცაა „ბარამგურიანი", „ბარამგულანდამიანი", „ამირანდარეჯანინი" და სხვ. საინტერესო და ყურადსაღებია მისი მოსაზრებები და დაკვირვებები „ამირანდარეჯანიანის" წარმოშობის თაობაზე, რომელსაც მეცნიერმა ორი წერილი მიუძღვნა: 1. „ამირანდარეჯანიანის" წარმოშობის საკითხისათვის[85] და 2. „ამირანდარეჯანიანის" და „ვეფხისტყაოსნის" წარმოშობის ისტორიისათვის.[86] ასევე ინტერესს იწვევს მისი დაკვირვებანი ქართული ლიტერატურის აღორძინების ხანის შესანიშნავი ძეგლის „ბარამგურიანის" ლიტერატურული რაობის შესახებ, რომელიც

---

[83] გაზ." სახალხო განათლება", 1956, № 9.

[84] ალ. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, თბ., 1983, გვ. 262.

[85] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", თბ., 1936, № 3, გვ. გვ. 31-35.

[86] თეზისები, თსუ სამეცნიერო სესია, თბ., 1940, 7-11 მაისი, გვ. 182.

ორ წერილში აქვს განხილული: 1. ბარამ-გურიანი (მ. ა. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ)[87] და 2. ძველი ლიტერატურული ძეგლი („შვიდი მთიები" – „ბარამ გური").[88]

პირველ წერილში იუსტინე აბულაძე აღწერს და დაწვრილებით მიმოიხილავს ხარკოველი სტუდენტ-ფილოლოგის, მიხეილ ანდრიას ძე აბულაძის მიერ ერთ ადგილობრივ ბუკინისტთან აღმოჩენილ ნოდარ ციციშვილის გალექსილ „ბარამ-გურიანის" ხელნაწერს, რომელიც მეცნიერის წინადადებით შეუძენია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს საზოგადოების საგანძურისათვის (ან მუზეუმ-ბიბლიოთეკისათვის).

არსებული ხელნაწერებისგან განსხვავებით, ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის ღირსებად მკვლევარს მიაჩნია ის, რომ მას შემოუნახავს ძვირფასი ცნობა „ბარამ-გურიანის" ავტორის ვინაობის შესახებ, რაც დაცულია იმ ბოლო მინაწერში, რომელიც მოსდევს მელექსის ბოლოსიტყვაობას. ცნობიდან ირკვევა, რომ ხელნაწერის გადაწერა დასრულებულა ნოდარ ციციშვილის ბრძანებით, მასვე უთარგმნია სპარსულიდან ქართულად და მასვე გამოუთქვამს ლექსად „ბარამ-გურიანი".

იუსტინე აბულაძის დასკვნით, ხელნაწერი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც მელექსე ცხოვრობდა, ე.ი. XVII საუკუნის პირველ ნახევარს, რაზედაც აშკარად მიანიშნებს ქაღალდი, წერის მანერა – მსხვილი და მრგვალი ლამაზი მხატვრული ხელი და შეუბღალავი მართლწერა, რაც ახასიათებს საერთოდ ქართული მწერლობის აღორძინების პირველ ხანებს, რო-

[87] „სახალხო გაზეთი", 1913, № 818.

[88] ჟურ. „მნათობი", 1936, № 10-11, გვ. 240-255.

დესაც მეტი სიფრთხილით ეკიდებოდნენ წიგნების გადაწერას, შემდეგი დროის ზოგიერთი უვიცი გადამწერისაგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად ასწორებდნენ სიტყვებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იუსტინე აბულაძე აქვე მიუთითებს მის მიერ პირველად მიგნებულ საინტერესო ანთოლოგიური ხასიათის ცნობაზე დ. გურამიშვილის „დავითიანში“, რომელშიც ნოდართან ერთად მოხსენიებულია დავით გურამიშვილის დრომდე ცნობილი ყველა მელექსე შოთადან დაწყებული, მეფის მდივან მამუკა თავაქალაშვილით დამთავრებული.[89]

აქვე იუსტინე აბულაძე საგანგებოდ ჩერდება ნოდარ ციციშვილისა და მისი მამის პიროვნებაზე და ასწორებს ექვთიმე თაყაიშვილის ერთ შეცდომას, რომელიც ალ. ხახანაშვილისაგან მომდინარეობს და აზუსტებს, რომ „ფარსადანის ძე“ ნოდარ ციციშვილის მამის სახელით მოხსენიებაა და არა გვარი – Парсаданидзе (იხ. ე. თაყაიშვილის „Описние“, стр.140, 525).

იუსტინე აბულაძე ნოდარ ციციშვილს, თავის „მარჯვე და მოხდენილი ლექსით“, „უმაღლესად განვითარებული ენითა“ და „იშვიათი პოეტური აღრფთოვანებით“ ღირსად ხდის, რომ იგი თეიმურაზ პირველსა და დავით გურამიშვილს ამოვუყენოთ გვერდით.

მეორე წერილი სარეცენზიო ხასიათისაა და მასში იუსტინე აბულაძეს კრიტიკულად აქვს მიმოხილული პროფ.

---

[89] იხ. დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 29, სტროფ. 18: „შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება, / მეფე ვახტანგ და იაკობ [დაბლა] ზილს მიეტკბურება; / ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება, / დვრინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება“.

კორნელი კეკელიძის რედაქციით, შესავალი წერილითა და ლექსიკონით გამოცემული ძველი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლი „შვიდი მთიები“ (ბარამ-გური).[90]

პირველ რიგში მკვლევარი მიუთითებს იმ გაუგებრობაზე, რასაც ძეგლის სათაურის შეცვლა იწვევს,[91] ხოლო სათაურის ასეთ გადასხვაფერებას შეუძლია სრულიად შეცვალოს წარმოდგენა ამ ნაწარმოების სიუჟეტის ხასიათსა და მის წარმოშობაზე. იუსტ. აბულაძე ასევე აღნიშნავს, რომ არც ნიზამის „ჰაფთ ფაიქარი“ და არც ჰათეფის „ჰაფთ მანზარი“ არ ნიშნავს 7 მთიებს. ორივე ერთი და იგივეა და აღნიშნავს სახეს ანუ ფიზიონომიას, ფიგურას, პორტრეტს. მკვლევრის აზრით, პოემის ტრადიციული სათაური „დიდი ბარამიანი“, სავსებით გამოხატავს წიგნის აზრსა და შინაარსს, რომელიც ბარამგურიანის ყველა სამიჯნურო თავგადასავალს მოიცავს, იმ ცალკე ეპოზოდებისაგან განსხვავებით, როგორიცაა „ბარამგულანდამიანი“ და „ბარამგულიჯანიანი“.[92]

---

[90] ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები (ბარამ-გურიანი), პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, თბ., 1930.

[91] იუსტ. აბულაძის ამ შენიშვნას ყურადღება მიაქცია გრ. ნახუცრიშვილმა: „პროფ. იუსტ. აბულაძემ სარეცენზიო წერილში დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ნაწარმოების სახელწოდების ასეთი შეცვლა არ არის მიზანშეწონილი“ („ბარამგურიანის“ ზოგიერთი ადგილის განმარტებისათვის, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 2, 1959, გვ. 259). ამავე წერილში ეგევე ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ „მკვლევრებს, „ბარამ-გურიანი“ აინტერესებდათ, როგორც ლიტერატურული ძეგლი და ამდენად მისი ენა ნაკლებად არის შესწავლილი. ამან კი გარკვეული დაღი დაასვა თვით ტექსტის გაგებას, რაზედაც ჯერ კიდევ პროფ. იუსტ. აბულაძე მიუთითებდა“ (გვ. 259).

[92] იუსტ. აბულაძე, ძველი ლიტერატურული ძეგლი („შვიდი მთიები“ – „ბარამ-გური“), მნათობი, 1936, № 10-11, გვ. 244-245.

რეცენზენტი ყურადღებას ამახვილებს კ. კეკელიძის მიერ დასმულ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა ქართული მწერლობის აღორძინების ხანის დასაწყისისა და ლიტერატურული გავლენების დადგენის საკითხები.

იუსტ. აბულაძე იზიარებს პროფ. კ. კეკელიძის აზრს ქართული მწერლობის აღორძინების ჩასახვის თაობაზე არა მე-16 საუკუნეში, არამედ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ არ გამორიცხავს სეფევიდების ირანული მწერლობის გავლენის ფაქტს ქართული მწერლობის აღორძინებაზე.[93]

მართალია, იუსტინე აბულაძე კრიტიკულად უდგება კ. კეკელიძის მიერ პოემის ორიგინალურ ნაწარმოებად მიჩნევის საკითხს, მაგრამ ერთის მხრივ ეთანხმება მას იმაში, რომ ქართულად გალექსილი „ბარამ-გურიანი“ წარმოადგენს თავისებურ ქართულ რედაქციას, სადაც ავტორი სიტყვა-სიტყვით ძალიან იშვიათად მისდევს ორიგინალის ტექსტს, ხშირად კვეცავს ზოგიერთ ადგილს, ამასთან მოხერხებულად ცვლის და ასხვაფერებს აღმოსავლურ-მუსლიმური ცხოვრებისა და კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს წმინდა ეროვნული და ქრისტიანული ელემენტებით, მაგრამ, მისი აზრით, ამ საკითხზე მაინც მხოლოდ მაშინ შეიძლება რაიმე მისაღები დასკვნების გამოტანა, როცა პოემის ტექსტი შედარებული იქნება როგორც ნიზამისა და მისი მიმბაძველების ტექსტებს, ისე თურქული ვერსიების ტექსტს. ამისთვის კი უწინარესად მიიჩნევს როგორც სპარსული, ისე თურქულ-ჩაღათაური ტექსტების მოძიებას.[94]

---

[93] იქვე, გვ. 240-242.

[94] იქვე, „მნათობი“, 1936, № 10-11, გვ. გვ. 245-246, 247.

იუსტ. აბულაძის მართებული შენიშვნით, „ბარამგურიანის“ ქართული რედაქციის ნოველების სპარსულ წყაროებთან შეჯერება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ნოდარ ციციშვილი მათი გალექსვის დროს უშუალოდ სპარსული ტექსტებით კი არ სარგებლობს, არამედ მათი პროზაული თარგმანებით. ამგვარივე მდგომარეობაა ზუსტად „შაჰ-ნამეს“ მიბაძვებში, რაშიც, მკვლევრის სიტყვებით, ერთი შეხედვითაც შეიძლება დარწმუნდეს „შაჰ-ნამეს“ ვერსიებზე მომუშავე.[95] პროფ. დ. კობიძე თავის დროზე მიუთითებდა, რომ იუსტ. აბულაძეს აქ მხედველობაში აქვს არა ნიზამის ნოველების სპარსულ ტექსტებთან ქართულის სათანადო ადგილების ურთიერთობა, არამედ პოემის ჩაღათაურ ვერსიასთან დამოკიდებულება და საგულვებელი პროზაული ვერსიაც მას თურქულ წყაროდან მომდინარედ მიაჩნია, თუმცა აქვე დასძენდა, რომ „ბარამგურიანის“ ქართული პროზაული ვერსიის არსებობა დღემდე არსად არ არის დადასტურებული და ასეთი რომც აღმოჩნდეს, მისი წყაროები მაინც საძიებელი იქნება.[96]

ამ საკითხთან დაკავშირებით იუსტ. აბულაძე მიუთითებს აგრეთვე თავის ზემოთაღნიშნულ წერილს, რომელიც, სამწუხაროდ, უცნობი დარჩენილა კ. კეკელიძისათვის. უფრო მეტიც, კ. კეკელიძეს თავისი გამოცემის მომზადების დროს არც ის ხელნაწერი გამოუყენებია, რომელიც თავის დროზე პირველად იუსტ. აბულაძემ 1913 წელს აღწერა. კრიტიკულადაა განხილული რეცენზიაში კ. კეკელიძისეული ტექსტის

---

[95] იუსტ. აბულაძე, ძველი ლიტერატურული ძეგლი, 1936, № 10-11, გვ. 247.

[96] დავით კობიძე, ბარამგურიანის გარშემო, წიგნში: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 145.

მთელი რიგი მცდარი წაკითხვები, მაშინ როცა ვარიანტები უფრო მართებულ წაკითხვას იძლევიან (დასტაქანნი – დასტაქარნი; დაეშვენნა – დაეშვენნეს; „მცა“ ნაწილაკის უადგილო ხმარება და ა. შ.).

იუსტინე აბულაძე აკრიტიკებს აგრეთვე პოემის ტექსტზე დართულ ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვის განმარტებას, მათ შორის უპირველესად თურქულ-სპარსული „სანდალი“ სიტყვის (სტროფი 152) განმარტებას. ეს სიტყვა ლექსიკონში განმარტებულია როგორც შანდალი (სასანთლე), ხოლო ტექსტში ის ნიშნავს საჯდომს, ანუ სკამს, სავარძელს, ასევე ტახტს (იქვე საყდარს).[97]

იუსტ. აბულაძის აზრით, შეცდომითაა განმარტებული სიტყვა „ჩოლი“ – უდაბნო, ურწყული ადგილი; ლექსიკონში კი ის განმარტებულია, როგორც დაბალი, სწორი და დაუმუშავებელი ადგილი, მინდორი. არასწორადაა განმარტებული სპარსული სიტყვა „ჰამდარდი“, რომელიც არა საამოდ საფიქრებელს, საზრუნავს, არამედ თანადარდს, თანატკივილს,

---

[97] ამ სიტყვის კ. კეკელიძისეულ განმარტებას თავის დროზე შეცდომაში შეუყვანია „ბარამ-გურიანის რუსულად მთარგმნელი, ცნობილი მეცნიერი და ქართველოლოგი ბ. რუდენკო, რომლის თარგმანი გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდგომ (Сем планет (Барам-Гуриани), пер. с древнегруз. Б. Руденко, М., 1975, 423 ст.), რაც აღნიშნული აქვს დ. კობიძეს ერთ-ერთ სარეცენზიო წერილში (იხ. დ. კობიძე, „ბარამ-გურიანის“ რუსული თარგმანი, „ლიტერატურული საქართველო“, 1976, № 7, 13 თებერვალი, გვ. 4). მთარგმნელი დაჰყრდნობია ლექსიკონის განმარტებას და საქორწილოდ მორთული დარბაზისათვის ეცოტავა რა ერთი შანდალი, იგი მრავლობით რიცხვში აუყვანია. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ იუსტ. აბულაძე ამ სიტყვას მიიჩნევდა თურქულ-სპარსულ სიტყვად, ხოლო დ. კობიძე რატომღაც აქ მიუთითებს, რომ იუსტ. აბულაძე მას არაბულ-სპარსულ სიტყვად მიიჩვევს.

პირისათვის მიკუთვნებით კი ნიშნავს გულშემატკივარს, ჭირისუფალს, თანამგრძნობელს.

ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს იუსტ. აბულაძე სიტყვა „ღაფალის“ განმარტებაში ისეთი ზედმეტი მნიშვნელობის შეტანას, როგორიცაა ცდუნება („ღაფალი“ – დაუდევარი, წინდაუხედავი, უგულო, უქმი). ხოლო ზოგიერთი სიტყვის განმარტებისას კ. კეკელიძის მიერ მათი ეტიმოლოგიის არცოდნას მიაწერს. ასე მაგ.: არაბული სიტყვა „ყიასი“ (სტროფი 159), რომელიც კონტექსტის მიხედვით კ. კეკელიძეს მიჩნეული აქვს როგორც „შეუდარებელი“, უნდა ნიშნავდეს „აგრეთვე ძვირფასს“ ანდა „ამგვარივე ძვირფასს (მსგავსადვე ძვირფასს)“.

იუსტ. აბულაძე თვლის, რომ კ კეკელიძე გაურბის ან გვერდს უხვევს ზოგიერთი ტერმინის ზუსტ განმარტებებსაც. ასე მაგალითად, მუსიკალური სიმებიანი საკრავის „ყანუნის“ სახელწოდება მის მიერ საერთოდ არ არის ლექსიკონში შეტანილი, ხოლო ოთხსიმიანი საკრავის „ჩართარის“ შესახებ მას მხოლოდ აღნიშნული აქვს, რომ იგი მუსიკალური ინსტრუმენტია, მაშინ როდესაც იგი არის იგივე ჩონგური. ასევე სიტყვა „მთულობდა“ (252,3) კ. კეკელიძეს განმარტებული აქვს როგორც მთასავით იდგა თუ იჯდა, „მთის შთაბეჭდილებას ახდენდა“, ხოლო იუსტ. აბულაძე კონტექსტში ნახმარ „მჭვრეტელთათვის მთულობდას“ განმარტავს შემდეგნაირად – „მჭვრეტელთათვის ანათებდა, ნათობდა, ანუ მნათობის (მთიების) მაგივრობას ასრულებდა“.

იუსტინე აბულაძე ასევე ნაკლად მიიჩნევს პროფ. კ. კეკელიძის მიერ არაბულ-სპარსული ფორმების ქართული ტრანსკრიფციით გადმოცემის უზუსტობას.

მოკლედ, ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანი“ აღორძინების ხანის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია, იგი დღესაც იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ჯერაც არ არის გარკვეული მისი წყაროების საკითხი, დასადგენია ტექსტოლოგიური და ლექსიკოლოგიური პრობლემები, მაგრამ ამ მუშაობაში აუცილებლად გასათვალისწინებელია იუსტ. აბულაძის ზემოთ წარმოდგენილი დაკვირვებანი.

როგორც ცნობილია, სპარსული ლიტერატურის გავლენის ბუნებრივად შემოჭრამ კლასიკური ეპოქის ქართულ მწერლობაში გამოიწვია კარის მწერლობის განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სპარსულ ლიტერატურაში გავრცელებული ეპიკურ-სადევგმირო ამბებსა და რომანტიკულ სიუჟეტებზე. ამ დროისათვის ცნობილი იყო სპარსული მწერლობის თითქმის ყველა საუკეთესო ნიმუში. ეს ლიტერატურა საკარო დანიშნულებისა იყო როგორც საქართველოში, ისე სპარსეთში. საერო მწერლები გარდა იმისა, რომ თარგმნიდნენ, შემდეგ თავადაც ქმნიდნენ ნაწარმოებებს სპარსული ლიტერატურის ნიმუშების მიბაძვით. საკარო ლიტერატურის ერთგვარ სამკაულს შეადგენდა მეფის პიროვნებისადმი მიმართული ხოტბები. ასეთია ქართულ მწერლობაში „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“ და ისეთი თარგმანები, როგორიცაა „ვისრამიანი“ ან ისეთი გადმოკეთებანი, როგორიც „ამირანდარეჯანიანია“.[98]

---

[98] იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესავალი წერილი: რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 45.

საერთოდ, ქართული საერო მწერლობის წარმოშობის საკითხის რთული კვანძის გახსნას იუსტ. აბულაძე შესაძლებლად მიიჩნევდა იმ არაბულ-ირანულ-ქართულ სინამდვილეთა შეჯერების ნიადაგზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიის დასაბამიდან დაწყებული XII-XIII საუკუნეთა მიჯნამდე. მხოლოდ ამგვარი შესწავლის გზით ესახებოდა მეცნიერს იმის ახსნა, თუ რატომ დგანან ასე ახლოს „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირანდარეჯანიანი“ სპარსულ სადევგმირო და ეპიკურ-რომანტიკულ სიუჟეტებთან როგორც შინაარსით, ისე ფორმით.[99]

წერილში „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხისათვის (დოც. ალ. ბარამიძის ნარკვევის გამო[100]) იუსტ. აბულაძე ეწინააღმდეგება ალ. ბარამიძის დებულებას იმის შესახებ, რომ „ამირანდარეჯანიანის“ საგულვებელი ირანული ორიგინალი „ყისაი ამირ ჰამზას“ არაბული ვერსიის წაბაძვით უნდა შექმნილიყო. იუსტ. აბულაძის აზრით, „ამირანდარეჯანიანი“ მე-9 საუკუნის „ყისაი ამირ ჰამზაზე“ უფრო ძველი ნაწარმოები უნდა იყოს, ვინაიდან მასში მოთხრობილი ამბები, როგორც საერთო აღნაგობით, ისე გარეგანი ჩარჩოებით ატარებენ ირანელთა ძველისძველი მეტად ტიპიური სადევგმირო ამბების ხასიათს, სადაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს ფალავნების დაუსრულებელ რკენას და უპირატესობა ყოველთვის ირანელ რაინდს ენიჭება, ხოლო „ყისაი ჰამზა“ კი „ამირანდარეჯა-

---

[99] იუსტ. აბულაძე, „ამირანდარეჯანიანის“ და ვეფხისტყაოსნის წარმოშობის ისტორიისათვის (თეზისები), თსუ სამეცნიერო სესია, 1940, 7-11 მაისი, თბ. 1940, გვ. 182.

[100] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიდან, ტფ., 1932, გვ. 29-47.

ნიანში“ მოთხრობილი წმინდა ირანული ტენდენციების მატარებელი სადევგმირო ამბების წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებია. ის მხატვრული პროზით დაწერილი ისმაილიტელთა ისტორიაა, რომელიც თავისი შინაარსით წმინდა არაბულ-მუსლიმური ტენდენციის გამომხატველია და მიმართულია ზოროასტრიელებისა და მათი კულტის წინააღმდეგ.[101]

რაც შეეხება „ამირანდარეჯანიანის“ სადევგმირო ამბების შემოჭრის საკითხს ქართულ სინამდვილეში, იუსტ. აბულაძე მას ხსნის სპარსულ-ქართული მჭიდრო კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე. ამდენად, საფალავნო მოარული თქმულებები, უკვე ირანული ეროვნული ფანტაზიით შეცვლილი და გააზრებული, ისევე როგორც ყველა ირანული ხასიათის ქართული საეპოსო ამბავი, ქართულ მწერლობაში (როგორც მხატვრულ, ისე ისტორიული ხასიათის ქრონიკებში) შემოიჭრა სწორედ ისლამიზებული ირანიდან და ირანული გავლენით გამოწვეული ტრადიციული ზეპირი სესხების აშკარა ფაქტს წარმოადგენს.[102] მისივე აზრით, ამით აიხსნება ის გარემოებაც, რაზედაც პირველად მიუთითა მ. ჯანაშვილმა,[103] ხოლო შემდგომ განავითარა კ. კეკელიძემ,[104] რომ „ამირანდარეჯანიანსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენი-

---

[101] იუსტ. აბულაძე, „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 3, გვ. 32-33.

[102] იქვე, გვ. 33-34.

[103] მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“, ტბილისი, 1895, გვ. 13-14.

[104] კ.კეკელიძე, ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია. ცალკე ამონაბეჭდი, ჩვენი მეცნიერება № 45, 1923; მისივე ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 19 , 56-62.

ლი ფალავნების შერკინების ამბები, როგორც თხრობის გარეგანი ფორმით, ისე შინაარსობლივადაც ახლოს დგანან ერთმანეთთან.

ამდენად, „ამირანდარეჯანიანის“ სახით ჩვენ გვაქვს უძველესი ქართული პროზაული ნაწარმოები, სადევგმირო ზღაპარი, რომელიც ზეპირი გზით შემოიჭრა მაჰმადიანურ ირანულ სამყაროში, ხოლო მისი ფაბულურ-სიუჟეტური სახე თავისებურად გარდაქმნა ქართველი ხალხის ფანტაზიამ.[105]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუსტ. აბულაძე რუსთაველს კლასიკური ეპოქის დღემდე ცნობილ მწერალთა მომდევნოდ მიიჩნევს, რაც, მისი აზრით, მტკიცდება კიდეც „ვისრამიანისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ გამოძახილით „ვეფხისტყაოსანში“.[106] ამ უკანასკნელში გვხვდება იმგვარივე სადევგმირო ამბები, როგორიც მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანშია“, რაც კიდევ ერთხელ მაჩვენებელია იმისა, რომ ზღაპრული სადევგმირო ამბების გადმოღებისა და შეკრების ცდა ქართულ საერო მწერლობაში არსებობდა მისი გაჩენისთანავე.[107]

იუსტ. აბულაძის დაკვირვებით მსგავსება ამ ორ ლიტერატურულ ძეგლს შორის გამოიხატება მეფის თაყვანისცემასა და მის წინ თავის მოხრაში, მეფის რიდსა და კრძალვაში.[108]

---

[105] იუსტ. აბულაძე, „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 3, გვ. 35.

[106] იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესავალი წერილი, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: „რუსთველოლოგიური ნაშრომები“, თბ., 1967, გვ. 52.

[107] იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. LXXVI.

[108] იუსტ. აბულაძე,, „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემოს შესავალი წერილი, წიგნში: „რუსთველოლოგიური ნაშრომები“, თბ., 1967, გვ. 47-48.

ანალოგიურია აგრეთვე ქაჯეთის ციხე-ქალაქის გარშემო შემოკრებილი ამბები.[109]

პარალელების ძიების დროს „ვისრამიანსა", „ამირანდარეჯანიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" იუსტ. აბულაძე მიუთითებდა ერთ საერთო მომენტზეც. ეს იყო ავაზაკებისა და მეკობრეებისაგან თავდასხმის საშიშროების მომენტი გზებზე, რომლის გამოც საჭირო იყო გამძღოლი ბადრაგა ან ყულაოზი, რომელიც იცავდა მგზავრებს მათი აკლებისა და ამოწყვეტისაგან.[110]

საერთოდ, XII საუკუნის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი იყო გზების ამგვარი მდგომარეობის მსგავსება, რასაც მოწმობს ცნობები მარკო პოლოს მოგზაურობიდანაც.[111]

იუსტ. აბულაძემ მიუთითა საინტერესო სიუჟეტურ პარალელებზე „ამირანდარეჯანიანსა" და ანალოგიური ჟანრის ისეთ სპარსულენოვან ძეგლებს შორის, როგორიცაა ნიზამის „შვიდი მთიები" („ჰაფთ ფაიქარ"), ხალხური დასთანი „ბაჰრამი და გოლამდამი" („ბარამგულანდამიანი") და სხვ.

იუსტინე აბულაძის დაკვირვებებს „ამირანდარეჯანიანის" ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. მომდევნო კვლევა-ძიება ამ საკითხების გაგრძელება-გაღრმავებას წარმოადგენს.[112]

---

[109] იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. LXIV-LXV.

[110] იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის" 22-ე გამოცემის შესავალი წერილი „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი". – წიგნში „რუსთველოლოგიური ნაშრომები", თბ. 1967, გვ. 49-50.

[111] Марко Поло, Путешествие в 1271-1295, по Татарии и другим странам Востока, ს.-პეტერბურგი, 1873.

[112] პ. კეკელიძე, ალ ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966.

რაც შეეხება „ბარამგულანდამიანს“ და „ბარამგულიჯანიანს“, რომლებიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია როგორც მცირე ბარამიანები, მათ შესახებ გამოთქმული საგულისხმო დაკვირვებანი და შენიშვნები იუსტინე აბულაძეს ძირითადად წარმოდგენილი აქვს „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ ნაშრომებსა[113] და შემდეგ წერილში: „ბარამ-გულიჯანიანი“ და რუსთველის პოეტური შემოქმედება.[114] იგი აღნიშნავდა არა იგივეობას, არამედ კერძო ეპიზოდების სიახლოვეს „ვეფხისტყაოსანსა“ და ბარამიანის ტიპის თხზულებებს შორის, ხოლო საკუთრივ „ბარამგულანდამიანზე“ არსად ამბობს, თითქოს მას რაიმე გავლენა მოეხდინოს პოემაზე. მიუხედავად ამისა, კ. კეკელიძემ მკაცრად გააკრიტიკა იუსტ. აბულაძის მცდელობა დაეახლოვებინა „ვეფხისტყაოსანი“ და „ბარამგულანდამიანის“ ტიპის თხზულებები,[115] რის გამოც იუსტ. აბულაძეს საგანგებო განმარტების გაკეთებაც კი დასჭირდა: „კ. კეკელიძეს რომ სათანადო ყურადღება მიექცია ჩვენს ნაკვლევში გამოთქმული აზრებისათვის, იგი დარწმუნდებოდა, რომ ჩვენს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ არაკის შედარება „ბაჰრამ-გულიჯანიანსა“ და „ბარამგულანდამიანთან“ მიმართული იყო იმ მიზნისაკენ, რომ აღგვენიშნა საერთო ნიშანდობლივი თვისებები როგორც სიუჟეტის, ისე კერძო ეპიზოდების მხრით „ვეფხისტყაოსანსა“ და ყველა დასახე-

---

[113] იხ. იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ, თბ., 1967, გვ. 33-34; 56-58, 188.

[114] ძველი საქართველო, 1913-1914, ტ. III, 46-48.

[115] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ 255.

ლებულ სპარსულითგან ნათარგმნ ნიმუშებში, და გვეჩვენებინა დაინტერესებულთათვის, თუ რამდენად უახლოვდება და ენათესავება „ვეფხისყაოსნის“ არაკი ბარამიანის ტიპის დასახელებულ მოთხრობებს“.[116]

კ. კეკელიძის ბრალდებაზე პროფ. ალ. გვახარია, რომელიც თავადაც იკვლევდა „ბაჰრამ ო გოლანდამის“ სპარსულ და ქართულ ვერსიებს, მართებულად შენიშნავს, რომ „იუსტ. აბულაძე არსად წერს, თითქოს «ბარამგულანდამიანს» (იგულისხმება, ცხადია, სპარსული ვერსია) რაიმე გავლენა მოეხდინოს «ვეფხისტყაოსანზე». საუბარია მხოლოდ «ბარამიანის» ტიპის მოთხრობათა კერძო ეპიზოდების სიახლოვეზე «ვეფხისტყაოსანთან». მართალია, აქ მხოლოდ «ბარამგულანდამიანი» არ იგულისხმება, მაგრამ არც «*ყველა* საგმირო და რომანტიკული ნაწარმოები» (ხაზი ავტორისაა და ახდენს კ. კეკელიძის სიტყვების ციტირებას – ნ. მ.), არამედ მხოლოდ ამ უკანასკნელთა გარკვეული ჯგუფი, რომელშიც შედის აგრეთვე «ბარამგულანდამიანი»“.[117]

ალ. გვახარია საფუძველს მოკლებულად მიიჩნევს კ. კეკელიძის მიერ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ბარამგულანდამიანს“ შორის არსებული „მოჩვენებითი“ მსგავსების ახსნას რუსთაველის პოემის გავლენით ქართველ მთარგმნელზე და აქვე აკონკრეტებს, რომ „ყველა ეს რეალური თუ მოჩვენებითი მსგავსება ახასიათებს თვით სპარსულ პროზაულ ვერსიას, რომელსაც უკავშირდება ქართული თარგმანი“.[118]

---

[116] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, 1926, 413.

[117] ალექსანდრე გვახარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, 1995, გვ. 157-158.

[118] იქვე, გვ. 158.

ხოლო, რაც შეეხება „ბარამგულიჯანიანს“, იუსტ. აბულაძის ვარაუდით, XIII საუკუნის შესანიშნავი სპარსელი პოეტის, საჯუ ქირმანელის ჰუმაჲ ჰუმაჲუნი, ანუ ზამინ ხავარელის ამბავი, რომელიც აღმოსავლურ სადევგმირო ზღაპარს წარმოადგენს და „შაჰზადესა“ და ჩინეთის მეფის ფახფორის ასულის, ჰუმაჲს, სამიჯნურო თავგადასავალს შეიცავს, შესაძლოა „ბარამგულიჯანიანის“ გაგრძელება ყოფილიყო.[119]

აი, რას წერს იუსტ. აბულაძე „ბარამგულიჯანიანის“ შესახებ: „«ბარამგულიჯანიანის» გამიჯნურების ამბავი ძალიან ჰგავს «ვეფხისტყაოსნის» გამიჯნურების ამბებს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქ იქცევს ის გარემოება, რომ «ბარამგულიჯანიანში», წინააღმდეგ «ვეფხისტყაოსნისა», ვერ ვხედავთ მოქმედ პირთა გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან, ე. ი. «ბარამგულიჯანიანში» ფანტასტიკურ ელემენტს თითქოს სრულებით არავითარი ადგილი აღარა აქვს, და ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ «ბაჰრამგულიჯანიანი» წარმოადგენს ერთ-ერთის «ბაჰრამიანის» ტიპის სადევგმირო მოთხრობის კერძო რომანული სიუჟეტის განვითარებას“.[120]

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოში იუსტინე აბულაძემ ჩაუყარა საფუძველი სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევას და სწორედ ქართული საერო მწერლობისა და სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლა იქცა მისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად. მაგრამ მთავარი მაინც, რამაც იმთავითვე გამოკვეთა მეცნიერის ინტერესების სფერო და განსაზღვრა მისი მომავალი სამეცნიერო მუშაობის საზღვრები, არის ისეთი

---

[119] იუსტ. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967, გვ. 188.
[120] იქვე, გვ. 188.

მნიშვნელოვანი მხატვრული ძეგლები, როგორებიცაა „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები.

დიდია პროფ. იუსტინე აბულაძის დამსახურება მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ქმნილების „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებისა და მისი ლექსიკის შესწავლის საქმეში.

ამ საკითხში გარკვევის პირველი ცდა, რომელიც აკად. ნიკო მარს ეკუთვნოდა,[121] ღირსეულად გააგრძელა მისმა მოწაფემ.

1916 წელს, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, იუსტ. აბულაძე, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით, აქვეყნებს „შაჰ-ნამეს“, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიების I ტომს,[122] ვრცელი წინასიტყვაობით, ტექსტის ვარიანტული წაკითხვებითა და ლექსიკონით, რომელშიც 932 სიტყვაა განმარტებული. აქვე ცალკეა გამოყოფილი და განმარტებული 274 საკუთარი სახელი (პირთა და გეოგრაფიული). გამოცემას ერთვის აგრეთვე საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი.

ამ გამოცემაში გაერთიანებული იყო სამი თხზულება: „ზააქიანი“, „საამიანი“ და „როსტომიანი“ (პირველი ნაწილი).

ამ თხზულებათა ქართული ვერსიების დადგენითა და გამოქვეყნებით იუსტ. აბულაძემ მყარი საფუძველი შეუქმნა მათ შემდგომ მეცნიერულ შესწავლას. გამოცემის შესავალშივე

---

[121] „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსულთან დამოკიდებულების საკითხს ნ. მარი შეეხო გაზ. „ივერიის“ 1891 წლის 132, 133, 135-ე ნომრებში დაბეჭდილ წერილებში, სათაურით: „როსტომიანი“ (ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამეს“-ს ქართული თარგმანის შესახებ).

[122] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. I, თბ., 1916.

ყურადღებას იქცევს მისი ზოგიერთი დაკვირვება სპარსულ ენაზე შექმნილ მიბაძვა-გაგრძელებათა და ინტერპოლაციების შესახებ, თარგმანის ხასიათსა და ლექსიკის სიჭრელეზე.[123]

მკვლევრის დამსახურება უპირველესად იმაში მდგომარეობდა, რომ მან იმთავითვე სწორად გაიგო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ლიტერატურული რაობა და მისი ხასიათი. მან მხოლოდ „როსტომიანი“ კი არ მიიჩნია „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიად (გავრცელებული აზრის თანახმად), არამედ სხვა თხზულებებიც, რომლებიც „შაჰ-ნამეს“ ქართულ ლექსითს ვერსიებში შედიოდა და აქამდე „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელებელთა თხზულებების ქართულ ვერსიებად იყო მიჩნეული.

მართალია, გამოცემის დასაწყისში იუსტ. აბულაძე სინანულით აღნუსხავს მთელ რიგ იმ ხელისშემშლელ გარემოებებს, რომლებმაც აიძულეს ის ამჟამად გადაედო სხვა ვერსიებისა და მათი ავტორების შესახებ ვრცელი გამოკვლევის დაწერა, რის გამოც აღნიშნულ წიგნში მოთავსდა მხოლოდ „მოკლე ხელსამძღვანი ცნობები“ მის მიერ გამოქვეყნებული ძეგლის შესახებ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ანელებდა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც მეცნიერის ხანგრძლივი რუდუნების შედეგად გამოცემულმა ამ კაპიტალურმა ნაშრომმა შეასრულა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესწავლის საქმეში, რაც სათანადოდ იქნა კიდეც აღნიშნული და შეფასებული მეცნიერთა ფართო წრეში.

---

[123] ალექსანდრე გვახარია, იუსტინე აბულაძე (დაბადების 100 წლის შესრულების გამო), თსუ შრომები, 163, ლიტერატურათმცოდნეობა, თბილისი, 1975, გვ. 217.

მართებულად შენიშნავდა პროფ. დ. კობიძე, რომ „რა ნაკლიც არ უნდა ახასიათებდეს აღნიშნულ გამოცემას, იგი მაინც დიდი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით."[124] მისივე სიტყვებით, „იუსტინე აბულაძის მიერ „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების ლიტერატურული რაობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები დღემდე შეურყეველი რჩება".[125]

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამოცემას თავის დროზე მხურვალედ გამოეხმაურა აკად. ნ. მარი. ის 1918 წელს თავის მოხსენებაში „Из грузино-персидских литературных связей" (რომელიც მიუძღვნა თავისი მასწავლებლების ვ. რ. როზენის, კ. გ. ზალემანისა და ვ. ა. ჟუკოვსკის ხსოვნას), ვრცლად შეეხო ამ ნაშრომს და აღნიშნა:

«Издание Ю. И. Абуладзе, бесспорно, ценный вклад в историю изучения грузинской литературы; в отношении памятников ее возрождения это первый опыт такого задуманного в широком масштабе и исполненного с большой преданностью делу, с необичайно любовным вниманием к персидско-грузинским литературным связям и исключительной ориентированностью в мало привлекательных по художественному значению литературных произведениях возрождения, что и дает Ю. И. Абуладзе силу, делая свое скромное, нужное дело мастерски, попутно деляться ценными наблюдениями и бросать меткие замечания. При этом, на всем лежит печать близкого духовного общения с нами, с

---

[124] დავით კობიძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ-ს შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბ., 1962, გვ. 19-20.

[125] დ. კობიძე, სახელოვანი მეცნიერი (პროფ. ი. აბულაძის დაბადებიდან მე-100 წლისთავი), გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1974, გვ. 3.

петроградской востоковедной средой: Ю. И. Абуладзе не только питомец факультета восточных языков, но и упорный проводник в грузиноведной литературе, независимо от грузино-персидских литературных связей, того общего интереса к персидским творениям, в часности, к персидским эпическим рассказам и особенно к «Книге царей», который так сильно занимал наши круги иранистов именно в части об ее генезисе, о генезисе «Книги царей».[126]

საგულისხმოა ისიც, რომ იუსტ. აბულაძემ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების I ტომში ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიუთითა აღორძინების ხანაში ქართული მწერლობის ერთგვარ ურთიერთობაზე თურქულ სამყაროსთანაც. მანვე აღნიშნა ის გარემოება, რომ აღორძინების ხანის მელექსე სრულიად ცვლის „შაჰ-ნამეს“ პროზაული მოთხრობის ამა თუ იმ ადგილს და ამდიდრებს თავის შრომას თურქულ-არაბული სიტყვებით, რაც, თავის მხრივ, არ იყო დამახასიათებელი ფირდოუსის ქმნილებებისათვის.[127]

იუსტინე აბულაძე თავის მოსაზრებას ადასტურებს იმ ფაქტით, რომ აღორძინების ხანის ქართველები, სპარსული ლიტერატურის ნიმუშებთან ერთად, იცნობენ აგრეთვე თურქული ლიტერატურის ოქროს ეპოქის საუკეთესო წარმომადგენელს შირ ნავაის. ასე მაგალითად, „ბარამგურიანის“ წინასიტყვაობაში პოეტი ნოდარ ფარსადანის ძე (ციციშვილი) გვაუწყებს შემდეგს: „ნავაის ესე ამბავი ჩაღათურისა ენითა უთქ-

---

[126] Н. Марр, Из грузино-персидских литературных связей, Записки колегии Востоковедов при Азиатском музее Россиской Академии Наук, т. I, Ленинград, 1925, стр. 117.

[127] „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. I, თბ., 1916, გვ. 23 (XXIII).

ვამს, და მისებრ მელექსე სხვა ვინმცა ვიაზრენითა...“ საიდანაც ჩანს, რომ აღორძინების ხანის მწერალთათვის თურქული ლიტერატურის ნიმუშებიც ხელმისაწვდომი ყოფილა.[128]

იუსტინე აბულაძის ამ მოსაზრებას დიდი გულისყურით მოეკიდა აკად. ნიკო მარი, რაზედაც სათანდოდ შეჩერდა კიდეც ზემოთ აღნიშნულ თავის წერილში: „Особенную важность и желанную новость в этих наблюдениях представляет чреватое для истории грузинской литературы указание, что в начале XVI в. особую роль сыграла турецкая литература. ...Поэтому указания и догатки Ю. А. Абуладзе о возможности турецкого литературного влианиа на грузинскую литературу заслуживает самого серьезного внимания, при чем требуется начать уже прямо с дела, т. е. со сличения самых литературных памятников”.[129]

დასანანია, რომ ნ. მარი ვერ მოესწრო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომს,[130] რომლის გამოცემაშიც ალ. ბარამიძეს, პ. ინგოროყვას, კ.კეკელიძესა და აკ. შანიძესთან ერთად დიდი წვლილი მიუძღოდა იუსტ. აბულაძესაც. ეს მდიდრულად გაფორმებული გამოცემა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ განახორციელა და მიეძღვნა ფირდოუსის დაბადების 1000 წლის იუბილეს, გამოვიდა სწორედ ნ. მარის გარდაცვალების წელს – 1934 წელს. ამ ტომის ვრცელი და უაღრესად საინტერესო ლექსიკონი

---

[128] იქვე, გვ. 21-23 (XXI-XXII).

[129] Н. Марр, Из грузино-персидских литературных отношении (Памяти трех учителей, В. Б, Розена, К. Г. Залемана и В. А. Жуковсково), Записки Вост. Отд. Русского Археол. Общ., т. XXVI, ст. 113-114.

[130] აბულ ყასიმ ფირდოუსი ტუსელი, „შაჰ-ნამე“, ქართული ვერსიები, ტ. II, ტფილისი, 1934.

კვლავ იუსტ. აბულაძემ შეადგინა და მანვე უხელმძღვანელა აკაკი შანიძესთან ერთად ტექსტის დაბეჭდვას.[131]

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომში იუსტ. აბულაძის მიერ დამუშავებული და დადგენილია 762 სტროფი (4901-5663). მასვე ეკუთვნის ამ სტროფების შენიშვნებიც. გამოცემას დართული აქვს სარედაქციო კოლეგიის ვრცელი წინასიტყვაობა.

აღნიშნულ გამოცემაში შევიდა „როსტომიანის“ მეორე ნახევარი (სტროფები 2942-5663) და ფრაგმენტი „შაჰ-ნამეს“ პროზაული თარგმანიდან („ფრიდონიანის“ პროზაული ვერსია).

იუსტ. აბულაძეს „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მეორე ტომის ლექსიკონში დაახლოებით 1472 სიტყვა აქვს განმარტებული.

როგორც პროფ. დ. კობიძე აღნიშნავს, ამ ლექსიკონში პირველადაა სწორად განმარტებული ზოგიერთი სიტყვა და, მათ შორის, არაბული სიტყვა *ტავყი* (ან ტაყვი) ﻃﻮﻕ. ეს სიტყვა ხშირად იხმარება სპარსულსა და ქართულ ტექსტებში და ნიშნავს საყელურს, ყელის სამკაულს, გულქანდას, ბეჭედს, რგოლსა და მისთანებს. აღნიშნული სიტყვა მთელ რიგ ტექსტებში, გაუგებრობის გამო, გადაკეთებულა ტყავად და საუკუნეთა განმავლობაში მცდარად იკითხებოდა. იუსტ. აბულაძე იყო პირველთაგანი, ვინც სწორად დაადგინა ამ სიტყვის ფორმა და ახსნა მისი მნიშვნელობა.[132]

---

[131] ამ გამოცემის ისტორიის შესახებ იხ. აგრეთვე ალ. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, თბ. 1983, გვ. 253-254.

[132] დ. კობიძე, იუსტ. აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბ., 1962, გვ. 20.

თუ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების და მის ლექსიკაში გარკვევის პირველი ცდა, წამოწყებული ნიკო მარის მიერ, ღირსეულად გააგრძელა მისმა მოწაფემ, იუსტ. აბულაძემ, ეგევე საქმე ასევე ღირსეულად დაასრულა უკვე იუსტ. აბულაძის მიერ აღზრდილმა ირანისტმა, პროფ. დავით კობიძემ, რომელმაც 1974 წელს გამოსცა „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიების მესამე ტომი,[133] რითაც ძირითადად დამთავრდა „შაჰ-ნამეს“ და მისი ციკლის თხზულებათა ქართული ვერსიების გამოცემის საქმე.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სიმბოლური იყო ის, რომ იუსტ. აბულაძის უკანასკნელი წერილი, რომელიც უკვე ლოგინად ჩავარდნილმა დაწერა, წარმოადგენდა აღფრთოვანებულ რეცენზიას პროფ. დ. კობიძის ნაშრომზე – «„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები».[134]

მნიშვნელოვანია პროფ. იუსტინე აბულაძის ღვაწლი „ვისრამიანის“ სპარსულ-ქართული ვერსიების შესწავლის საქმეშიც. ის ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში, აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით, გულმოდგინედ ეწაფებოდა სპარსული სამიჯნურო რომანის, ფახრ ედ-დინ გორგანის „ვის ო რამინის“ ტექსტს, ხოლო შემდგომ სათანადო ცოდნით აღჭურვილი, მაღალ მეცნიერულ დონეზე იკვლევდა ამ თხზულების სპარსული დედნისა და მისი ქართული თარგმანის – „ვისრამიანის“ ურთიერთობის საკითხებს. ამ უკანასკნელს მან „ძველი ქართული საერო ლიტერატურის უძვირფასესი ძეგლი“

---

[133] „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. III, თბ., 1974.
[134] იუსტინე აბულაძე, რეც. : დავით კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თსუ შრომები, ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 348.

უწოდა და თავდაპირველად მას „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში შეეხო 1909 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ ნაშრომში – „XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის «ვეფხისტყაოსანი»“,[135] სადაც მრავლად არის მოტანილი ამ ორ ძეგლს შორის მსგავსების მაგალითები, რაც ძირითადად აფორიზმებსა, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსა და ლექსიკაში ვლინდება. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის არსებული ძირითადი სხვაობაც არ გამორჩენია მკვლევარს.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის შესწავლის დროსაც იუსტ. აბულაძე არაერთგზის მიმართავს „ვისრამიანს“. ასე მაგალითად, 1910 წელს გამოქვეყნებულ წერილში „მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო“,[136] სიტყვების „პაშტას“, „ყმის“, „სათის“ განსამარტავად ის უბრუნდება „ვისრამიანს“. სწორედ ეს წინა და შავი სამუშაო მართებულად აქვს მიჩნეული პროფ. ალ. გვახარიას შემდგომში „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონის შექმნის საფუძვლად.[137]

„ვისრამიანზე“ დაწერილ გამოკვლევათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია იუსტ. აბულაძის ვრცელი ნაშრომი „ვისრამიანის ტექსტისათვის“, რომელიც 1935 წელს გამოქვეყნდა კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა“.[138]

---

[135] კრებ. „ძველი საქართველო“, ტ. I, ტფილისი, 1909, გვ. 76-78.

[136] იუსტინე აბულაძე, მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო, სახალხო გაზეთი, 1910, № 181,184.

[137] ალექსანდრე გვახარია, იუსტინე აბულაძე – ვისრამიანის მკვლევარი, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1976, გვ.45.

[138] იუსტინე აბულაძე, „ვისრამიანის“ ტექსტისათვის, ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, ტფ., 1935, გვ. 87-100.

ნაშრომი ძირითადად „ვისრამიანის“ ქართულ-სპარული ტექსტოლოგიური პრობლემების კვლევას მიეძღვნა და გამოირჩევა მრავალი საკითხის წამოჭრითა და მოტანილი მასალების სიუხვით.

„ვისრამიანის“ საკითხებს ეხება აგრეთვე 1936 და 1939 წლების ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული იუსტ. აბულაძის შემდეგი წერილები: „ვისრამიანის“ შესახებ,[139] „ვისრამიანის“ ახალი ირანული გამოცემა[140] და „ვისრამიანის“ საკითხისათვის.[141] წერილების ეს სერია, ფაქტიურად, წინა გამოკვლევის გაგრძელებას წარმოადგენს.

ჩამოთვლილი წერილებიდან აქვე საგანგებოდ შევჩერდებით ერთ-ერთ მათგანზე. იუსტ. აბულაძის წერილი – „ვისრამიანის“ ახალი ირანული გამოცემა, მიეძღვნა ცნობილი ირანელი მეცნიერის მოჯთაბა მინოვის რედაქციით შესრულებულ „ვისრამიანის“ სპარსული ტექსტის მეორე გამოცემას, რომელსაც მეცნიერი დიდი სიხარულით შეხვდა. წერილი მნიშვნელოვანია იმით, რომ იუსტ. აბულაძე ამ ახალ გამოცემას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც „ვისრამიანის“ სპარსული ტექსტის, ისე მისი ქართული თარგმანის ტექსტის საბოლოოდ დადგენის საქმეში და აღნიშნავდა, რომ ის ავსებს ყველა იმ დიდად საგრძნობ ხარვეზებს, რომლებიც კალკუტური ნუსხის დეფექტურობიდან გამომდინარეობს.

---

[139] იუსტ. აბულაძე, „ვისრამიანის“ შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 1-2, გვ. 71-82.

[140] იუსტინე აბულაძე, „ვისრამიანის“ ახალი ირანული გამოცემა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 11-12, გვ. 41-45.

[141] იუსტ. აბულაძე, „ვისრამიანის“ საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1939, № 3, გვ. 70-77.

მეცნიერი აქ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართული ტექსტის მნიშვნელობას სპარსული ტექსტის შესწავლისათვის.

საინტერესო რეცენზია მიუძღვნა იუსტ. აბულაძემ „ვისრამიანის“ მეორე გამოცემს, რომელიც 1938 წელს გამოვიდა ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით.[142] აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემას ერთვის იუსტ. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი და საძიებლები, რომელშიც დაახლოებით 1454 სიტყვაა განმარტებული და სამჯერ აღემატება „ვისრამიანის“ პირველი გამოცემის (1884 წ. ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პეტ. უმიკაშვილის რედაქტორობით) ლექსიკონს. ამ ლექსიკონში ბევრი სიტყვა ახლებურადაა განმარტებული და სამეცნიერო წრეებში ის დღემდე არსებულ ლექსიკონებს შორის ყველაზე ვრცელ და სანდო ლექსიკონად არის მიჩნეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ვისრამიანის“ საკითხებთან დაკავშირებული იუსტ. აბულაძის მთელი რიგი მოსაზრებები და გასწორებანი გაზიარებულ იქნა ამ თხზულების როგორც მეორე, ისე მესამე და მეოთხე გამოცემათა რედაქტორების მიერ.[143]

ცალკეულ მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს იუსტ. აბულაძის მოსაზრება თვით ძეგლის დასათაურების შესახებაც. ასე მაგალითად, პროფ. დ. კობიძე არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ ფახრ ედ-დინ გორგანელის ხელიდან

---

[142] იუსტ. აბულაძე, ვისრამიანი, თსუ შრომები, XXVII, 1946, გვ. 87-100.

[143] მთელი რიგი გასწორებანი გაზიარებულია როგორც ივ. ლოლაშვილის („ჩვენი საუნჯე“, ტ. II, თბ., 1960), ისე ალ. გვახარიასა და მ. თოდუას მიერ (ვისრამიანი, 1962).

გამოსულ ტექსტს, თანახმად პროფ. იუსტ. აბულაძის დაკვირებისა, მართლაც „ვის ო რამ“ რქმეოდა და არა „ვის ო რამინ“. თავის მოსაზრებას იუსტ. აბულაძე ამაგრებდა შემდეგი არგუმენტაციით. ჯერ ერთი, რომ ქართულ ტექსტს სათაურად ჰქონდა ვისრამიანი და არა ვისრამინიანიო („ვისრამიანის ტექსტისათვის“) და მეორეც, ფორმა „რამ“ გაცილებით ძველია, ვიდრე რამინო. დ. კობიძე აქვე შენიშნავს, რომ როგორც ქართულ, ისე სპარსულ ტექსტებში გვხვდება რამინის პარალელულად ფორმა „რამ“.[144]

იუსტინე აბულაძეს სკრუპულოზური სიზუსტით აქვს ერთმანეთთან შეჯერებული აღნიშნული თხზულების ქართული და სპარსული ტექსტები, მოცემული აქვს ამა თუ იმ გაუგებარი სიტყვის ახსნა-განმარტება და, რაც მთავარია, შეტანილი აქვს მთელი რიგი შესწორებანი როგორც ქართულ ტექსტში სპარსული ტექსტის მიხედვით, ასევე ქართული თარგმანის მიხედვით იძლევა სპარსული ტექსტის სწორების ნიმუშებს.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია, რომ ის საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ვისრამიანის“ ქართული ტექსტის მონაცემების გათვალისწინებას სპარსული ტექსტის გამოცემის საქმეში, რაც შემდგომში შესანიშნავად განახორციელეს მისმა მოწაფეებმა, პროფესორებმა ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ „ვისრამიანის“ ახალ, 1962 წლის აკადემიურ გამოცემაში, რომელშიც „ვისრამიანის“ სპარსულ ტექსტებთან ერთად, მხედველობაში იქნა მიღებული ქართული ტექსტის

---

[144] დ. კობიძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 16.

მონაცემები, რომელთა გათვალისწინებასაც, როგორც აღმოჩნდა კიდეც, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა თვით სპარსული ტექსტის დადგენის დროს.[145]

ამდენად, იუსტინე აბულაძის მიერ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ „ვისრამიანის“ გარშემო დიდად შეუწყო ხელი ამ ძეგლის შემდგომი შესწავლის საქმეს, მისი ქართული (1962 წ.) და სპარსული (თეირანი, 1970 წ.) ტექსტების ახალი კრიტიკული გამოცემების მომზადებას.

მართალია, „ვისრამიანის“ სპარსულ-ქართულ ტექსტებთან დაკავშირებით ჩატარებული დიდი შრომის მიუხედავად, ჯერ კიდევ მრავალი საკითხი რჩება გასარკვევი, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ამ საკითხებზე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იუსტინე აბულაძის ნამუშაკევს ამ სფეროში.[146]

***

იუსტინე აბულაძის მრავალფეროვან და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან განუყოფლადაა დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლების შესწავლა, როგორიცაა: „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და „შაჰ-

---

[145] ქართული ვერსიის მონაცემების გათვალისწინების შედეგად განხორციელდა სპარსული ტექსტის აკადემიური გამოცემა (თეირანი, 1970). ცნობილი ქართველი ირანისტების – ალ. გვახარიასა და მაგალი თოდუას ეს წარმატება ერთგვარად იუსტ. აბულაძის მიერ დაწყებული საქმის დაგვირგვინებას წარმოადგენდა.

[146] იხ. აგრეთვე, მ. მამაცაშვილი, გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1977, 258 გვ.

ნამე“. ეს უკანასკნელნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის მეცნიერულ კრედოს განსაზღვრავენ. მათ შორის კი განსაკუთრებული ადგილი მაინც „ვეფხისტყაოსანს“ მიეკუთვნება. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მან ჯერ კიდევ სიყრმის წლეებში მიზნად დაისახა ცნობილი აღმოსავლური ძეგლების „ვისრამიანისა“ და „როსტომიანის“ პარალელურად შეესწავლა „ვეფხისტყაოსანი“, რაც განპირობებული იყო მისი დიდი სიყვარულით შოთა რუსთაველის უკვდავი პოემისადმი.

მართებულად შენიშნავს პროფ. დავით კობიძე, როდესაც წერს: „არც ერთი ლიტერატურული ძეგლი არ ყოფილა პროფ. იუსტინე აბულაძისათვის ისე საყვარელი და ფართო მეცნიერული ინტერესის აღმძვრელი, როგორც «ვეფხისტყაოსანი». სიყრმის წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მნიშვნელობის შესახებ ფიქრობდა. მისი ადრინდელი თუ გვიანდელი ხანის ნაწერები, რომლებიც რუსთაველის უკვდავ ქმნილებას შეეხება, ყოველთვის დიდი სიყვარულის გრძნობითაა გამთბარი“.[147] დიახ, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხების კვლევა იყო მისი მეცნიერული გატაცების საგანი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი ფანატიკური ერთგულება ამ შედევრისადმი.

გალაქტიონი 1922 წლის მაისში წერდა: „საქართველო და მისი პოეზია თანაბრად არიან რთული, გაწვრთნილი და ამაღლებული მრავალფეროვანი და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიაა“. დიდი მგოსნის ეს ჭეშმარიტი სიტყვები კიდევ ერთხელ დამადასტურებელია იმისა, რომ საქართველო წარმოუდგენელია

---

[147] დ. კობიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბ., 1964, გვ. 14.

რუსთაველის პოეზიის გარეშე, ხოლო რუსთაველი – საქართველოს გარეშე. ამიტომაც გასაგებია, რომ საქართველოს ვერც ერთი ღირსეული შვილი გულგრილი ვერ დარჩება ამ ბრძნული, ჰუმანური, სულის ამამაღლებელი პოეზიისადმი. იუსტინე აბულაძემაც, როგორც თავისი ერის ღირსეულმა წარმომადგენელმა და ღვაწლმოსილმა მეცნიერმა, მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მიუძღვნა რუსთაველის „იშვიათი პოეტური შემოქმედების“, „მისი დაულეველი სიბრძნის“ შესწავლისა და მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს. მისთვის ხომ „ვეფხისტყაოსანი“ „ქართული კულტურის უძვირფასეს სამკაულს“ და „ქართველი ერის სიამაყეს“ წარმოადგენდა.

სულ მალე, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დამთავრების შემეგ, 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იუსტ. აბულაძე აქვეყნებს თავის პირველ წერილს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ – „«ვეფხისტყაოსნის» შესწავლის გამო“. მას მოჰყვა მთელი რიგი წერილები და გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანზე“. მათი რიცხვი 43 აღწევს. მათ შორის მეტად საინტერესო და ყურადსაღებ ტექსტოლოგიური ხასიათის შრომებს წარმოადგენენ: „შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ, კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით“ (1914) და „ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია, პოემის შესავლის კრიტიკული ტექსტით“ (1917, 1920). ამ 22-ე გამოცემით, როგორც თავად იუსტ. აბულაძეც აღნიშნავდა, „ჩვენ წავდგით ნაბიჯი წინ ტექსტის გაწმენდაში, სახელდობრ, არსებულ ხელნაწერებზე შევამოწმეთ ვახტანგის გამოცემის ტექსტი და სქოლიოში მოვათავსეთ ის ხანები, რომლების ჩანართობას ადასტურებდა ჩვენს საგან-

ძურში არსებული ხელნაწერები."[148] ხოლო ახალი „ვეფხისტყაოსნის" 26-ე გამოცემით „ერთი მხრით, ჩვენ ხელახლად შევასწორეთ 22-ე გამოცემის ტექსტი არსებულ ვარიანტებზე შემოწმების საშუალებით და სათანადო ორთოგრაფიის შეტანით, ხოლო, მეორე მხრით, გავწმინდეთ პოემის ტექსტი მხოლოდ ზოგიერთი აშკარა ჩანართების სქოლიოში ჩატანის საშუალებით".[149]

ამ ცალკეულ წერილებსა და გამოკვლევათა შორის მისთვის ყველაზე საყვარელ და, ასე ვთქვათ, სამაგიდო შრომას წარმოადგენდა „XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და «ვეფხისტყაოსანი»", რომელიც პირველად 1909 წელს დაიბეჭდა, ხოლო მეორედ გადამუშავებული სახით გამოიცა 1922 წელს. მას ერთვოდა ლექსიკონი და შემდეგი ნარკვევები: პოემის ხალხურობის, ძეგლის კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალ გამოცემათა შესახებ. აქ განხილულია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის, სიუჟეტის, ლექსიკისა და მხატვრული ენის საკითხები. ჯერ კიდევ 1910 წელს, ამ წიგნის მაღალ მეცნიერულ დონეზე მიუთითებდა ნ. მარიც: „В литературе по вопросу на грузинском языке работа Ю. И. Абуладзе представляет *первый научный шаг вперед* (ხაზი ავტორისაა – ნ. მ.). Достаточно сказать что автор знает персидский язык и с этой стороны право-

[148] იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის" 26-ე გამოცემის წინასიტყვაობა და შენიშვნები, წიგნში: რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ, თბ., 1967, გვ. 130.

[149] იქვე, გვ. 130.

мочен судить о грузино-персидских литературных отношениях, да и вообще старается работать с более широким научным горизонтом".[150]

სწორ კომენტარს აკეთებს პროფ. ი. მეგრელიძე ნ. მარის ამ შეფასებაზე, როდესაც წერს, რომ „რა თქმა უნდა, აქ საქმე ი. აბულაძის მხრივ მარტო სპარსული ენის ცოდნაში არაა. მისი წინამორბედები, გარდა ნ. მარისა, არ იყვნენ დაინტერესებულნი საკითხების ისეთი ფართო წრით, რომელსაც ი. აბულაძე იძიებდა და ვერც იმ ისტორიულ შედარებითს მეთოდსა და კვლევის ხერხებს იყენებდნენ, რომელ მეთოდსა და კვლევის ხერხებსაც ის ფლობდა."[151]

ი. მეგრელიძე იმასაც აღნიშნავდა, რომ „სპარსულენოვანი თარგმნითი ლიტერატურის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, რომელიც ნ. მარმა პეტერბურგში დაიწყო ფართო მასშტაბით, საქართველოში პირველი აგრძელებს იუსტინე აბულაძე. მან გაარკვია ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა არაერთი საკითხი. უპირველეს ყოვლისა, აქ გვიანდერძა მან საყურადღებო ნაშრომები და მანვე დიდი დრო და ენერგია მოახმარა ქართული ორიგინალური ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლის – «ვეფხისტყაოსნის» შესწავლას.

იუსტინე აბულაძემ წინ წასწია რუსთველოლოგია (ხაზი ავტორისაა – ნ. მ.)."[152]

---

[150] ნ. მარი, Т. Р. XII, 1910 г. Стр. II; იხ. აგრეთვე, გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, 1941, გვ. 117-119.

[151] იოსებ მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 200.

[152] ი. მეგრელიძე, წინასიტყვაობა კრებულისა: იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967, გვ. 5.

სულ რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1924 წლის 22 დეკემბერს, ნ. მარი უკვე მაღალ შეფასებას აძლევდა იუსტ. აბულაძეს, როგორც საშუალო საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მოღვაწე მაღალკვალიფიციურ მეცნიერმუშაკს, და აღნიშნავდა მის დამსახურებას როგორც სპარსული ეპოსის მნიშვნელოვანი ძეგლის „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირველი კრიტიკული ტექსტის, ისე ქართული საერო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტის გამოცემის საქმეში, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა იმ დროისათვის ცნობილ ხელნაწერებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და მათი ვარიანტების გათვალისწინების პირველ ცდას.[153]

აი, ასე გამოეხმაურა იუსტ. აბულაძის მოღვაწეობას რუსთველოლოგიაში 1935 წელს დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი: „პოემის ორიგინალობისა და ირანული მწერლობითგან პარალელების საკითხზე, ნიკო მარის შემდგომ, ყველაზე მეტად იუსტინე აბულაძეს აქვს დაწერილი“.[154]

შთამბეჭდავია იუსტ. აბულაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომთა სიმრავლე, მაგრამ მათ გამოწვლილვით განხილვას წინამდებარე ნაშრომი არ ითვალისწინებს; ეს ცალკე კვლევის საგანია და მას ერთი ვრცელი მონოგრაფია არ ეყოფა. შევეხებით მხოლოდ ამ ურთულეს სფეროში მის მნიშვნელოვან

---

[153] იხ. ნინო მაქაძე, გამოჩენილი რუსთველოლოგი, (იუსტინე აბულაძის დაბადების 100 წლისთავის გამო), „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, თბ., 1975, გვ. 190.

[154] იხ. ი. მეგრელიძე, წინასიტყვაობა კრებულისა: იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967, გვ. 5.

დამსახურებასა და თანმდევ ხარვეზებსაც, რამეთუ დიდი საქმეების კეთებას შეცდომებიც ახლავს თან.

პროფ. იუსტინე აბულაძის გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანზე“ წარმოადგენს პოემის იმ დროისათვის ცნობილ ყველა ხელნაწერზე ხანგრძლივი, გულმოდგინე მუშაობის ნაყოფს. ამავე გზით შეძლო მან პოემის პროლოგის სტროფული შედგენილობისა და თანმიმდევრობის დადგენა, შეეცადა გაემართა მთელი რიგი მცდარად წაკითხული ან საუკუნეთა მანძილზე გადამწერთაგან დამახინჯებული და წარყვნილი ტაეპები. მას ეკუთვნის მრავალი საყურადღებო დაკვირვება და ცდა ამა თუ იმ ადგილისა და ცალკეული სიტყვის დადგენისა და გაგების საქმეში, ძველი ქართული საერო მწერლობის თავისებურებათა გამორკვევისა და ამ მიმართულებით საინტერესო საკითხების გაშუქებაში, პოეტის მსოფლმხედველობის საკითხების გარკვევაში. აღმოსავლური ენების ღრმა ცოდნა და ქართულ-სპარსული ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროში მისი ესოდენ დიდი გამოცდილება და განსწავლულობა ხელს უწყობდა მეცნიერს პოემის სიუჟეტის კვლევასა და აღმოსავლურ ლიტერატურაში მისი პარალელების ძიებაში.

რუსთველოლოგიაში მისი ღვაწლის ნათელსაყოფად ისიც კმარა, თუ აღვნიშნავთ, რომ იუსტინე აბულაძემ ორჯერ, პირველად 1914 წელს, მეორედ 1926 წელს, გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. თითოეულ გამოცემას წამძღვარებული ჰქონდა ვრცელი გამოკვლევა, ერთვოდა ლექსიკონი და შენიშვნები. აღსანიშნავია, რომ ამ ორი გამოცემის ლექსიკონები ერთმანეთის ზუსტ განმეორებას არ წარმოადგენდნენ. 1914 წლის ლექსიკონთან შედარებით, 1926 წლის ლექსიკონი უფ-

რო მდიდარია. ამ უკანასკნელში აღმოსავლურ სიტყვათა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე 1914 წლის ლექსიკონში; სიტყვათა განმარტებანიც უფრო დახვეწილი და სრულყოფილია, ხოლო რაც შეეხება იმ სიტყვებს, რომელთა წარმომავლობა (სპარსულიდან და არაბულიდან) 1914 წლის ლექსიკონში ხშირად აღრეული იყო, 1926 წლისაში თითქმის გარკვეულია. არც ამ გამოცემებზე დართული გამოკვლევები და შენიშვნები წარმოადგენენ ერთმანეთის განმეორებას. 1926 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში შესული მასალები უფრო მდიდარია, ვიდრე პირველი, 1914 წლის, გამოცემისა. განსხვავებულია თხზულების ტექსტის სტროფული შედგენილობა და ზოგი ადგილის წაკითხვები.

იუსტინე აბულაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ვახტანგ მეექვსის შემდეგ „ეფხისტყაოსნის“ მთლიანი მეცნიერული ლექსიკონის შესწავლას მოჰკიდა ხელი. ეს მითუმეტეს საჭირო საქმეს წარმოადგენდა, ვინაიდან, მიუხედავად ვახტანგის ლექსიკონის დადებითი მხარეებისა, ის არ იყო დაზღვეული ნაკლოვანებებისგანაც, რაც შემდგომში გაზრდილ მეცნიერულ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებდა. მართალია, ზოგიერთი ხარვეზებისაგან, სამწუხაროდ, არც იუსტ. აბულაძის 1914 და 1926 წლების ლექსიკონებია დაზღვეული, მაგრამ მაინც მნიშვნელობა მათი დიდია. დღეს ბევრი რამ უფრო დაზუსტდა და გაირკვა, ზოგი ჯერ კიდევ რჩება აუხსნელი, მაგრამ ამ საკითხების ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იუსტინე აბულაძის ნამუშაკევს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1914 წლის გამოცემის და ადრინდელი სათანადო ნაშრომების გამო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-

გადოების საკვალიფიკაციო კომისიამ, ნ. მარის რეკომენდაციით, იუსტინე აბულაძეს მიანიჭა ფულადი პრემია. ამ ფაქტთან დაკავშირებით, პროფ. ი. მეგრელიძე შენიშნავს, რომ „მკვლევარი ამითაც აღიარებული იქნა, როგორც ერთი წამყვან რუსთველოლოგთაგანი“.[155]

იუსტ. აბულაძის ტექსტოლოგიური მუშაობის უმთავრეს ღირსებად პროფ. სარგის ცაიშვილი იმასაც მიიჩნევს, რომ მან „ვეფხისტყაოსნის“ როგორც 1914 წლის, ისე 1926 წლის გამოცემებს დაურთო ხელნაწერებიდან ამოკრებილი ნაირკითხვაობანი (წაკითხვათა ვარიანტები), რაც პირველი შემთხვევა იყო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ისტორიაში. მან „თავისი დროის მეცნიერთაგან პირველთაგანმა მიმართა კომპლექსურ მეთოდს. ტექსტის აღდგენას საფუძვლად დაუდო ხელნაწერთა მონაცემები, ხოლო პოემის ცალკეული ადგილების ანალიზი ემყარებოდა ვეფხისტყაოსნის ენის თავისებურებათა შესწავლას. კვლევის ფარგლების გაფართოებამ საშუალება მისცა მკვლევარს ტექსტის ზოგიერთი დამახინჯებული ადგილის აღდგენასთან ერთად წარმოედგინა ძალზე საინტერესო დაკვირვებები რუსთაველის პოეტური ენის ბუნებაზე, მეტაფორული მეტყველების თავისებურებაზე (სათანადო პარალელების ჩვენებით), პოემის მდიდარ ბგერწერაზე (ალიტერაცია).“ მისივე სიტყვებით იუსტ. აბულაძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წლის გამოცემაზე დართული ნაშრომი „პოემის ენის ხალხურობა“ დღესაც საუკეთესოთაგანია „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ ენაზე დაწერილ გამოკვლევათა შორის, ხოლო იუსტ. აბულაძე პირველი მეცნიერია, რომელმაც

[155] იოსებ მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 201.

ყურადღება მიაქცია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მეტყველებაში გამოვლენილ აშკარა ტენდენციას, რაც გამოიხატებოდა მწიგნობრული ენის გავლენისაგან განთავისუფლებაში. ის პირველთაგანი იყო მაშინაც, როცა ალღო აუღო „ვეფხისტყაოსნის“ ენისთვის ისეთ დამახასიათებელ თავისებურებას, როგორიცაა *-მცა* ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში.[156] იუსტ. აბულაძის აზრით, ეს ნაწილაკი რუსთაველმა შემოგვინახა სწორედ ნატვრითი კილოს ფორმებში, რომელიც „ახასიათებს ოქროს ხანის კლასიკურ ენას“.[157]

რამდენად დიდი იყო იმ დროისათვის პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორივე გამოცემისა და მთელი რიგი მისი გამოკვლევების მნიშვნელობა, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ მის მიერ დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი მცირეოდენი შესწორებით შევიდა 1937 წლის საიუბილეო, 1951 და 1957 წლების გამოცემებშიც, ხოლო მისი ლექსიკონები ეთვის 1937 და 1951 წლების გამოცემებს.

---

[156] სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები, თბ., 1970, გვ. 91-92.
ნიშანდობლივია ამ უკანასკნელი ნაშრომის სქოლიოში (გვ. 92) სარგის ცაიშვილის მითითება, რომ ვ. ბერიძის შენიშვნა, თითქოს *-მცა* ნაწილაკს პირველად მხოლოდ ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება, არ იყო მართებული (ა. შანიძის ნაშრომი გამოქვეყნდა 1918 წელს). აქვე შევნიშნავთ, რომ იუსტ. აბულაძე ჯერ კიდევ 1913 მიუთითებდა ხსენებულ კონსტრუქციაზე, რომლის მიხედვითაც, როგორც თავად წერდა: „შევასწორეთ პირადად ვახტანგის ტრადიციული ტექსტის წარყვნილი ადგილები“ (იხ. იუსტ. აბულაძის, რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967, გვ. 259 (სქოლიო).

[157] იხ. იოსებ მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 204.

იუსტინე აბულაძემ ჯერ კიდევ 1914 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში ხელნაწერებზე დაყრდნობით აღადგინა მრავალი დამახინჯებული ადგილი და მცდარად წაკითხული ესა თუ ის სიტყვა. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით შემოვიფარგლებით: 1. წინა გამოცემებში და მათ შორის დ. კარიჭაშვილის 1903 წლის გამოცემაშიც პროლოგის 22-ე სტროფის მე-4 სტრიქონი იკითხებოდა ასე: „კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა *ფრენითა*“. იუსტ. აბულაძემ ხელნაწერებზე დაყრდნობით აღადგინა ასეთი წაკითხვა: „კეკლუცთა ზედან *ფრფენითა*“, რაც ამ სიტყვის რეალურ შინაარსაც უფრო ესადაგებოდა (ფრფენა, მისივე განმარტებით არის – ფარვანასავით გარშემო ფრენა. მეტაფ. ტრფიალება); 2. თუ პროლოგის მესამე სტროფის მე-3 და მე-4 სტრიქონები, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე ძნელად ამოსაცნობი ადგილი იყო და ყველა გამოცემაში იკითხებოდა: *ხშირისა* და *მშიერისა*, თავის გამოცემაში მან პირველმა აღადგინა ამ სიტყვების შემდეგი ვარიანტი: *შერისა* და *მიშერისა*. ასეთი წაკითხვა გ. წერეთლის წინადადებით იქნა მიღებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და 1966 წლის საიუბილეო გამოცემაში. 3. ნ. მარისეული კონიექტურის „და კალმად *ნაჲ* რხეული“-ს შესწორება იუსტ. აბულაძის მიერ ასეთია: „და კალმად *მე ნა* რხეული“. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ წაკითხვას იზიარებდა ყველა თანამედროვე გამოცემა, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის აკადემიური გამოცემა. ხოლო რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ უახლესს გამოცემებს, მათში გათვალისწინებულია ამ სიტყვის

თითქმის ყველა მნიშვნელოვანი იკითხვისი, მათ შორის საბოლოოდ აღიარებული – *მინა*.[158]

იუსტინე აბულაძეს ეკუთვნის ასევე „ვეფხისტყაოსნის“ რიგი წარყვნილი ადგილის აღდგენა და უმართებულო წაკითხვათა გასწორება. ასე მაგალითად, წინა გამოცემებში თუ იკითხებოდა: „კალმად გიკვეთ *გაწყობილსა* ტანსა ჩემსა ვით *ლერწამსა*“, იუსტ. აბულაძე ამ სტრიქონს „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წლის გამოცემაში ასეთი სახით ბეჭდავს: „კალმად გიკვეთ *გაწლობილსა* ტანსა ჩემსა ვითა *თმასა*“ (962,4), რაც შემდეგმა გამოცემებმაც გაიზიარეს. (ოღონდაც „ტანსა ჩემსა“-ს ნაცვლად არის „ტანსა, წვრილსა“ იხ. „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის აკადემიური გამოცემა, 959 სტროფის მე-4 სტრიქონი, გვ. 149. ასევა პოემის უახლეს, 2012 წლის გამოცემაშიც 954-ე სტროფის მე-4 სტრიქონი, გვ. 189.); ტრადიციულ წაკითხვას: „ლამის ლექსთა უნდა *ლევნა*“, იუსტ. აბულაძე ასე ასწორებს: „ლამის ლექსთა უნდა *ვლენა*“(10,4), რაც სხვების მიერაც იქნა გაზიარებული (ამ უკანასკნელი გასწორებით შევიდა 2012 წლის გამოცემაშიც, გვ. 11, თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის აკად. გამოცემა ტრადიციულ წაკითხვას იმეორებს, გვ. 10.).

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აქვე შევჩერდებით იუსტინე აბულაძის მიერ პოემის ტექსტის

---

[158] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ, თავჯდომარე – აკად. თამაზ გამყრელიძე, პროექტის სათაურია – ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“, მთავარი რედაქტორი ლევან ღვინჯილია, თბ., 2009; იხ. აგრეთვე, „ვეფხისტყაოსანი“, პარმენ მარგველაშვილის რედაქციითა და ბოლოთქმით, თბ., 2012, გვ. 10.

კიდევ ერთ შესწორებაზე, რომელსაც პროფ. დ. კობიძე აღნიშნავს. საქმე ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 35-ე სტროფის მე-4 სტრიქონს: „მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ ღამესა ჩვენ *უმთვაროსა*“, რომელიც იუსტ. აბულაძემ ასე შეასწორა: „მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ ღამესა *უთენაროსა*“, რაც გაზიარებული იქნა როგორც აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის, აგრეთვე რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული ტექსტის სარედაქციო კოლეგიის მიერ. პავლე ინგოროყვამ „უთენაროსა“ სიტყვის ნაცვლად აირჩია „უმთენაროსა“, ამ უკანასკნელი კონიექტურის საფუძვლად, დ. კობიძე, მაინც, იუსტ. აბულაძის წაკითხვას მიიჩნევს. ხოლო 1939 წელს იუსტ. აბულაძე მაყაშვილისეული ხელნაწერის საფუძველზე ახალ ვარიანტს იძლევა – „ღამესა მომთენაროსა“, რაზედაც დ. კობიძე წერს: „მომავალმა ძიებამ, რუსთველის მსოფლმხედველობის უფრო ღრმად შესწავლამ უნდა გაარკვიოს, თუ ამ ორი წაკითხვიდან რომელს მიცეს უპირატესობა. რუსთველის მიხედვით (ეს იმ დროის კვალობაზე ფართოდ გავრცელებული შეხედულება იყო), გარდაცვალების შემდეგ უთენარო ანუ გაუთენებელი ღამე კი არ დადგება, არამედ ღამე ნათელი და მზიანი, მერჩულით „ნათელი დაუღამებელი“. რუსთველის რწმენით, სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილთა „სულნი ზეცად რბიან“, სადაც „დღისით და ღამით მზისა ელვათა კრთომაა“. ასეთ ვითარებაში ვეფხისტყაოსნის ავტორი დგას ქრისტიანული რელიგიისა და მსოფლმხედველობის საფუძველზე. შეუძლებელია მას სიკვდილის მოახლოება „უთენარო ღამედ“ წარმოედგინა და როსტევანისთვის ეთქმევინებინა: „მზე ჩაგვისვენდა...“ და სხვ.

იქნებ იუსტ. აბულაძის მიერ ბოლო დროს შერჩეული წაკითხვა („ღამესა მომთენაროსა“) სჯობდეს.“ თუმცა ამ სიტყვების ავტორი აქვე დასძენს: „ეს საკითხი ღრმად შესწავლის ღირსია“. [159]

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ როგორც 1988 წლის აკადემიურ, ისე მომდევნო გამოცემებშიც შესულია – „ღამესა ჩვენ უმთვაროსა“. ამ სტრიქონის შინაარსი კი ასეთია: „ჩემთვის მზე ჩაესვენა, სიბნელეს და უმთვარო ღამეს შევყურებ“.[160]

ინტერესს იწვევს ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ცნობილი სტროფის ბოლო ტაეპის – „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“ – იუსტინე აბულაძისეული გაგება, რომელსაც მან ცალკე წერილიც კი მიუძღვნა შემდეგი სათაურით: „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტრადიციული ადგილის შესწორების გამო“ (თსუ შრომები, 1951, ტ. 45). აქ მეცნიერი დაუშვებლად მიიჩნევს როგორც 1937 წლის საიუბილეო, ისე 1951 წლის პოემის გამოცემებში ამ ტაეპის ასეთი სახით შეცვლას და უპირატესობას ანიჭებს პოემის ყველა არსებულ ხელნაწერებსა და ვახტანგისეულ ბეჭდვით გამოცემაში არსებულ შემდეგ წაკითხვას: „რასაცა გასცემ, შენია, *რაც არა დაკარგულია*“, რადგან, მისი აზრით, ნუთუ მეფე როსტევანი მის მიერვე გახელმწიფებულ ასულს ასე ურჩევს, რომ მამის

---

[159] დავით კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, ტ. III, თბ., 1978, გვ. 60-61.

[160] იხ. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი (ძირითადი და ჩანართი სტროფები) ვარიანტებითა და კომენტარით, I ნაკვეთი, თბ., 2014, გვ. 98.

ნაანდერძევი სიმდიდრიდან, რაც ხაზინაში ინახება, ყველაფერი ხალხზე უნდა გასცეს, დააცარიელოს ხაზინა და თვითონ მათხოვრად დარჩეს, მაშინ როდესაც, ტრადიციული წაკითხვა, რაც არა დაკარგულია, კონტექსტის მიხედვით ნიშნავს: „«სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია, რასაცა გასცემ [ხალხზე], *შენია*; რაც [მაშასადამე, ფრჩხილებში ჩვენია] არა დაკარგულია!» – რაც არ იკარგება, ე. ი. სახელი გრჩება“. (ხაზი ყველგან ავტორისაა – ნ. მ.).

თავისი არგუმენტის გასამყარებლად იუსტ. აბულაძეს მოჰყავს მსგავსების მაგალითი „ვისრამიანიდან“: „გაიხარენ, სუი და ჭამე, გაეც, რომელ სახელი დაგრჩეს“ [ვისრ. გვ. 42].[161]

იუსტ. აბულაძის ტექსტოლოგიური კვლევის უდავო ღირსებების მიუხედავად, 1914 წლისა და 1926 წლის გამოცემებში გვხვდება საკმაოდ სადავო გასწორებებიც, რაც ძირითადად რედაქტორისეულ კონიექტურებს ეხება. ასე მაგალითად, პროლოგოს მე-5 სტროფის ბოლო სტრიქონი: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი *ტყვიისა ლბილისა*“, რუსთველოლოგთა შორის დიდ გაუგებრობას იწვევდა. ალ. სარაჯიშვილი მთელ ამ სტროფს ჩანართად მიიჩნევდა. მართალია, იუსტ. აბულაძემ ეს სტროფი რუსთველისეულად მიიჩნია, მაგრამ გადამწერთა მიერ დამახინჯებულ წაკითხვად ჩათვალა და ასეთი კონიექტურა შეიტანა, როგორც 1914, ისე 1926 წლის გამოცემებში, რაც, მისი აზრით, უფრო გასაგებს ხდის ამ მეტაფორულ სახეს: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი *სიტყვისა ლბილისა*“, რომლის აზრიც, როგორც იუსტ. აბულაძე წერს, შემდეგია: „ლბილისა და ნაზი სიტყვის სიძლიერე

[161]იხ. იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 277-278.

(მეტაფ. გრდემლი – იგულისხმება თამარის ბრძანება) მაგარ ქვასაც კი გასტეხსო. ეს, ვიმეორებთ, მით უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ რუსთველს არაერთგზის უხმარია მსგავსი პოეტური ფიგურა."[162] აქვე მკვლევარს სქოლიოში პოემიდან შესადარებლად მოჰყავს შემდეგი ადგილი: «მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია»". ასევე სხვა მაგალითებსაც იშველიებს: „გველსა ხვრელით აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი", „მისვე ჴმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან" და ა.შ.[163]

საბოლოოდ ზემოაღნიშნულ სტროფს ნათელი მოჰფინა საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილმა რუსთველოლოგმა ვიქტორ ნოზაძემ.[164] მან, პირველ რიგში, მკვლევართა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ სტრიქონის როგორც რეალური, ისე გადატანითი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ძველ რუსთველოლოგებსაც, როგორც ვახტანგ VI-ს, ისე თეიმურაზ ბაგრატიონს. ვ. ნოზაძე ახალი მასალებით აშუქებს ამ საკითხს და როგორც ძველი ქართული წყაროების, ისე პატიოსან თვალთა დამუშავების დიდძალი უცხოური ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე გვამცნობს: – უმაგრესი ქვაა საერთოდ და ვეფხისტყაოსანშიც არის ალმასი და „გასტეხს ქვასაცა მაგარსა..." იგივეა, რაც ალმასის გატეხა. ძველი არაბული წყაროებიდან ირკვევა შუა საუკუნეებში ალმასის დამუშავების წესი, რომ ალმასს ტყვიის მაგიდაზე გათლიან, ტეხენ, ამუ-

---

[162] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 88.

[163] იქვე, გვ. 88-89.

[164] იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება", 1954, ბუენოს-აირესი, გვ. 103-109.

შავებენ. ეს ტყვიის მაგიდა იგივეა, რაც ტყვიის გრდემლი. აქედან გადატანითი მნიშვნელობითაა, რომ ალმასი, როგორც უმაგრესი ქვა, ულბილესი ტყვიის გრდემლით გაითლება, ასევე თამარის შვენებით (ჰაეროვნებით) გატყდება მტკიცე გული პოეტისა. საინტერესოა, რომ ასეთივე სახე-მეტაფორას ვხვდებით ნიზამი განჯელის პოემაში „ისკანდერ-ნამე“: ტყვიით სტეხენ უუმაგრეს ალმასს“-ო. შოთა რუსთაველსაც, ნიზამის მსგავსად, კარგად სცოდნია ალმასის დამუშავების წესი, რაც გამოუყენებია მშვენიერი მეტაფორის შესაქმნელად. ამდენად, საანალიზო სტრიქონის იუსტ. აბულაძისეული კონიექტურა სრულიად უადგილოდ იქნა მიჩნეული.[165]

პროფ. ს. ცაიშვილის აზრით, კრიტიკულ მიდგომას იმსახურებს იუსტ. აბულაძის ზოგი სხვა გასწორებაც: მაგ., „დავალი“ „და ვალთა“ (361,4; 637,4); „ნათელთა მსახემან“ (738); „ვისთვისმე ცხელი“ „ვისთვისმე ხელი“ (249), სადაც არ არის გათვალიწინებული ხელნაწერთა რიგი მართებული წაკითხვა, რომლებსაც ყურადღება მიექცა მომდევნო ხანის გამოცემებში. ს. ცაიშვილი მცდარად მიიჩნევს მკვლევრის ამოსავალ დებულებას, რომლითაც პოემის ვახტანგისეული რედაქცია ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენ წყაროდაა საგულვებელი. ასევე მიუღებელია მისთვის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისადმი ისეთი სკეპტიკური პოზიცია, როგორიც გამოავლინეს ალ. სარაჯიშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ნ. მარმა (ნაწი-

[165] სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები, თბ., 1970, გვ. 94-95.

ლობრივ) და იუსტ. აბულაძემ, რომელმაც თავის ორივე გამოცემაში პროლოგს შემდეგი დასათაურება მისცა: „შესავალი, რომელიც მიეწერება რუსთველს“.[166]

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, პროფ. ს. ცაიშვილი აქვე დასძენს, რომ „რასაკვირველია, ეს ნაკლოვანებები ვერ ამცირებენ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში მიუძღვის მის ერთ-ერთ პიონერთაგანს, იუსტინე აბულაძეს, რომლის საერთო დამსახურება რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ამჟამად საყოველთაოდ არის აღიარებული ჩვენს მეცნიერულ წრეებში“.[167]

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო დროს გამოქვეყნებულმა ბატონ პარმენ მარგველაშვილის გამოკვლევამ წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეულად სახელდებული S-5006 ხელნაწერის მნიშვნელობა, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს ვახტანგისეული რედაქციის სტროფული შედგენილობის მხარდამჭერ საგულისხმო ჩვენებას, რამაც მკვლევარს საშუალება მისცა შემდეგი დასკვნა გაეკეთებინა: „ჩვენი აზრით, ვეფხისტყაოსნის ნუსხების გენეალოგიის, მათი რედაქციული სახესხვაობისა და, საერთოდ, რუსთველური ტექსტის ცვლილების ისტორიის კვლევა აუცილებლად უნდა წარიმართოს რუსთველოლოგიის ფუძემდებლის ვახტანგ მეექვსიის მიერ ხელდასხმული ტექსტის და არა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის საფუძველზე“.[168] გამოდის, რომ

---

[166] ს. ცაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 96-97.

[167] იქვე, გვ.97-98.

[168] პარმენ მარგველაშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციისა და წერეთლისეული ნუსხის მნიშვნელობისათვის რუსთველოლოგიაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, № 2,2018, გვ. 202, 209.

მართალი ყოფილა იუსტ. აბულაძე, როცა პოემის ტექსტის დადგენაზე მუშაობის დროს უპირატესობას ანიჭებდა ვახტანგისეულ რედაქციას და ასე წერდა: „...ვახტანგის გამოცემას უნდა ვუცქიროთ ისე, როგორც პირველი რესტავრატორის ნამუშევარს, რომელშიაც აღდგენილია ბევრი ძველისძველსა და საუკეთესო დედანში დაკარგული ან ძალზე დაზიანებული ადგილი. ამ თვალით თუ შევხედავთ ვახტანგის რედაქციას, მაშინ მისი შედგენილობაც უნდა მიღებულ იქნას, როგორც სხვაზე უფრო სარწმუნო, სადაც გადარჩენილია სამუდამო დაღუპვისაგან რიგი ხანები, რომლებიც იმ დროის ხელნაწერების უმეტესობაში უკვე მოსპობილი უნდა ყოფილიყო. ...ამნაირად ჩვენს 23-ე გამოცემას, რომლითაც დაცულია ვახტანგის გამოცემა სრული მისი შედგენილობით, დართული ექნება თითქმის ყველა არსებული ხელნაწერის ვარიანტები. ამით, რასაკვირველია, ჩვენ როდი ვსპობთ იმგვარი მუშაობის მნიშვნელობას, როგორიც ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს, და როგორიცაა «ვეფხისტყაოსნის» კრიტიკული ტექსტის სერიებად სტამბვა. ამგვარი მუშაობა ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რათა მივიღოთ «ვეფხისტყაოსნის» საბოლოო კრიტიკული ტექსტი. კიდეც რომ მოგვიხდეს ამა თუ იმ ხანის ხელახლად შეტანა ძირითად ტექსტში, ამით არაფერი დაშავდება.“[169]

საჭიროა აღინიშნოს, რომ იუსტ. აბულაძე, როგორც თავისი მასწავლებლის, ნიკო მარის ჭეშმარიტი მოწაფე, რუსთველოლოგიაში ხშირად მის მეთოდს იყენებდა, მაგრამ მთელ

[169] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ, თბ., 1967, გვ. 83.

რიგ საკითხებში სრულიად განსხვავებულ და დამოუკიდებელ აზრებს ავითარებდა.

როგორც პროფ. დ. კობიძე შენიშნავდა: „პროფ. იუსტინე აბულაძე აღმოსავლური ლიტერატურისა და ენების ღრმა მცოდნე ერთადერთი მეცნიერი გახლდათ, რომელმაც მძლავრი წინააღმდეგობა გაუწია ნ. მარის მიერ წამოყენებულ „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულობის თეორიას“.[170] ასევე „მან სწორი პოზიციიდან გააკრიტიკა მისი მასწავლებლის აკადემიკოს ნოკო მარის მცდარი მოსაზრებანი რუსთველის სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი მრწამსის შესახებ“.[171] თუმცა, როგორც ცნობილია, ნ. მარმა საბოლოოდ უარყო თავისი ადრინდელი შეხედულება (პოემის სპარსულიდან თარგმანის თაობაზე) და „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ეროვნულ ძეგლად აღიარა.

აი, რას წერდა იუსტ. აბულაძე შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“: „რით არის ძლიერი შოთა, ან უკეთ, რა არის ეს უხილავი ძალა, რომელიც ისე გვიზიდავს და გვიმონებს ყველას, რაც ასე სათაყვანოდ ხდის პოეტს? ეს, ჩვენი აზრით, არის მისი შემოქმედების სწორედ ის ნიშანდობლივი თვისება, რომელიც საგრძნობლად განასხვავებს მას აღმოსავლური პოეზიის ყველა წარმომადგენლისაგან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც სპარსეთის ლიტერატურის უბრწყინვალეს ვარსკვლავებს ფირდოუსსა და ნიზამი განჯელს, არც სხვას ვისმე სპარსელ პოეტთაგანს, ეპიკო-რომანტიკული პოეზიის სფეროში არ შეუქმნიათ არც ერთი ისეთი ხასიათის

---

[170] დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, III, თბ., 1978, გვ. 61.

[171] ალექსანდრე ბარამიძე, ახლო წარსულიდან (მოგონებანი), თბ., 1983, გვ. 261.

ნაწარმოები, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც ვხვდებით ქალ-ვაჟის რომანული სიყვარულის ქრისტიანულ ნიადაგზე უმაღლეს წერტილამდე განვითარებას, წმინდა და წრფელი რაინდული სიყვარულის კულტს. ....საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ეპიზოდი ისეთი ღრმა ინტერესის გამომწვევი სიმეტრიით არის შეწყობილი, რომ ყველა ეს, პოეტის აღმაფრენასთან და მის ჯადოსნურ რითმასთან ერთად, ფანტავს ყოველგვარ ეჭვს ჩვენი ძეგლის ორიგინალობის შესახებ. ....შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ნამდვილი ქრისტიანის და არა მაჰმადიანის ლიტერატურულ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე“.[172]

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევის მცდელობას რუსთველოლოგიის ისტორიაში, იუსტინე აბულაძე, ისევე როგორც ნიკო მარი (თუმცა მან შემდგომში შეიცვალა შეხედულება), სილოვან ხუნდაძე, ვუკოლ ბერიძე და ნაწილობრივ შალვა ნუცუბიძე, იზიარებდა პლატონ იოსელიანის მიერ პირველად გაცხადებულ აზრს შოთა რუსთაველის ნეოპლატონიზმის იდეებზე აღზრდის თაობაზე.[173] იუსტ. აბულაძე თვლიდა, „რომ პოეტის მიერ ქალ-ვაჟის რომანული სიყვარულის ქრისტიანულ ნიადაგზე უმაღლეს წერტილამდე განვითარება, ანუ გაიდეალება“, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ძლიერ გავლენაზე მიანიშნებდა“.[174]

---

[172] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 215-216.

[173] გურამ შარაძე, პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 162, 180.

[174] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 94.

ის, რომ იუსტ. აბულაძე რიგ საკითხებში ნ. მარისგან განსხვავებულ მოსაზრებას იძლევა, კარგად ჩანს პოემის ერთ-ერთი სტროფის ბოლო სტრიქონის – „მისნი ვერ გაძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან“ – განსხვავებული გაგებიდანაც. იუსტ. აბულაძე რუსთაველის კაენს ბიბლიურ (ძმისმკვლელ) კაენად მიიჩნევდა, ხოლო სალამანი მას წარმოედგინა არა როგორც საკუთარი სახელი, არამედ – სალი კლდე, კნინობითი ფორმისაგან სალა. ნ. მარის აზრით კი „ვეფხისტყაოსნის“ კაენი ნიზამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანის“ გმირის ყაისის სახელის ფორმაა, ხოლო სალამანი სპარსული რომანის „სალამან და აბსალის“ გმირის სახელია. პროფ. დ. კობიძის აზრით, ნ. მარის გაგებაა სწორი.[175]

ასევე განსხვავებული იყო იუსტ. აბულაძისა და ნ. მარის აზრი რუსთაველის სადაურობის შესახებ. ნ. მარი პოეტის მესხეთიდან წარმომავლობის აზრს იცავდა, ხოლო იუსტ. აბულაძე ემხრობოდა თეიმურაზ ბატონიშვილის თვალსაზრისს და რუსთაველი ჰერეთიდან წარმოშობილად მიაჩნდა. ის წერდა, რომ: „უფრო საგულვებელია, საგვარეულო სახელწოდება რუსთველი წარმოშობილი იყოს იმ რუსთავისაგან, რომელსაც მეტი სტრატეგიული მნიშველობა ჰქონდა, და ამგვარი კი იყო, «ქართლის ცხოვრების» ცნობებით, ტფილისის მაზრაში მდებარე ძველი ჰერეთის ქალაქი რუსთავი“. ამგვარად, სხვადასხვა ისტორიული წყაროს მოხმობის შედეგად ასკვნის, რომ „პოეტის სახელწოდება რუსთველი შეკავშირებული უნდა იყოს ქალაქ რუსთავთან, რომლის მთავარი,

---

[175]იხ. დაწვრილებით: დ. კობიძე, ჯამი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბ., გვ. 143-151.

გამგე ან მესაკუთრე, იყო პოეტი".[176] შემდგომ მეცნიერი დაეჭვებულა თავის მოსაზრებაში და მიუჩნევია, რომ შოთას სახელწოდება რუსთველი პირობითად უნდა ჩაითვალოს და „რუსთველი წარმომდგარია არა ჰერეთის რუსთავისაგან... როგორც ამას ჩვენ ვფიქრობდით, არამედ «ვინმე მესხი მელექსე» რუსთველის მიერ არის შეტანილი როგორც პოემის დასასრულში, ისე მის შესავალში".[177]

საინტერესოა იუსტინე აბულძის მიერ ყურადღების მიქცევა იმ გარემოებისთვისაც, რომ „ვეფხისტყაოსანში" როგორც პირთა საკუთარი სახელები, ისე გეოგრაფიული სახელებიც ჩვეულებრივი აღმოსავლური პოპულარული სახელები კი არ არიან, არამედ ისინი, უმეტეს წილად, წარმოადგენენ ეპითეტებს ანდა მთელ წინადადებებს, ან ხმარებული არიან მრავლობითი რიცხვის ფორმით. ასე მაგალითად, ნესტანდარეჯანი ნიშნავს „არ არის ქვეყანაზე", ე.ი. არ მოიპოვება ქვეყანაზე მასზე ლამაზი, მზეთუნახავი; ფარსადანი – ნიშნავს ფილოსოფოსთაგანს ან ბრძენთაგანს; როსტევანი – მართალი, სამართლიანი, სიმართლის მოყვარული და სხვ. ...[178]

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, შევეხოთ იუსტ. აბულაძის მიერ 1934 წელს გაზეთ „კომუნისტში" (№247) დაბეჭდილ წერილსაც – „რუსთაველი თუ რუსთველი", რომელიც წარმოადგენს გამოხმაურებას, როგორც რედაქცია იუწყება, აზრთა გაცვლა-გამოცვლის წესით, კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ 1934 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე", სადაც

---

[176] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 40, 42.

[177] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებ., თბ., 1967, გვ. 196.

[178] იქვე, გვ.111-112; 180-182.

წერილის ავტორი ემხრობა ფორმა „რუსთველის“ ხმარებას და არგუმენტად მოჰყავს შემდეგი: „«ვეფხისტყაოსნის» შესავალი და აღორძინების პირველი ხანის პოეტები თეიმურაზ პირველი და სხვები და მათი მომდევნონი, როგორნიც არიან არჩილი და დავით გურამიშვილი, ერთხმად ხმარობენ ფორმებს: „რუსთველო“, „რუსთველი“, „რუსთველის ნათქვამში“ (არჩილი), „რუსთველისებრ“ (დავით გურამიშვილი), აგრეთვე ძეგლებშიც, მაგ., ღვთაების გუჯარში 1722 წლისა, პირდაპირ ნათქვამია: რომ „რუსთველად ამის მიზეზისათვის უწოდებიათ რუსთველისათვის, რომ რუსთავს ამა ქალაქს უხმობენ“. ამნაირად, ყველა ჩვენამდე მოღწეული ძეგლი ცნობს მხოლოდ ფორმას „რუსთველი“ და მისგან გენეტივს „რუსთვლის“ და არასდროს მათში არ ვხვდებით ფორმას „რუსთაველი“. აგრეთვე ყველგან ამ მათ მიერ მიღებული ფორმიდან ისინი აწარმოებენ გენეტივს ფორმით „რუსთვლის“ და არა „რუსთველის“.[179] ამ საკითხს დღემდე სხვადასხვაგვარად უდგებიან მკვლევრები, მაგრამ პოემის აკადემიურმა გამოცემებმა საბოლოოდ დაამკვიდრა ფორმა – *რუსთაველი*.

აკად. ავთანდილ არაბული თვლის, რომ „ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ორი არგუმენტი ლაპარაკობს: 1. *რუსთველი* ორივე ადრეულ წყაროში საეგებოა: ა) პროლოგის სტროფის ავტორისეულობა ეჭვქვეშ დგას და ბ) ფრესკის წარწერის *როსთვლი* აშკარად დაქარაგმების მაგალითი ჩანს. 2. ამოსავალი ტოპონიმი კომპოზიტია: *რუ-ის-თავ-*. მასალის მიხედვით, არც *თავ-* ფუძე *-ელ* სუფიქსის წინ და არც *-ავ-ელ* მორფონოლოგიური სეგმენტი კუმშვას არ განიცდის: იქნება

---

[179] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 252-253.

ხიდისთავ-ელ-ი, ბოდავ-ელ-ი (და არა – *ხიდისთველი, ბოდველი).* რუსთველი ისეთივე ხელოვნური ფორმაა, როგორიცაა კიდევ ერთი კუმშვის მაგალითი ამ სახელის გამოყენებაში: «ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში...» ამდენად, *რუსთაველი* კანონზომიერი ფორმაა."[180] (ხაზი ყველგან ავტორისაა – ნ. მ.).

• • •

იუსტინე აბულაძემ სერიოზული წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის" მაღალმხატვრულ ღირსებათა შესწავლისა და წარმოჩენის საქმეში. სიყრმის წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მას პოემის საკითხებზე ფიქრი და ძიება არ შეუწყვეტია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ იგი თურმე სიკვდილის წინაც კი, აგონიაში მყოფი „ვეფხისტყაოსნის" სტროფებს ლუღლურებდა.

რუსთველოლოგიის სფეროში ამაგდარი მეცნიერის მოღვაწეობის მიმოხილვა გვსურს დავასრულოთ იმ სიტყვებით, რომელთაც იგი მის მიერ პირველად 1914 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის" შესავალ წერილში წერდა, რაც კიდევ ერთი უტყუარი მაჩვენებელია მისი დაუოკებელი სიყვარულისა ქართველი ერის ამ დიდი პოეტური ძეგლისადმი: „რაც მეტს ვკითხულობთ «ვეფხისტყაოსანს», მით უფრო ვიმსჭვალებით საკვირველების გრძნობით მისი დამწერის გენიოსობისა და იშვიათის პოეტური შემოქმედებისადმი, მისი დაულეველი სიბრძნისადმი. იგია სიბრძნის ზღვა, ზღვასავით ღრმა და განუზომელი, იგია შემოქმედების სული, პოეტურის ზეშთაგონების უზენაესი ძალა. იგი, თვით ძლიერი სულით,

---

[180] იხ. ავთანდილ არაბული, „ვეფხისტყაოსნის" თავგადასავალი, თბ., 2016, გვ. 71.

სხვასაც ანიჭებს ძლიერებას, უნთებს ცეცხლს საღმრთო ცეცხლით. იგია ლამპარი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წინ უძღოდა და დღესაც ასევე უძღვის ქართულს პოეტურ შემოქმედებას, და თამამად შეიძლება ითქვას, რუსთველი რომ არ ყოფილიყო, არც დღევანდელი მდიდარი ენა და პოეზია იქნებოდა. დღევანდელი პოეზია და ქართულის შემოქმედების სული პირდაპირ რუსთველისგან არის ნაბოძები".

იუსტინე აბულაძის ეს სიტყვები ერთგვარი ანდერძივითაა, რომ რაც შეიძლება ხშირად და, რაც მთავარია, გააზრებულად ვიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი", ქართველებისთვის ბიბლიის სადარი ქმნილება, რამეთუ „გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულთა ჰგმირდეს". ჩვენ კი, მოკვდავთ, მხოლოდ ის დაგვრჩენია, პატივი მივაგოთ ყველა იმ ქართველ თუ უცხოელ მკვლევარს, რომლებიც დიდის რუდუნებით იკვლევდნენ, თარგმნიდნენ და დღესაც იკვლევენ ჩვენს ეროვნულ ძეგლს, მსოფლიო მნიშვნელობის ამ ჭეშმარიტ ლიტერატურულ საუნჯეს, რომელმაც თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა კაცობრიობის სულიერი კულტურის განვითარების ისტორიაში, ხოლო „რუსთველოლოგიის სამასწლოვანმა ისტორიამ აჩვენა, რომ რუსთველის სამყაროსთან მეცნიერული გზით მიახლების მცდელობა ამდიდრებს, აღრმავებს და ხვეწს არა მარტო თავად გულისხმიერი მკითხველის და დაინტერესებული მკვლევრის თვალსაწიერსა და სულიერ სამყაროს, არამედ აწესრიგებს და ღირებულ სტრუქტურას ანიჭებს მთელ ქართულ სააზროვნო წიაღს".[181]

---

[181] შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პ. მარგველაშვილის რედაქციითა და ბოლოთქმით, თბ., 2012, გვ. 331.

„არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები ისე პატივცემული არ ყოფილა ჩვენში, როგორც რუსთველის «ვეფხისტყაოსანი»“ (იუსტ. აბულაძე).

დაბოლოს, პროფესორების – დავით კობიძისა და იოსებ მეგრელიძის სიტყვების მოშველიებით გვინდა, კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი იუსტინე აბულაძის როგორც პიროვნებისა და მეცნიერის მნიშვნელობას:

„რომ შევაჯამოთ ყველაფერი ის, რაც პროფ. იუსტინე აბულაძეს გაუკეთებია, ჩვენს წინ წარმოდგება მრავალმხრივ საინტერესო საზოგადო მოღვაწის სახე, რომლის გული 88 წლის განმავლობაში ფეთქავდა ქართველი ხალხის და ქართული კულტურის დიდი სიყვარულით, იწვოდა ამ სიყვარულით, დაიფერფლა ამ სიყვარულით“.[182]

„ეს მეცნიერი იყო თავისი დროის ერთი საუკეთესო ქართველ ფილოლოგთაგანი, დაკვირვებული ტექსტოლოგი და ნაყოფიერი ლექსიკოლოგი. ნიჭი, ზოგადი და სპეციალური განათლება, შრომის სიყვარული, კვლევითი მუშაობით დაინტერესება გახდა იმის საფუძველი, რომ პროფ. იუსტინე აბულაძემ გულწრფელი მეცნიერისა და უანგარო საზოგადო მოღვაწის სახელი დაიმსახურა. მას, როგორც ირანისტს, იცნობდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც.“[183]

---

[182] დავით კობიძე, იუსტინე აბულძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბ., 1964, გვ.21.

[183] იოსებ მეგრელიძის წინასიტყვაობა წიგნში: იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 5.

5. ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან

იუსტინე აბულაძის პირად არქივში დაცული რამდენიმე წერილის გამოქვეყნებით ფართო საზოგადოებას გავაცნობთ მეცნიერის საქმიანი ურთიერთობა კოლეგებთან, რაც უცილობელი დასტურია იმისა, თუ როგორ უწევდა ანგარიშს მის ავტორიტეტს მრავალი ცნობილი მკვლევარი ამა თუ იმ საკითხის კვლევა-ძიებისას.

ამ წერილებიდან ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა აკად. შ. ნუცუბიძესთან. არქივში დაცულია შ. ნუცუბიძის ორი წერილი იუსტ. აბულაძისადმი მიწერილი და იუსტ. აბულაძის ერთი წერილი შალვა ნუცუბიძისადმი, რომელიც, სამწუხაროდ, მეტად შელახულია.[184]

(I) [შალვა ნუცუბიძის წერილი]

ჩემო იუსტინე,
28.X.40

მოსკოვი

შენი ქალი ორჯელ იყო ჩემთან, პირველად შინ არ ვიყავი და ბარათი დამიტოვა. ხოლო დღეს პირადად მოვიდა. კარგად არის და საქმეებსაც აგვარებს. მისამართი გამოვართვი და ... მადლობა გახსენებისათვის, მე კარგად ვარ, რუსთავე-

[184] წერილებში დაცულია ავტორთა სტილი და ორთოგრაფია.

ლის აწყობა დაიწყო „გოსლიტიზდატში“ და ნოემბრის ბოლოსთვის პირველი ცალები იქნება. შენ იყავი პირველი, რომელმაც ვაჟკაცურად შენი აზრი წერილობით გამოთქვი თარგმანის ღირსების შესახებ.[185] მას შემდეგ ის საგრძნობლად გავაუმჯობესე. გილოცავ, რომ შენი აზრები ჩვენი დროის უდიდესი კაცის აზრებს დაემთხვა, როგორც პირადად მითხრა. გამოდის 150,000 ცალი.

შენი შალვა ნუცუბიძე

(II) [იუსტ. აბულაძის წერილი შ. ნუცუბიძისადმი]

უძვირფასესო მეგობარო შალვა, უგულითადესი მმური სალამი და მოკითხვა.

ჩემი რა გითხრა, ძმაო შალვა.
ჩემს ამბავს იკითხავ.
არ მსურს შეგაწუხო წუწუნით.

პირიქით, მინდა გითხრა იმისთვის, რომ მხოლოდ გაგახსენო, რაც შენც იცი. მაგარი ვარ, ჭაჭა, გული, ფილტვები კარგი მაქვს, მაგრამ მაინც შეიძლება მალე გავტყდე, ხუმრობა კი არის ქართული მეცნიერებისათვის თავდავიწყებით მუშაობა და მის ნაცვლად მუდამ მორალური სასჯელი. მართლაც

[185] ვფიქრობთ, წერილში ლაპარაკია სტატიაზე, რომელიც იუსტ. აბულაძემ 1941 წ. გამოაქვეყნა გაზეთ «Правда»-ში, „ვეფხისტყაოსნის“ შალვა ნუცუბიძისეულ რუსულ თარგმანზე სათაურით «Новый перевод поэмы Руставели» („Правда“, № 71 (8479), четверг, 13 марта).

რა არ ავიტანე?!... საისტორიო და საენათ. საზ. თბილუმსის წინათკარის [? ნ. მ.] უაქტივესი წევრი დამაარსებელი, მისი მუზეუმ-ბიბლიოთეკის მე-2 გამგე, ამავე დროს ცნობილი პედაგოგი – ჩემ სპეც. დარგში, არა ერთი სამეცნიერო შრომის ავტორი [„შაჰნამეს“-ს ვერსიები, ვტ. და სხვები]. მოვესწარ რევოლუციას, მიხარია, მეძლევა იმედი ჩემი მუშაობის მეტად გაშლის.

არსდება უმაღლესი სასწავლებელი. ხდება ჩვენი მეცნიერული ძალების ახალი გადაჯგუფება და დაკომპლექტება. ყველას ბამბა ჩხრიალებს, ჩემი კაკალიც კი არა... აბუჩი ვარ, აბუჩი და აბუჩი... მინდა არ მოვიგონო ამის შემდეგ რაც შემემთხვა. მაწვდიან ხელს მარი, გ. თავზიშვილი. ხდება სახუნტის გასაბჭოება, იმედი მეძლევა. ვმხნევდები, თუმცა ისევ ოხერი ვარ. არსდება ელხი, აბუჩად ვრჩები – მიჩნდება [ეჭვი]. კვლავ გაიგებდი ჩემი კეთილმყოფელები მაყენებენ ფეხზე. გ. ლეონიძე. გავდივარ უფროს თანამშრომლად ამოსული სამარიდან, სადაც ვიყავი 1918-იდან 1934-ამდი. ვწერ და ვაქვეყნებ ნარკვევებს მარრისადმი მიძღვნილ კრებულში, სახუნტის „ლიტერატურ. მემკვიდრეობაში“, „შრომებში“. მხურვალე მონაწილეობას ვღებულობ ფირდოუსის, რუსთაველის, დ. სასუნელის და სხვათა იუბილეების ჩატარებაში და საიუბილეო გამოცემების „შაჰნამე“-ს ვერსიების და სხვათა რედაქტირებაში, ვურთავ მათ ლექსიკონებსა და სხვა. ამავე დროს ვარ „ელხში“ ფირდოუსის ქვესექციის და რუსთვ. სახ. ინსტიტუტში რუსთველის სექციის გამგე, ვწერ და ვაქვეყნებ თითქო 15 წლის საგათის ძილის შემდეგ 40-ამდე სათაურით სხვადასხვა ნარკვევებს და წვრილ-წვრილ კრიტიკულ წერილებს. ამ დროის განმავლობაში მტერ-მოყვარეს არ სძინავს,

დროს ეძებს, ხშირად ამა თუ იმ სიიდან ცდილობენ გამომრიცხონ, მაგრამ გავუგებ ხოლმე, ვეღარ ახერხებენ. ჩემ თანამგრძნობელ, გულშემატკივარ და თანამგრძ. შორის მუდამ გამოირჩევა . . . . . .[ამ ადგილას ფურცელი არის მოხეული – ნ. მ.], ხელს მაწვდის, მამხნევებს, იცვლება რექტორი, ინიშნება გ. კიკნაძე, ჩემი მეგობარია. მირჩევს დავასმევინო საკითხი რექტორატს ჩემი საქმის მოსაგვარებლად, ვიმარჯვებ, უფლება-მოპოებული ვარ. იცვლება რექტორი, განვაგრძობ დაძაბულ მუშაობას, მაგრამ რა?!... ვახერხებ ირანული კათედრის დაარსებას. კვლავ მეფარება მწუხრის ზეწარი, მოჭირნახულე აღარავინ მყავს. ისევ ეულად. გაიხსნა რუსთვ. სახ. ინი. ჩემი კათედრის წევრები ჩაბმული არიან სახუნტთან და აკად. ფილიალთან არსებ. ინსტიტუტებში მუშაობაში, მე კი გარეთ ვრჩები. მეორდება ჩემთვის იგივე, რაც „ელხის“ დაარსების დროს, თუმცა მე რუსთველის ინსტიტუტის დაარსებით ყველაზე მეტად ვიყავი დაინტერესებული. ვეღირსე ჩემ სამშობლოში აკადემიას, მაგრამ აქაც მორალურად დასჯილი ვარ. ალბათ ასეთია ჩემი ცხოვრების ფანდი!... ბედნიერი ხარ შენ, ჩემო შალვა, რომ სასურველ ატმოსფეროში იმყოფები და ეზიარები საამურ ცხოვრებას, რაც მე დიდად მახარებს. მახარებს, რომ მრავალმხრივი ნიჭის პატრონი ხარ. ამით როსტევანივით იმედიანად ვახარებ ჩემ თავს იმით, რომ „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები... შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები“.

მიხარის, რომ მალე „გნახავ მხიარულსა ნადირობით შემოსრულსა“ და ამ იმედით გამხნევებული არად ვაგდებ იმას, რომ „სახლად მმართებს სენები!“...

იყავი კარგად ჩემო მოჭირნახულე შალვა

(III) [შალვა ნუცუბიძის წერილი]

ძვირფასო ძმაო იუსტინე
29.III.41

მოსკოვი

შენი წერილი[186] აქ ყველას ძალიან მოეწონა – მწერლებს, კრიტიკოსებს, აკადემიაში. შეუდარებლად უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე სხვა წერილებს თავისი მეცნიერული სიდინჯით და კაზმულობით. მოეწონათ ზევითაც.

„კომინტერნის“ რადიოსადგურმა მთელს მსოფლიოს გადასცა და ადგილები გადაბეჭდა სხვა და სხვა ქვეყნის პრესამ ევროპასა და ამერიკაში.

მარჯვეთ იყავი – გულს ნუ გაიტეხ! შენ ყოველთვის მაგარი იყავი და დარჩები. ბევრი აგიტანია და ერთ დროს დაფასდება. ანტონ კათალიკოსის მიმდევრები – ჯერ კიდევ პოულობენ გასავალს, მაგრამ დღე იქნება და ყოველივე გაირკვევა.

მე მალე ჩამოვალ. წიგნს საკუთრივ ჩამოგიტან – თავის თავად ცხადია. თანაც მოვილაპარაკოთ შენს საქმეზე და სათანადო გზა ავირჩიოთ. ვფიქრობ ვერავინ მოახერხებს ჩვენში შენისთანა დამსახურების კაცის დაჩაგვრას. ხალხი ვნახოთ – მოველაპარაკოთ, გაგვიგებენ – აუხსნათ.

მაგრად იყავი. რადიოსადგურმა გადაცემისათვის ჰონორარი ცალკე უნდა გადაგიხადოს. თუ მაგათი წარმომადგენელი მანდ არის – მიმართე, თუ არადა აქ უნდა მოსწერო. რატომ უნდა შეარჩინო.

---

[186] იგულისხმება ზემოთ აღნიშული წერილი გაზ. «Правда»-ში.

მე ბევრს ვმუშაობ. აკადემიაში არჩევისას არც მე გავახსენდი არავის, მაგრამ რა უყოთ. მე ჩემი გზა მაქვს და აკადემიის გარეშე ყოფნას არ ვგრძნობ. იმუშაონ და კარგად იყონ. თუ სასარგებლო რამეს გააკეთებენ ჩვენი ხალხისათვის, მე პირველი დაუკრავ ტაშს.

აღმოსავლეთის რენესანსით უნდა დაინტერესდე და მომეხმარო. ჩამოვალ – ამაზედაც მოგელაპარაკები. კარგად იყავი.

შენი მარადის ერთგული
შალვა ნუცუბიძე[187]

თბილი და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა იუსტ. აბულაძეს ცნობილ ირანისტ იური მართან. არქივში დაცულია იური მარის 5 წერილი. სამწუხაროდ, არც იური მარის პირად არქივში აღმოჩნდა იუსტ. აბულაძის საპასუხო წერილები, რაც, ეჭვს გარეშეა, ისევე საინტერესო იქნებოდა, როგორც იური მარის ეს წერილებია.

(IV) [იური მარის წერილი]

---

[187] დასანანია, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე სხვა ცნობა თუ წერილი ამ ორი პიროვნების შემდგომი ურთიერთობის შესახებ. მიმოწერა კი უთუოდ ინტენსიური იქნებოდა. სამწუხაროდ, ვერც იუსტ. აბულაძის საპასუხო წერილებს მივაკვლიეთ შალვა ნუცუბიძის პირად არქივში, ამ უკანასკნელის ქალიშვილის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის თამარ ნუცუბიძის მცდელობის მიუხედავად.

4/мая/1923

Дорогой Иустин Ираклиевич

Жалею, что так спешно приходится писать. Жена уезжает неожиданно сегодня вместо послезавтра. Поэтому не могу послать Вам с ней книг – последние издания В. А. Жуковского по перс. наречиям –; Дошлю их почтой.

Я очень буду благодарен Вам, Юстин Ираклиевич, если Вы согласитесь написать мне, хотябы через жену. В каком положении Ваш словарь (м. б. Вы сочли бы возможным даже кратко описать на каких материалах, какие антологии и т. д.),[188] и если окажете содействие В. Путуридзе указанием, где наидти მიჯნურიანი (кажется только одно изд. = ჭიჭინაძე).

Поклон Вашей милой семье
и лучший мой Всем пожелания

Благодарный Ю. Марр

(V) [იური მარის წერილი]
29/V/1928

Абастуман
Дорогой Иустин Ираклиевич

Поднявшаяся после доклада температура заставила меня срочно покинуть Тифлис.

---

[188] ჩვენი აზრით, აქ ლაპარაკი უნდა იყოს იუსტ. აბულაძის ნაშრომზე: „XII საუკუნის საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ერთვოდა ლექსიკონიც.

Приехав сюда, наблюдаю обратное: у меня даже вечером 35,4 т. е. сильный упадок.[189]

Ну не беда, поправлюсь, тогда заглажу свою вину. Здесь лежу и сижу в Лонгшезе и немного развлекаюсь работой.

Привет всем Вашим от мения и от Софьи михайловны.

Ваш Юрий

(VI) [იური მარის წერილი]
23.XII.1929

დუსტე აზიზე მეჰრებანა[190]

ფედაათ შავამ ომდე ე მათლაბ ბარ სეʷჰათე მეზაჯე მობარაქ ასტ აʷმა ბად:[191] надеюсь что вы, Иустин, здоровы. Посылаю Вам еще одну из своих мелочей. В последнем письме Вы изволите говорить о моих «гигантских шагах». Действительно движение мое из за болезни подобно кружению на гигантских шагах: вокруг столба на одном месте.

Письмо и документы и марки Вашего науколюбивого друга переслал я незамедлительно в Ленинград и просил отца поддержать ходатайство. До сих пор не отвечал. Вам же как будто я не ответил, что мне простительно, т. к. письмо было получено за

---

[189] ცნობილია, რომ იური მარი დაავადებული იყო ტუბერკულოზით, ამით არის გამოწვეული მისი ხშირი სიცხეებიც. ამ დაუნდობელმა სენმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერის სიცოცხლე შეიწირა. გარდაიცვალა 1935 წელს 42 წლის ასაკში [იხ. И. В. Мегрелидзе, Ю. Н. Марр (Его жизнь и деятельность) წიგნში Ю. Н. марр, статьи, сообщения и резюме докладов, I, М. – Л., 1936 г.]

[190] ძვირფასო, საყვარელო მეგობარო!

[191] ეს ჩვეულებრივი ეპისტოლური მიმართვაა, რომელიც საერთოდ წერილის დასაწყისში იწერება ხოლმე: „დე ვიყო მე შენი მსხვერპლი და ა. შ.“

день до отъезда, из Теберди. Соф. Мих., укушенная бешеной или вернее ... собакой срочно выехала в Кисловодск делать прививки, а я остался закончить статью и лишь благодаря этому письмо меня застало.

Все же хоть и нечего не делаю, но желал бы Вам о кропании своем написать, дабы Вы знали, оставив в стороне вещи уже сданные в печать и пресловутую касыду Хакани обращенную к византиицу عز الدوله[192] [кстати нет ли в Тифлисе хоть печатн. или литогр. изд. تحفة العراقين[193] в библиотеке или у частных лиц?] Могу сказать, что печатается сейчас заметки о груз. слове у Хакани в четверостишиях (народ. форма то < вм. лит. მოდი),[194] затем сдаются в печать «К этимологии имен ნესტანდარეჯანი и ამირანდარეჯანი".[195] Затем послал в печать присланные мне А. С. Челидзе из Исвфагана образцы народн. словестности из груз. Фереидания, персидский и грузинский.[196]

---

[192] საუბარია ანდრონიკე კომნენოსისადმი მიძღვნილი ყასიდის შესახებ (იხ. Ю. Н. Марр, К. И. Чайкин, Хакани, Незами, Руставели, II, 1966).

[193] იგულისხმება ხაყანის ავტობიოგრაფიული პოემა „ორი ერაყის საჩუქარი".

[194] იხ. იური მარის სტატია: «К вопросу о позднейших толкованиях Хакани» წიგნში – Ю. Н. марр, Хакани, Незами, Руставели, I, М. – Л., 1935 г., стр. 7-14 და Ю. Н. Марр, «Грузинские слова изданных К. Г. Залеманом четверостишиях Хакани», Бюлл. КИАИ, № 6, Л., 1930 г., стр. 10-11.

[195] იხ. იური მარის სტატია: «По поводу имен Нестандареджани и Амирандареджани» წიგნში – Ю. Н. Марр, Статьи, сообщения и резюме докладов, I, М. – Л., 1936 г., стр. 62-64.

[196] იხ. იქვე, «Два образчика народной словестности из грузинского Фереидания» და «Из бесседы с ферейданским грузином», გვ. გვ. 54-57 და 58-61.

Сижу сейчас также над двумя შერისა во второй (по Н. Я. Марру) строфе ვეფხისტყაოსანი.[197] Не известно ли для последней строки Вам разночтение შუშერისა или შიშერისა? მშერისა есть, თ შ вм. მ не встречается?[198] Мне это крайне интересно. Тогда подтвердилось бы одно из гипотетических . . .[199]

(VII) [იური მარის წერილი]

აბასთუმანი 29 IX 30

სტეფანოვის აგ.

ჩემო ძვირფასო იუსტინე

დიდათ მადლობელი ვარ ყურადღებისათვის. თქვენ კარგათ იცით, რომ მე სულყოველთვის მოხარული ვიყავი თქვენთან ერთად მუშაობის. მითუმეტეს რომ ჩვენ გვაინტერესებს ერთი და იგივე ძეგლების და ხანის შესწავლა. მიიღეთ გულწრფელი მოკითხვა ჩემგან და ჩემი მეუღლისაგან როგორც თქვენ ისე თქვენი ოჯახობას.

თქვენი იური

---

[197] იხ. Тексты и разискания – (XII – Н. Я. марр, Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Рустава... СПб., 1910, стр. 20-22.

[198] ამავე საკითხით დაინტერესებული იყო იუსტინე აბულაძეც. იხ. მისი წერილი: „შესწორებანი და შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ 22 გამოცემის შესახებ (ვახტანგ VI გამოცემული რედაქცია) წიგნში: იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბილისი, 1967 წ., გვ. 74-75.

[199] სამწუხაროდ, ეს საინტერესო წერილი ნაკლულია. არქივში არ აღმოჩნდა მისი გაგრძელება.

(VIII) [იური მარის წერილი]
3 IV 1934

აბასთუმანი
მახარაძის ქ. 47

ძვირფასო და დიდათ პატივცემულო იუსტინ

Приходится побеспокоить Вас следующими вопросами, на которые кроме Вас едва ли кто ответит.

1) привожу на память стихи из «Хосров и Ширин»:

بعرض بندگی دیرآمدم دیر * اگر دیر آمدم شیر آمدم شیر

چه خوش گفت آن فسونساز جهانگرد * که دیر آی و درست آی ای جوانمرد[200]

Нет ли в известной Вам светской литературе грузинской стиха где бы говорилось «хорошо придти поздно, да кстати»? у Шоти? в Одах?

2) خود نماید همیشه مهر فروغ * خود نماید همیشه گوهر آخش

Ведь всегда блистает [букв. 'появляет блеск'] солнце. Ведь всегда ценен [букв. 'имеет' или вариант 'увеличивает' (= فزاید) цену].

нет ли подобной сентеции у Шоты.

3) رودکی رفت وماند حکمت اوی * می بریزد نریزد ازمی بوی

Рудаки ушел [умер], но осталось его мудрость:

Вино проливается, не исчезает запах вина.

---

[200] მონობის წესით, გვიან მოვედი, გვიან
თუმცაღა გვიან მოვედი, ტკბილად მოვედი, ტკბილად.
რა კარგად უთქვამს იმ ჯადოქარ (ქვეყნისმხილველ) მოხეტიალეს,
გვიან მოდი, და სწორად მოდი (ჯანმრთელად მოდი), ო, ჭაბუკო!

Этот образ – постоянный, стойкий запах вина – в ранних произведениях до Фердоуси часто встречается. Есть он или отсутствует у Руставели.

Вот что хочу я спросить.

С приветом
Юрий

არქივში აღმოჩნდა აგრეთვე აკად. კ. კეკელიძის ერთი საქიანი წერილი.

(IX) [კ. კეკელიძის წერილი]

პატივცემულო ძმაო
იუსტინე!

თქვენი წერილი (21 I, 35) მე მივიღე მხოლოდ დღეს, 2 თებერვალს; ვისწრაფი მოგცეთ ის ცნობა, რის მოცემაც მე შემიძლია.

შარშან, როდესაც ძველი ქართული ლიტერატურის სექცია გამოყოფილი არ იყო ჩვენს ინსტიტუტში, ინსტიტუტის დირექციამ გამოგვიცხადა და დაგვავალა მე, პ. ინგოროყვას და ა. ბარამიძეს დაგვემზადებია კრიტიკული ტექსტი „ვისრამიანის“ გამოსაცემად და ამასთანავე გვაცნობა, რომ ლექსიკონი და ინდექსი ამ გამოცემისათვის დამზადებული იქნება თქვენს მიერ. ჩვენც, თანახმად ამისა, შეუდექით მუშაობას და ერთი წელიწადია ვმუშაობთ კიდევაც, დავამუშავეთ თითქმის ორი მესამედი ტექსტისა.

ჩვენ ჩვენი სექციის გეგმაში 1935 წლისათვის შევიტანეთ ის, რაც ჩვენ გვაქვს დავალებული, ლექსიკონზე მუშაობას ვერ შევიტანდით, რადგანაც ეს თქვენ გაქვთ დავალებული და ალბათ თქვენ შეიტანთ თქვენ გეგმაში; მით უმეტეს ჩვენ ვერ შევიტანდით, რომ ლექსიკონის შედგენა უნდა მოხდეს ტექსტის დადგენის შემდეგ, ეს კი დასრულდება მხოლოდ წლის გასულისათვის.[201]

პატივისცემით

კ. კეკელიძე

2, II, 1935

ხელთა გვაქვს ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის მაკარ ხუბუას ორი წერილიც. ერთი მისი მოღვაწეობის ადრეული პერიოდიდან მოწერილი იუსტ. აბულაძისათვის ლენინგრადიდან 1931 წლის 25 ნოემბერს და მეორე უფრო გვიანდელი, დათარიღებული 1940 წლის 12 ივნისით.

---

[201] როგორც ცნობილია, „ვისრამიანის“ შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღოდა იუსტ. აბულაძეს, რომელსაც ამ ძეგლისადმი მიძღვნილ არაერთ მნიშვნელოვან გამოკვლევათა შორის ეკუთვნის აგრეთვე მისი ლექსიკონის შედგენაც, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი სათანადოდ იქნა გაზიარებული მისი ყოფილი მოწაფეების ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას მიერ „ვისრამიანის“ ახალ გამოცემებში. მათი ნამუშაკევით განხორციელდა იუსტ. აბულაძის სანუკვარი ოცნება, რომ „ვისრამიანის“ სპარსულ ტექსტთან ერთად გათვალისწინებული ყოფილიყო ქართული ტექსტის მონაცემებიც, რომელთა გათვალისწინებასაც, როგორც აღმოჩნდა კიდეც, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა თვით სპარსული ტექსტის დადგენის საქმეში (იხ. ვისრამიანი, თბილისი, 1962 წ.).

ვფიქრობთ, იმ პირთათვის, ვინც ამ მეცნიერის მოღვაწეობით არის დაინტერესებული, ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ წერილების გაცნობა.

(X) [მაკარ ხუბუას წერილი]

დ. პ. იუსტინე! ლენინგრადი, 25-XI-31

გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

დღე დღეზე დგებოდა ჩემს წინაშე აუცილებლობა თქვენთან სათანადო კავშირის დამყარებისა მიწერ მოწერის საშუალებით, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც გადაწყდა ჩემი აქ დარჩენისა და მუშაობის საკითხი. აქაური სპეციალისტები ძალიან დატვირთულნი არიან, მუშაობა ყველა ფრონტზე გაცხოველებით მიმდინარეობს; ამიტომ, ბუნებრივია, რომ ერთბაშად ვერ მომიხერხებია ჩვენი სპეციალისტების ნახვა და მათთან საუბარი. პირველად პროფ. რომასკევიჩი ვინახულე თავის ბინაზე, რადგან უნივერსიტეტში იშვიათად იარება ხოლმე და თან ოფიციალური საათები ფაქტიურად შეცვლილი აღმოჩნდა სტუდენტებთან კერძო შეთანხმების თანახმად. თქვენგან სალამი გადავეცი, ძალიან ესიამოვნა, მოგიკითხათ სიყვარულით, დიდხანს მესაუბრა; ჩემი მუშაობის ხასიათი მოიწონა; თავის მოგზაურობაზეც ჰქონდა საუბარი და გზა და გზა აღნიშნავდა ბალხური ენის თავისებურებას. ბერტელსი მუშაობს აღმოსავლურ ინსტიტუტშიაც – კაბინეტის გამგეა, რა თქმა უნდა. მასთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა, ყველაფერი გამომკითხა ჩვენი მუშაობის შესახებ; ძალიან თავაზიანად და სიმპატიურად მიმიღო. ჩემი მუშაობა მო-

იწონა, მიმართულება ჩემი მუშაობისა მასთან იქნება ყოველთვის შეთანხმებული; რაც შეეხება ფრეიმანს, ჯერჯერობით ვერ მოვახერხე მისი ნახვა. ის განაგებს კათედრას უნივერსიტეტში, თითქოს დღეს უნდა ჰქონოდა კათედრის სხდომა საღამოს 6 საათზე – ვიყავი კიდეც, მაგრამ სხდომაზე აღარ აღმოჩნდა. მასთან მუშაობა ჩემთვის აუცილებელია, როგორც ამას თავის დროზე თქვენც აღნიშნავდით ხოლმე. სამუშაო გეგმაში მე უკვე შეტანილი მაქვს სათანადო საათები მასთან სამუშაოდ. წინასწარ პატივცემულ ნიკოს ვესაუბრე ჩემი მუშაობის შესახებ და სათანადო რჩევა მომცა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავ. სპეციალისტებთან მიმაგრების შესახებ კი ყოველ ცალკე შემთხვევაში განცხადება შემოიტანე და ჩვენ სიამოვნებით მიგამაგრებთო მითხრა. როგორც ხედავთ პერსპექტივაში არის შესაძლებლობა მუშაობა გაიშალოს სათანადო ინტენსივობით. მთავარია, რა თქმა უნდა, აქაური ჰაერი; ამ მხრით თითქოს საშიში არა უნდა იყოს რა. ყოველ შემთხვევაში მე ვეცდები მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემს განკარგულებაში მყოფი დრო და, რაც მთავარია, რაციონალურად გავანაწილო ის. ამჟამად მე ვამუშავებ – ტაბარი-ს, ვიწერ სათანადო ადგილებს, რომელიც გარკვეული მიზნისათვის უნდა გამოვიყენო. გარდა სალიტერატურო ძეგლებისა, მე მომიხდება ფართედ სარგებლობა დანარჩენი ენობრივი მასალების – მითების და ფოლკლორის. ცალკე საკითხები, რომელიც წამოიჭრება ჩემი მუშაობის პროცესში და ამა თუ იმ სახით დაუკავშირდება ჩვენთვის საინტერესო თემებს, ასეთ შემთხვევებში ვეცდები თქვენთან ვიქონიო უშუალო კავშირი, ზოგიერთ ფაქტიურ მასალისათვის, ან იდეური ხაზით გამართვისათვის და სხ. მე ვფიქრობ, როგორც ყოველთვის, ისე

ასეთ შემთხვევაშიაც თქვენი ყურადღება სიამოვნებით მიექცევა სათანადო საკითხებს. მე განზრახული მაქვს, რაც შეიძლება მეტი ვიმუშაო უშუალოდ ძეგლებზე, რომ ხელ ქვეშ მექნეს რაც შეიძლება მეტი ფაქტიური მასალა. ასე რომ ასეთი ხასიათის მუშაობა მე მგონია, არ შემიშლის ხელს წარმატებით შევასრულო ჩემი სამუშაო გეგმა: როდესაც გამოკვლევის სათანადო ადგილებზე მუშაობით დავიღლები ხოლმე, მაშინ უფრო მექანიკურ ხასიათის სამუშაოს ვკიდებ ხელს.

რაც შეეხება ტფილისში თქვენს მუშაობას, მე ამის შესახებ ამ ჟამად არა ვიცი რა. ამდენ ხანს წერილი არ მიმიწერია ამხანაგებისათვისაც. მართალია, პატივ˜ლი ნიკო ჩამოვიდა და ზოგი რამ გვიამბო, მაგრამ ეს იყო ოფიციალ. მიღების და შეხვედრის მომენტები, ხოლო არსებითი და ყოველდღიური ცხოვრება ჩვენთვის საინტერესო წრეებისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფრიად. ამიტომ მე იმედი მაქვს, დრო გამოშვებით შევძლებთ ჩვენი მეგობრული ურთიერთობის პროცესში გავხაზოთ ჩვენი საერთო საქმისათვის დამახასიათებელი მოვლენები და ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი ფიქრები და ზრახვები. რამდენადაც დრო და გარემოება ხელს შემიწყობს, მე ვეცდები სათანადოდ გამოვიყენო აქ ყოფნა მომავალში მუშაობის გასაშლელად. თქვენი რჩევა და მითითებანი ჩემთვის ძვირფასი იქნებოდა.

გთხოვთ პატივისცემით მოიკითხოთ თქვენი ოჯახის წევრები.

ნახვამდის,

მარად თქვენი ერთგული მ. ხუბუა[202]

---

[202] ეს წერილი საინტერესოა იმითაც, რომ აქედან ნათლად ჩანს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორი მნიშვნელობა

(XI) [მაკარ ხუბუას წერილი]

დიდად პატივცემულო იუსტინე!

ჯერ კიდევ დამოუკიდებელი მუშაობის დასაწყის პერიოდშივე ჩემი ყურადღება მიიქცია სამმა საკვანძო პუნქტმა. ესენია: პოეტური ენისა და სტილის საკითხები კლასიკური სპარსულის მონაცემთა მიხედვით, სეფიანთა ეპოქის სასაუბრო სპარსულით გაპოხიერებული ოთხთავების ანალიზი და სპ. მხატვრული პროზის პრობლემასთან დაკავშირებული მოვლენები.

აქედან ჯერჯერობით სამი მონოგრაფიული ნაშრომია ჩემ მიერ შესრულებული. ესენია: 1) პოეტური ენისა და სტილის საკითხისათვის (პირველი ნარკვევი – იბეჭდება), 2) ქართული დამწერლობის სპარსული ხელნაწერები (იბეჭდება) და 3) მხატვრული პროზის პრობლემისათვის უახლეს სპარსულში (დაბეჭდილია).

მაშასადამე, სპარსული ლიტერატურისა და ენის საკითხები ურთიერთ კავშირში მაქვს წარმოდგენილი და ერთ მთლიანობაში ვიხილავ – ძეგლის შექმნის ეპოქასთან დაკავშირებით, სათანადო სოციალურ დაჯგუფებათა ენობრივ მონაცემთა წარმოჩენით და სხვა. ჩემის ღრმა რწმენით, ასეთი მუშაობა მოგვცემს საბოლოო ანგარიშით უტყუარ გასაღებს დღესდღეობით შეუსწავლელ სპ. ლიტერატურულ ეპოქათა შესახებ. ჩემს შტუდიებში მე ვეხები სპარსული ენის მონაცემებს წმინდა აღწერითი საენათმეცნიერო მიზნებით, რომ

ჰქონდა იუსტ. აბულაძის საქმიან აზრს, რჩევასა თუ მითითებას ამა თუ იმ პირისათვის.

შემდეგში გამოყენებულ იქნეს სათანადო ფაქტები ჩვენი ენების მონაცემებით ირანული ენების რიგ მხარეთა გასაშუქებლად. ამ მთავარ მიზნებს ემსახურება სპარსულ დიალექტებზეც წარმოდგენილი მუშაობა (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების I უკვე შეიცავს ცნობას ჩვენი ენების მონაცემებზე სპარსულში).

ბუნებრივია, რომ სპარსული გრამატიკის საკითხები ჩემი შეუნელებელი გულისყურის საგანია სტუდენტებთან (უფროს თაობასთანაც, უმცროს თაობასთანაც) ჩემ მიერ ჩატარებული მუშაობა ამ მხრივ თვალსაჩინოა: ლეილა თუშიშვილმა ჩემთან გაიარა სპ. გრამატიკა და უდიდეს წარმატებას მიაღწია განსაკუთრებით სასემინარო მუშაობის კვალდაკვალ წარმოებულ დაკვირვებათა შედეგად (ქილილა და დამანას სამი ქართული ვერსიის დედანთან შეჯერების ნიადაგზე). გასულ წელს თქვენ თვით ბრძანდებოდით მოწმე პირველი კურსის სტუდენტთა წარმატების დემონსტრაციისა. პედაგოგიური მუშაობის დიდი პრაქტიკა გამივლია მე წელსაც დიდი მიღწევები უნდა მქონოდა, მაგრამ ავადმყოფობამ დამჩაგრა და ამიტომ იმედია თქვენ გაუწევთ ამას ანგარიშს, არ დამჩაგრავთ და დახასიათებას (ხაზი ყველგან ავტორისაა – ნ. მ.) დაწერთ დეკანატში წარსადგენად. კათედრის დავალებებს პირნათლად ვასრულებდი, რასაც მოწმობს ჩემ მიერ დაწერილი რეცენზიები. თუ ჩვენი დარგის სპეციალისტის დაჩაგვრას ვინმე მოინდომებდა, მე შეძლებისამებრ გამომიჩენია აქტიურობა და სიმართლე მითქვამს ყოველთვის, რითაც ცუდი ზრახვები არაერთხელ ჩაფუშულა. მომავალი მუშაობის

შესახებ მე კოტეს[203] მივწერე წერილი და მასთან ერთად განსჯით თქვენ. თქვენ მიერ მოცემული დახასიათება და სხვა საბუთები ხვალ უნდა გადავცე (უკანასკნელი ვადაა).[204]

პატივისცემით მ. ხუბუა
12.VI.40

იუსტინე აბულაძე, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც არ წყვეტდა მასთან საქმიან კავშირს, რაც დასტურდება ერთი საინტერესო წერილითაც.

ვინმე სტუდენტი ვლადიმერ ემუხვარი, რომლის შესახებაც ჩვენ არა ვიცით რა გარდა იმისა, რასაც თვით წერილში ვკითხულობთ, ასეთი შინაარსის წერილს სწერს იუსტ. აბულაძეს 1913 წლის 4 მარტს:

(XII) [ვლადიმერ ემუხვარის წერილი]
4/III 13

ღრმად პატივცემულო ბატონო იუსტინე!

თქვენი წერილი მოსკოვში მივიღე. დიდათ სასიამოვნოა, რომ თქვენ იკისრეთ ჩვენი პატარა წრის მუშაობის ხელმძღვანელობა, ეს საუკეთესო თავდებია იმის, რომ ჩვენ

---

[203] ჩვენი ვარაუდით, აქ იგულისხმება პროფ. კოტე ფაღავა, აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, რომელსაც იუსტ. აბელაძე დიდ პატივს სცემდა და რომელმაც თავის საყვარელ მასწავლებელს სადოქტორო ნაშრომი უძღვნა.

[204] საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძე დიდად აფასებდა მაკარ ხუბუას როგორც სამეცნიერო, ისე მის პედაგოგიურ მოღვაწეობას და ყოველთვის სათანადო დახმარებას უწევდა, თუ კი ამას საქმე მოითხოვდა. ამიტომ სავარაუდოა, რომ არც ამ თხოვნაზე დაიხევდა უკან.

მიერ დაწყებული შრომა შესაფერად დაგვირგვინდება. წრეულს შესრულდა 700 წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოში შოთა რუსთაველის გენიალური ნაწარმოები დაიბადა და თუ მის შესწავლა . . . . . შესაფერ კომენტარის გამოცემით, ეს საუკეთესო ძეგლი იქნება შოთასი ხსოვნის. მე თავი მოუყარე მხოლოდ 5 თავის ლექსიკონს, სამწუხაროდ ერთი შეცდომა შემეპარა: შესავლის ლექსიკონი პირველი თავის ლექსიკონიდან არ არის გამოყოფილი; ნამდვილად კი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყოფილი, ყოველ თავს თავისი ლექსიკონი უნდა ქონდეს და აგრეთვე თავის შინაარსი. საერთოდ მთელი კომენტარი ორი ნაწილისგან უნდა იქმნას შემდგარი: 1) საერთო ისტორიულ-კრიტიკული განხილვა და შინაარსი მთელ ნაწარმოების, 2) ცალკე ნაწარმოების (თავების) შინაარსი და სისტემატიურად შედგენილი ლექსიკონი. ყველა ეს ერთად სისტემატიურად დაწყობილი უნდა იქმნას ცალკე (უტექსტოდ) დაბეჭდილი და გამოცემული. აქ ყველაზე უფრო საძნელო შრომა, ეს საერთო განხილვაა, და ჩემის აზრით ეს შრომა კოლეკტიურ ძალით უნდა იქმნას ასრულებული. საჭიროა მარრის მონაწილეობა. საჭირო იყო აგრეთვე რობაქიძესი მონაწილეობა, მაგრამ სამწუხაროდ მისი ენას სიმარტივე არა აქვს და განყენებული ენით დაწერა კომენტარის რომელიმე ნაწილის ძალიან მავნებელი იქნება. ფილოსოფიური მხარე „ვეფხისტყაოსნის“, ნეოპლატონისტური ელემენტები ნათლად და მარტივი ენით უნდა იქმნას გამოკვეთილი. თუ კი პირველი ნაწილი შედგენილ იქმნა, მაშინ თქვენ შეგიძლიათ თან და თან აძლიოთ საბეჭდავად კომენტარი. მე მგონია ჩვენი შრომა მხოლოდ ნიმუშად ივარგებს თქვენთვის, რადგან თქვენთვის უფრო ადვილია თვითონ შეადგინოთ სისტემატიური ლექსიკონი და შინაარსი, ვიდრე ჩვენ მიერ

ნაცოდვილევი ასსწოროთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ განვაგრძობთ შრომას: და თუ კი თქვენ სცანით, რომ ჩვენი ნამუშევარი თქვენ შრომას გიადვილებსთ, გთხოვთ შემომითვალოთ. მე შემიძლია სანიმუშოთ რომელიმე გერმანელ კლასიკის ნაწარმოების კომენტარი, გერმანულ ენაზე დაწერილი გამოგიგზავნოთ, რომ ასეთი კომენტარის მიხედვით იმუშავოთ. სამწუხაროდ მე ზაფხულში არ შემიძლია საქართველოში ჩამოსვლა და საქმის შესახებ თქვენთან პირადათ მოლაპარაკება, რადგან მარტის დამლევს ლეიპციგს მივემგზავრები. შემოდგომას კვლად დავბრუნდები მოსკოვს და თუ კი მომავალ საშობო დღესასწაულებამდის ბეჭდვა არ დაიწყება, მაშინ მე თვითონ მექნება შეძლება ჩამოვიდე. მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ ბეჭდვის დაწყებამდის გინახულოთ. შეიძლება თქვენ მისწეროთ მარს ამ საქმის თაობაზე და მისცეთ წინადადება, რომ საერთო განხილვისათვის სტატია დასწეროს. ვიმედოვნებ, რომ მიპასუხებთ.

თქვენი პატივისმცემელი,
ვლ. ემუხვარი

ჩემი ადრესი: Москва
Большая Садовая № 13 кв. 13
студенту Владимиру Константиновичу Эмухвари

P. S. რაც უფრო ვრცელი იქნება ლექსიკონი მით უკეთესია.
ვ. ე.

საინტერესოა ცნობილი ირანისტის, პროფ. მაგალი თოდუას წერილი:

მივიღე თქვენი ორი წერილი. ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდე ვერ გიპასუხეთ. აქ არ გახლდით და ორივე წერილი ერად დამხვდა. წიგნის საქმე ასეა – თქვენს მიერ გაკეთებული კორექტურა ლექსიკონისა ჩაუსწორებიათ. მე ხელახლა გადავხედე და ხელახლა გავუკეთე კორექტურა თქვენი შენიშვნების გათვალისწინებით. ასე რომ, ახლა, ვფიქრობ, რედაქტორის ხელმოწერის მეტი არაფერი სჭირდება და პირდაპირ შეიძლება დაიბეჭდოს (აქ ლექსიკონის დაბეჭდვას ჩქარობენ – შრიფტი არ ყოფნით). მაგრამ მე მგონია, თქვენ ჩამოუსწრებთ მის დაბეჭდვას, თვითონაც ნახავთ. გრამატიკა, რაც იყო, აუწყვია და რ. კიკნაძისთვის გადაუცია. კიკნაძე, ალბათ, მალე დააბრუნებს. „თუთი-ნამე“ ნახევარი ფორმაა აწყობილი, ისიც კიკნაძეს ჰქონია. ასე რომ თვითონ ესენი ჩქარობენ, მაგრამ საჭიროა თქვენი და ბარამის[205] აქ ყოფნა. თქვენი ცხრილი ასეთია:

ფილოლოგ. განყ. ორშაბათს 9-11 აუდ. 95 I კორპ.
V ა. ოთხშაბათს 7-9 აუდ. 110 II კორპ.
შაბათს 5-7 აუდ. 104 II კორპ.

კარგად ბრძანდებოდეთ. თქვენი მაგალი თოდუა
25. VIII. 52 წ.

ინტერესს იწვევს ცნობილი ფოლკლორისტის, პროფ. მიხეილ ჩიქოვანის წერილი:

---

[205] ვფიქრობთ, აქ უნდა იყოს ბარამიძე (ე.ი. იგულისხმება ალ. ბარამიძე).

პირადად მინდოდა მესაუბრა თქვენთან, მაგრამ უკანასკნელ დროს ვერ გნახეთ და ამის გამო ბარათით მოგმართავთ, იმედია არ განგვირისხდებით ამ კადნიერებისათვის.

საქმე შეეხება კრებულს „რუსთველი სკოლაში“ რომელსაც განსახკომის პედინსტიტუტი სცემს საიუბილეოდ. ამ კრებულისათვის პირობის თანახმად თქვენ სწერთ წერილს: „რუსთველის ვ.ტ. კვლევის ისტორია“.[206] ეს მეტის მეტად კეთილი და საყურადღებო საქმეა, როგორც მეცნიერული რუსთველოლოგიისათვის, ისე ფართო მასებისათვის. თქვენ ამ საქმეს დიდებულად ყველაზე უკეთ შეასრულებთ. ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული. ახლა საკითხი შეეხება დროს, თუ როდის შეგიძლიათ გადმოგვცეთ ის. თუ მემანქანე არის საჭირო, შეგვიძლია მოგცეთ და უკარნახებთ. ერთი სიტყვით პატ. იუსტინე, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი ხმა ამ საკითხების შესახებ. იქნებ დაგვავალოთ, პატივი სცეთ ინსტიტუტს და წინასწარ საუბარიც ჩაუტაროთ მასწავლებლებთან ამ საკითხზე აქ.

კრებულით ყველა ძლიერ დაინტერესდა. ყოველი დღე მეკითხებიან მის მდგომარეობაზე და ცალ-ცალკე თითოეულ ავტორის შესახებ. ცნობა „ახალგაზრდა კომუნისტში“ და სხვა გაზეთებში უკვე იყო.

---

[206] წერილში ნაგულისხმევია ალბათ, იუსტ. აბულაძის წერილი – „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია“. – კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937, გვ. 196-231.

ბოდიში პატ. იუსტინე, ამ შეწუხებისათვის, მაგრამ იმედია არ გამიწყრებით.

თქვენი პ-ლი მ. ჩიქოვანი
15. IV.37 წ.

იუსტ. აბულაძის მიერ 1910 წელს „სახალხო გაზეთის“ 181 და 184 ნომრებში გამოქვეყნებულ წერილს „მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად მოცემულია სიტყვების – „სოქალის“ და „ჭარმაგოსანის“ ავტორისეული ეტიმოლოგია, გარდა მეცნიერული წრეებისა, უბრალო მკითხველშიაც უპოვია გამოხმაურება.

ამ მხრივ საინტერესოა არქივში დაცული ერთი წერილი, რომელიც იუსტ. აბულაძისათვის გაუგზავნია თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს, ვინმე ალ. ბარნოვს, სადაც ეს უკანასკნელი თავის მოკრძალებულ აზრს უზიარებს მეცნიერს ამ სიტყვების შესახებ.

XIII [ალ. ბარნოვის წერილი]

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ. იუსტინე!

თუმცა მე თქვენ პირადად არ გიცნობთ, მაგრამ მაინც ნებას ვაძლევ ჩემს თავს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ „სოქალისა“ და „ჭარმაგოსანი“-ს შესახებ. შეიძლება თქვენ, როგორც სპეციალისტმა, გამოიყენოთ ჩემი ნათქვამი... „ვეფხვის ტყაოსნისა“ და თქვენი სტატიების მეტი ამ ჟამად ხელთ არაფერი არა მაქვს.

„რა მეფედ დასმა მეფემან ჰბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა.
სთქვა: „ზედაზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
ნუ თუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი ფერგამქრალისა!“

თქვენ ეთანხმებით ბ. დ. კარიჭაშვილს, რომელიც ამბობს: „სოქალის – პატიოსანის ქვის ვსებას (ჩაქრობას, ჩანელებას) აზრი არა აქვს“-ო.

შეიძლება, აქ მოყვანილ ხანაში სიტყვა „ვსებაა“ (ხაზი ყველგან ავტორისაა – ნ. მ.) ჩაქრობას, ჩანელებას – კი არ ჰნიშნავდეს, არამედ გავსებას, შუქის მომატებას და სხ. ხომ ვამბობთ: „მთვარე ვსებაში შევიდა“-ო, როცა ხუთმეტს უახლოვდება ხოლმე და – „კლებაში შევიდაო“, როცა ხუთმეტს გადასცილდება ხოლმე. ჩანელებაზე, ჩაქრობაზე, უბედურებაზე იტყვიან: „დაივსოო“. იმერელს რომ ცუდი რამ საქმე შეემთხვევა, იტყვის – „დევიმსე კაკალი კაციო“. აბა სტრიქონში – „ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჭირს მისო ქალისა“ – ამ ნაირად გავყოთ სიტყვები – მისო (ე. ი. იმ, იმა) ქალისა – და ვიგულისხმოთ პატიოსანი ქვა – კი არა – პირდაპირ ქალი.

თქვენ ბრძანებთ: „ამ ხანით პოეტს უნდა ეთქვა: მას შემდეგ, რაც მეფემ თავისი ქალის მეფედ დასმა ბრძანა, ავთანდილს სიამე მიხვდა და ამიერიდან უნდა გამქრალიყო მისი სიყვარულის სენი – სოქალი, ანუ სიყვითლე – ფერგამქრალობა...“

მე არა მგონია, რომ საყვარლის ზედიზედ ნახვას (მხოლოდ ნახვას) გეექროს სოქალი, სიყვითლე, ფერ-გამქრალობა! აკი წინა ხანაში თითონვე ამბობს პოეტი: „... ნახის, ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულადო“-ო. ავთანდილიც ხომ იჭვშია, რომ მისი (თინათინის) ბროლ-ფიქალის

ზედიზედ ნახვას შეეძლოს უწამლოს მისს ფერგამქრალობას: „ნუ თუ მით ვპოვო წამალი მე ჩემის ფერგამქრალისა!“ აი დაბეჭდილშიც უზის ნიშანი – !

სიტყვა ჭარმაგი (ჭარმაგოსანი) ბევრჯელ გამიგონია. ამ სიტყვას ხმარობენ, როდესაც უნდათ გამოსთქვან ის აზრი, რომ კაცისათვის წლოვანებას თუ რამე დარდს ვერ დაუმჩნევია თავისი დაღიო. ხუთიოდი წლისა ვიქნებოდი, მამა ჩემი ერწოდგან კოდაზე წავიდა პაპას სანახავად. როდესაც დაბრუნდა, დედამ ჰკითხა: როგორ რადმე მოსძლებს ჩემი მამამთილი, ძალიან ხომ არ მოხუცებულაო. – რა დროს იმისი მოხუცებაა! – ჩემზე უფრო ჭარმაგათ არისო. უპასუხა მამაჩემმა.

ასმათმა პირველად ძალიან შეწუხებული ნახა ავთანდილი: რამდენიმე დღის უძილო, მშიერი, ნამტირალევი... არც მეორე ნახვის დროს იყო ავთანდილი უკეთეს მდგომარეობაში. ახლაც ასმათი უფრო შეწუხებული მოელოდდა ავთანდილს, მაგრამ რომ დაინახა ტარიელი და ავთანდილი მეტათ მხიარულნი და ტურფად მომღერალნი – ასმათს ავთანდილი ეჩვენა „ჭარმაგოსნად“, ე. ი. ბევრად უფრო ახალგაზრდად...[207] აბა იფიქრეთ.

---

[207] იუსტინე აბულაძე იზიარებდა სოქალის ტრადიციულ განმარტებას, რომ სოქალი ძვირფასი თვალია (საბა, თეიმურაზ ბატონიშვილი, დ. ჩუბინაშვილი და სხვანი). მაგრამ ყურადღება მიაქცია ვტ-ის ტექსტის კომენტატორის, დ. კარიჭაშვილის, შენიშვნას, რაც სრულიად სამართლიანად მიიჩნია: „სოქალის პატიოსანის ქვის ვსებას (ჩაქრობას, ჩაბნელებას) აზრი არა აქვს...“

მიაქცია რა ამ გარემოებას ყურადღება, მიაკვლია კიდეც მის ნამდვილ მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, ცენკერის თურქულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში ეს სიტყვა მიჩნეული იყო ოსმალურ

ბოდიშს ვიხდი კადნიერებისთვის. მეტი აღარა მცალიან: ბევრი რვეულები მაქვს გასასწორებელი.

თქვენი კალმის პატივისმცემელი ალ. ბარნოვი (მასწ. თელავის სასულიერო სასწავლებლისა).[208]

სიტყვად – *სუქალ*-ად და, თავის მხრივ, ნიშნავდა ავადმყოფს, სუსტს, სნეულს. იქვე იყო ეს სიტყვა განმარტებული სპარსულადაც და ნიშნავდა სიყვითლეს, ყანის ჭიას. აქედან გამომდინარე, იუსტ. აბულაძემ მართებულად მიიჩნია ვტ-ში ხმარებული სიტყვა „სოქალი“ გაგებული ყოფილიყო როგორც სიყვითლე, ან ფერგამქრალობა, ანუ, უკეთ, ფერმიხდილობა.

რაც შეეხება სიტყვა *ჭარმაგოსანს*, იუსტ. აბულაძე პირველ სანებში მას უახლოვებდა სომხურს, სანამ ნ. მარმა არ მიაკვლია ამ სიტყვას სპარსულში ფორმით *ჩარმა*, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა *თეთრს* და ხმარებული იყო თეთრი ცხენის მნიშვნელობით, რომლისგანაც წარმომდგარი ყოფილა სომხური „ჭერმაკიც“... იუსტ. აბულაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ სიტყვა *ჭარმაგი* ქართულ „ვისრამიანში“ ხშირად არის ნახმარი სწორედ იმ აზრით, როგორც მას ცენკერის ლექსიკონი განმარტავს, ე. ი. იგი ნიშნავდა *თეთრ ცხენს*, წინააღმდეგ *რახსისა*, ანუ *შავი ტაიჭისა*.

[208] სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, მისწერა თუ არა იუსტ. აბულაძემ საპასუხო წერილი თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ასეთი საინტერესო წერილის მიმართ მეცნიერი გულგრილი არ დარჩებოდა.

წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის უშუალოდ იუსტ. აბულაძის ზემოთ დასახელებული წერილის გამოქვეყნებისთანავე უნდა დაწერილიყო, ე. ი. 1910-11 წლებში.

***

რამდენიმე საინტერესო წერილის შესახებ აქ მოკლედ მოგახსენებთ: 1910-11 წლებში იუსტ. აბულაძეს ინტენსიური მიმოწერა ჰქონია ლაიფციგის ერთ-ერთი წიგნების მაღაზიის მფლობელსა და ანტიკვართან – კარლ ჰირზემანთან, რომელიც უგზავნიდა მეცნიერს ძირითადად აღმოსავლურ ლიტერატურას (მასში შედიოდა ასევე ევროპელ მეცნიერთა მიერ შედგენილი და გამოცემული აღმოსავლური ენების ლექსიკონები და გრამატიკის სახელმძღვანელოები).

მიმოწერა ჰქონია მეცნიერს აგრეთვე ვარლამ დონდუასთან, აკ. შანიძესთან, სარგ. კაკაბაძესთან, დ. კობიძესთან, მ. დ. სიგორსკისთან, პროფ ალი-ნაზიმთან, რ. სულთანოვთან, პროფ. ვ. ნ. სტოლეტოვთან (ეს უკანასკნელი 1955 წელს საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე იყო), ა. სლოვინსკისა და მრავალ სხვა პიროვნებასთან.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე (საშა) მდივანთან იუსტ. აბულაძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა. გადმოცემით ვიცით, რომ მას თურმე მოგონებებიც ჰქონდა იუსტ. აბულაძეზე, რასაც მისი ერთი მისალოცი დეპეშაც ადასტურებს. ეს დეპეშა ალ. მდივანს გაუგზავნია იუსტ. აბულაძისათვის მისი დაბადებიდან 80 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად 1954 წელს, რომელსაც ის ავადმყოფობის გამო ვერ დასწრებია. ჩვენ, თავის დროზე, მოვიკითხეთ ეს სავარაუდო მოგონებები ალ. მდივნის პირად არქივში, რომელიც მეცნიერის ბინაზე იყო დაცული, მაგრამ, სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღეთ.

XIV [ალ. მდივნის დეპეშა]

„ავადმყოფობამ მომისპო საშუალება შენს იუბილეს დავსწრებოდი, ძმური სალამი მეძღვნა, დიდი მადლობა მეთქვა ბრწყინვალე მეცნიერული ხანგრძლივი შრომისათვის. მინდოდა შენი ახალგაზრდობის მოწმეს აღმედგინა შენი პატივისმცემელთა წინაშე გიმნაზიაში შენი ყოფნა, განსაკუთრებით შენი იქ მუშაობა ამხანაგებისა და მეგობრების წრეებში, ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. მერმე შენი მოღვაწეობა ქართულ გიმნაზიაში, თბილისში და ბევრი სხვა რამ. დღესაც თუმცა ფეხზე ვარ, არ ძალმიძს შენთან ყოფნა, მაგრამ გულით შენთან ვარ როგორც ყოველთვის ჩემო ძვირფასო, საყვარელო მეგობარო. იუსტინე, იყავ ჯანმრთელად და განაგრძე შენი ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა. გისურვებ მზეგრძელობას შენ და შენს სათნო ოჯახს. დიდი მოკითხვა, გულწრფელი სალამი თქვენს მეუღლეს" – ალექსანდრე მდივანი.

ძალზე საინტერესოა თბილისში მცხოვრები ლიტერატორის ა. სლოვინსკის წერილებიც. ამათგან ერთ-ერთმა მიიქცია ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება.

XV [ა. სლოვინსკის წერილი]

Дорогому и многоуважаемому профессору Ю. Абуладзе

Статья дир. А. Дудучава: «О тексте поэмы Ш. Руставели» («Заря Вост.», 2-VI-36)[209] вызвала у меня некоторые размышления:

Из текста его статьи выходит:

1. Ученая Комиссия «в деле установления подлинного текста» «безусловно стала на неправилный путь»; Она изъяла

[209] იხ. გაზ «Заря Востока», № 126 (3843), 2 июня, 1936 г., სათაურით «О тексте поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре». стр. 2

«органическую часть поэмы», – индохатайский рассказ, т. е. следов., испортила (?!) поэму.

2. Комиссия даже не сумела учесть «Элементарной (!!) истины» в отношении метода по определению подлинности строф, и потому (!) «Выкидывала строфы бесспорно (!!!) связанные сюжетом поэмы».
3. Комиссия стала на путь «крайнего субъективизма (!) и ненаучного (?!!) фальшивого (!!) решения текстологической проблемы».
4. Комиссия допустила какие-то «попытки как националистического (!) извращения (?!), так и качественного снижения» (!) поэмы, этого образца классической литературы, или как Вы сами говорите:

«В. ТК.» составляет „სიამაყეს“ грузинского народа.

Поражен такими суждениями директора А. Дудучава!

кто входил состав Комиссии? Знатоки дела, знатоки текста. Достаточно назвать одного Абуладзе, которого так ценил барон Розен.

Абуладзе – не со вчерашнего дня ученый. В 1909 г. он был уже знатоком «В. ТК».

профессора – Кекелидзе, Шанидзе, Беридзе, доцент Иорданишвили: все это – силы...

В свое время Вы боролись и против настроений ненаучного свойства. Баролись против русских патриотов, которые говорили, что «В. ТК», это – простая арабская сказка [მტკნარი ზღაპარი].

Но Вы боролись и против «гневных ქართული მამულიშვილები», против узко-воинственно-патриотического характера.

Вы знали и период (60-ые г.г. XIX ст.) чисто-националистической постановки о происхождении сюжета поэмы.

. . . К Вам ли предъявлять такие обвинения, какие выставил А. Дудучава?! И каков авторитет дир. А. Д-ва в научной сфере? – в сфере изучения текста поэмы?.

Если это – академик, европейски известный მეცნიერი, как Вы называете акад. Марра, тогда как будто бы было какое-то право... Но академик, ученый авторитет, совершенно иначе построил бы статью, иначе аргументировал бы свои суждения и к положениям Ученой Комиссии, – допустим, – неприемлемым отнесся бы с изящным тактом, в тоне уважения. –

Душевно желаю Вам дальнейших успехов в Ваших, по-истине ученых трудах. –

С товарищ. приветом –

А. Словинский

4/VI-36

Николадзе 4

P. S. Все это я охотно высказал бы в самом широком общественном или научном собрании. –

А. С.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი წერილი, რომელიც საარქივო სამმართველოდან არის გაგზავნილი და რომელშიც ნათლად იკვეთება იუსტ აბულაძის როგორც სპარსული ენის სპეციალისტის კომპეტენტურობა:

დ˜დ პატივცემულო ბ-ნო იუსტინე!

საარქივო სამართველო (ყოფ. ცენტრარქივი) აპირობს შეიძინოს კერძო პირისაგან სპარსულ ხელნაწერების კოლექცია. ეს კოლექცია უკვე მოტანილია არქივში. მაგრამ არქივს ამ ჟამად არავინ ჰყავს სპარსულის სპეციალისტი, რომელსაც

შეეძლოს ხელნაწერების მნიშვნელობის და ღირებულების გამორკვევა. ამის გამო, ადმინისტრაციის დავალებით, გთხოვთ შემობრძანდეთ არქივში, რომელ საათებშიც დრო და მოცალეობა გქონდეთ, და გადასინჯოთ ხსენებული კოლექცია. ძალიან კარგი იქნება, თუ მოახერხებთ უახლოეს დროში მობრძანებას, რადგან საქმე საშურია.

პატი-ით შალვა ჩხეტია
18. XII. 44

P.S. არქივში იკითხავთ მმართველის მოადგილეს ამხ.მაღლაკელიძეს, რომელიც საქმის კურსშია.

მისამართი: ლენინის ქ. № 48, ტელეფონი 3-08-66.



დაიწყო ბეჭდვა და მიიღება ხელის მოწერა
შოთა რუსთველის
„ვეფხის ტყაოსან“-ზე

ეს წიგნი იქნება საიუბილეო გამოცემა ოცტომი ამ ეპოქის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე და დართული გქნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ცდილება წიგნი დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიაწოდოს საზოგადოებასა და ჭეშმარიტს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის საამაყებელი მგოსნის შესასწავლად.

წიგნი იბეჭდება ორ ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უკეთო და ცოტა ნაკლები ტირაჟით და 2) ქვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით—ორი ათასი.

ვინც კვირა-ივნებამდე და 10 აგვისტომდე გადგეყრება, იმას ერთი წიგნი, კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.

ამ დანწესებულებათა და კერძო პირთაც, რომელნიც მოითხოვენ კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაეისაღებენ, მას მიეცემა ანგარიში 15 აგვისტოს.

იქნება გვაქვს დაბეჭდვის გადვიწყვეთ ამ გამოცემაზე ხელის მოწერის გაჩერებით და ფულის შეკრებით.

იმედია თუ არა ამ თხოვნის შესრულებას, იმედი გვაქვს, ამასთანავე წარმოდგენილის დანტესით ბანაბით შეგვატყობინებთ, რასაც მხოლოდ 2 კაპ. ჯარეა სჭირია.

საქმის წარმოებელი: [illegible]

Типография Тифлисъ—Авлабаръ (Кайдаровская № 29. Собственникъ, Юстину Иоаквеевичъ Абуладзе.

არქივში მიკვლეული ეს დოკუმენტი, რომელსაც ლამაზი ლოგო აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის დათარიღებული, გვამცნობს, რომ დაიწყო ბეჭდვა და ხელის მოწერა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო

გამოცემაზე, რომლის რედაქტორიც იქნება იუსტინე აბულაძე. წიგნს თავში დაერთვება ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელი ლექსიკონი. გამომცემელი ამხანაგობა – „მწიგნობრული ქვეყანა“, რომელიც მდებარეობდა თბილისში, თეატრ. ჩასახვევის შვიდ ნომერში, სთხოვს იუსტ. აბულაძეს, რომ დახმარება გაუწიოს ამ გამოცემაზე ხელის მოწერის გამართვითა და ფულის შეკრებით.

მოვლენების შემდეგი განვითარება, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია.

* * *

იუსტ. აბულაძის პირადი წერილებიდან კიდევ ერთხელ თვალნათლივ იკვეთება სახელოვანი მეცნიერის მაღალმოქალაქეობრივი მრწამსი.

ღრმა პატივისცემითა და სიმპათიებით იხსენიებს იუსტ. აბულაძე თავის წერილებში გ. ლეონიძეს, თსუ-ს ერთ-ერთ რექტორს გ. კიკნაძესა და გ. თავზიშვილს.

დიდი ადამიანური სითბოთია გამსჭვალული იუსტ. აბულაძის წერილები მიწერილი მეუღლისადმი და ახლობლებისადმი.

აღფრთოვანებითა და ჭეშმარიტი პატრიოტული მგზნებარებით ხვდებოდა მეცნიერი ჩვენს სინამდვილეში მომხდარ ყველა საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენას, იქნებოდა ეს ქართული უნივერსიტეტის დაარსება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის შექმნა, თუ მრავალი სხვა ქვეყნის სასიკეთო საქმის განხორციელება.

„შეეცადე აღასრულო შენი ვალი და მაშინ გაიგებ საკუთარი თავის ფასს“, – წერდა გოეთე.

სწორედ იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება იუსტ. აბულაძე, რომლებმაც პირნათლად აღასრულეს თავიანთი ვალი ქართული მეცნიერებისა და ქვეყნის წინაშე და საკუთარი თავის ფასიც ჩინებულად იცოდნენ, ხოლო მათ პიროვნებას კი უპირველესად მათი საქმენი წარმოაჩენენ. ამიტომაც მათი ღვაწლი მათივე ნამუშაკევით ფასდება.

იუსტინე აბულაძის შრომების ბიბლიოგრაფია[210]

(შევსებული ვარიანტი)

1901

1. ქართული მატიანის ძველი სომხურის თარგმანის გამო. – „მოგზაური", 1901, № 4, გვ. 317-327.

[Древне-армянский перевод грузинской летописи].

2. Жизнь и труды св. Ефимия Афонского. – Кавказский Вестник, Тифлис, 1901, № 7, стр. 1-5.

1902

3. რეც.: ხუნდაძე სილოვან, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901 წ. – „მოგზაური", 1902, № 6, გვ. 394-398; № 7-8, გვ. 494-496.

[Рецензия на книгу Хундадзе С. – Грамматика грузинского языка].

1903

4. ქართული გერბი (სპილენძის ლორფინის გამო). – „საქართველოს კალენდარი", 1903, გვ. 384-390.

[Описание государственного герба Вахтанга VI].

5. „ვეფხის-ტყაოსნის" შესწავლის გამო. – გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903, № 2292, № 2293.

1907

6. რეც.: ქართული გრამატიკა მოსე ჯანაშვილისა, ტფილისი, 1906 წ. – გაზ. „ისარი", 1907, № 5, 6, 8, 10,11.

---

[210]**ალისა აბულაძე, ემა ღოლოძე,** იუსტინე აბულაძის შრომების ბიბლიოგრაფია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, 1964, 23-29; **გურამ თოფურია,** იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2016.

7. წერილი რედაქციის მიმართ [ამ წერილში გასწორებულია ზოგიერთი შეცდომა, გაპარული მის წერილში მ. ჯანაშვილის გრამატიკის შესახებ]. – გაზ. „ისარი", № 98, 1907, 8 მაისი, გვ. 3.

1909

8. XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი" (წაკითხულია საზოგადო კრებაზე 1908 წ. 21/II). – „ძველი საქართველო", 1909, ტ. I, გვ. 69-112 .
[Характер грузинской литературы XII века и поэма Руставели „Витязь в тигровой шкуре"].

9. რეფერატი „ვეფხის-ტყაოსანზე". – „ძველი საქართველო", 1909, ტ. I, განყ. VI, გვ. 17-20.
[Доклад о Вепхисткаосани].

10. პროფესორ მარრის საინტერესო მოგზაურობა. – გაზ. „დროება" 1909, № 31.

11. „ვეფხის-ტყაოსნის" ლექსიკონი (დამატება სტატიისა „XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი") – „ძველი საქართველო", ტ. II, განყ. II, ტფ. 1909, გვ. 113-194.
[Словарь „Вепхисткаосани" (приложение статьи „Характер грузинской литературы XII века и поэма Руставели «Витязь в тигровой шкуре»)].

1910

12. კიდევ „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ. – გაზ. „დროება", 1910, № 81, 82.

13. მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო. – „სახალხო გაზეთი", 1910, № 181, № 184, № 192.

14. Н.Я. Марр, Яфетическое происхождение армянского слова **мардарец** «пророк», Изв. Имп. АН (=ИИАН), VI серия,

№17, С-Пб; 1909, с. 1153-1158. გაზ. „დროება“, 1910, № 55, ხუთშაბათი, 11 მარტი, გვ. 4.

15. Н.Я. Марр, Яфетический у в армянском языеке, Зап. Отд. Имп. Русского Археол. Общ-ва, т. XIX, 1910, С.Петербург; გაზ. „დროება“, 1910, № 56, პარასკევი, 12 მარტი, გვ. 4.

1911

16. ექსკურსია ანის მიდამოებში... – გაზ. „თემი“, 1911, № 24.

17. კიდევ ბ. ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო. – „სახალხო გაზეთი“, 1911, № 209, 210, 212 .

18. რეც.: ს. რ. გორგაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1910. – „სახალხო გაზეთი“, 1911, № 300.

19. ვინ არის მართალი? (სიტყვების – *მამაკაცისა* და *დედაკაცის* მნიშვნელობისა და ხმარების შესახებ). – „სახალხო გაზეთი“, 1911, № 299, 11 მაისი.

1912

20. კურთხევანის დაბეჭდვის გამო. ბ. ბ. კეთილის მოსურნის, ალ. ხახანაშვილის და სხვ. წერილების პასუხად. ტექსტის ბოლოს: თავმჯდომარე კომისიისა არქიმანდრიტი პიროსი. წევრნი: კ. ცინცაძე, კ. კეკელიძე, იუს. აბულაძე. – „განათლება“, 1912, № 2, გვ. 147-155 (არის ცალკე ამონაბეჭდიც).

[По поводу печатания Требника. В ответ А. Хаханашвили и др.].

1913

21. ბარამ-გურიანი (მ. ა. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ). – „სახალხო გაზეთი“, 1913, № 818.

22. ს. კაკაბაძის რეფერატის გამო. – „სახალხო გაზეთი“, 1913, № 884.

23. პასუხის ნაცვლად ჯორჯიკიას პოლემიკის გამო. – გაზ. „იმერეთი", 1913, № 120, № 122.

24. „ბარამ-გულიჯანიანი" და რუსთველის პოეტური შემოქმედება. – „ძველი საქართველო", 1913-1914, ტ. III, გვ. 46-48.

[«Барамгулиджаниани» и поэтическое творчество Ш. Руставели].

25. რეც.: დეკ. მარკოზ ტყემალაძე. ხმა მწყემსისა (მოძღვრებანი და სიტყვანი). – „შინაური საქმეები", 1913, № 9, გვ. 15-16.

1914

26. XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი", როგორც დროის მიმართულების უძლიერესი გამომხატველი. წიგნში: საქართველოს საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები. წლიური ანგარიშები, სარევიზიო კომისიის აქტები, შემომწირველთა და წევრთა სიები 1907-1912 წლებისა, ტფ., 1914, გვ. 17- 20.

[Характер грузинской литературы XII века и поэма Руставели «Витязь в тигровой шкуре», как сильнейшее отражение течения времени].

27. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამოკვლევითა და ლექსიკონით, ტფ., 1914 .

[Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре» (1914)].

28. შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ, კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით, ტფ., 1914.

[Заметки, исправления и дополнения к изданию текста «Витязь в тигровой шкуре» (1914)].

29. ბ-ნ ს. კაკაბაძის წერილის გამო. – გაზ. „იმერეთი", 1914, № 130, № 131.

1915

30. სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად, ტფ., 1915. ქართული ლექსიკონის შესახებ [ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და სხვათა თანაავტორობით].
[К вопросу о составлении полного грузинского словаря].

1916

31. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ოუსტინე აბულაძემ, ტ. I, თბ.,1916 .
[Грузинские Версии Шах-наме, т. I]

32. ზოგიერთი შესწორება „შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიათა ტექსტის შესახებ (მკითხველთა საყურადღებოდ). – გაზ. „საქართველო", 1916, № 286.

1917

33. ნაწყვეტები წერილებიდან „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. ვახტანგის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" რედაქცია. – „განათლება", 1917, № 4-5, გვ. 262-278.
[Редакция поэмы «Витязь в тигровой шкуре» Ш. Руставели, завещанная царем Вахтангом VI]

34. ნაწყვეტები წერილებიდან რუსთველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ პოეტის მაჰმადიანობის გამო (შენიშვნები ნ. მარის წერილზე). – გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917, № 869 .

35. ნ. მარის ლექცია ბაქოში რუსთაველის შესახებ. – გაზ. „სახალხო ფურცელი", თბ., 1917, № 869.

1920

36. შესწორებანი და შენიშვნანი „ვეფხისტყაოსნის" 22-ე გამოცემის შესახებ პოემის შესავლის კრიტიკული ტექსტით. ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" რედაქცია. მეორე სერია,

გადმობეჭდილია 1917 წ. ჟურნ. „განათლების“ აპრილის ნომერში მოთავსებული წერილიდან შესწორებულად და შევსებულად. ტფ., 1920.

[Редакция поэмы «Витязь в тигровой шкуре» Ш. Руставели, завещанная царем Вахтангом VI, исправленное и дополненное (в отд. книжке)].

1922

37. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენების შესახებ „ვეფხისტყაოსანზე“. – გაზ. „კომუნისტი“, 1922, № 135.

1923

38. XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, ლექსიკონითა და წერილებით: პოემის ხალხურობის, ძეგლის კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალ გამოცემათა შესახებ. თბ.,1923.

[Грузинская светская литература и «Витязь в тигровой шкуре» Ш. Руставели со словарем и статьями: о народности поэмы, о результатах исследования и о новых изданиях текста].

39. ვაჟა-ფშაველა, ტ. I. ლექსები, ს. აბაშელის რედაქციით, ტფ., 1922; გაზ. „კომუნისტი“, 1923, №№ 185-186, 14-15 აგვისტო, გვ. 3 (ორივე ნომერში).

1924

40. რეც.: პროფ. კორნ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. ძველი მწერლობა. ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტფ., 1923 წ. – გაზ. „ქართული სიტყვა“, 1924, № 16, № 18, № 19.

41. ომარ ხაიამის რუბაიების ქართული თარგმანი. – „კავკასიონი“,1924, №1.

42. ვ.მ. მალინინი, ქვეყნიერების ისტორია, თარგმანი ილია აგლაძის, გაზ. „მუშა“, 1924, 15 მაისი, №444, გვ. 5.

1926

43. შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. 26-ე გამოცემა, ი. აბულაძის რედაქტორობით. ტექსტი ახლად შეიმუშავა, ვრცელი წინასიტყვაობა ვარიანტებით და ლექსიკონი საძიებლით დაურთო და მეორედ გამოსცა ი. აბულაძემ. ტფ., 1926.
[26-е издание (II издание под. ред. Ю. Абуладзе) текста поэмы «Витязь в тигровой шкуре» Ш. Руставели].

1928

44. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ნაწ. I, ტფ., 1928.
[Русско-грузисний словарь]

1934

45. რუსთაველი თუ რუსთველი. – გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 247.
46. რედ.: ფირდოუსი, აბულ-ყასიმ ტუსელი. შაჰ-ნამე. ქართული ვერსიები, ტ. II. ფირდოუსის დაბადების ათასი წლის თავზე. ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა (იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და აკ. შანიძის რედ.), 1934.
[Ред.: Фирдоуси Абул-Касым, Шах-наме. Грузинские Версии. т. II, совместно с. др.].
47. აბულ-ყასიმ ფირდოუსი, შაჰ-ნამე, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, ტ. II, თბ.,1934 .
[Абул-Касим Фирдоуси, Шах-намэ, грузинские версии, т. II.
48. შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების II ტომის ლექსიკონი (გამოცემას ახლავს), 1934.
[Словар к тексту грузинских версиий Шах-наме].
49. ტერმინი „გურჯის“ ეტიმოლოგიისათვის. – „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934, გვ. 293-300.

[К этимологии термина «Гурджи»].

50. სპარსეთის ხალხის სიამაყე, ფირდოუსის ათასი წლის იუბილე, გაზ. „კოლექტივიზაცია“, 1934, №212, გვ. 3.

1935

51. როგორ უნდა გავიგოთ „შოთა კუპრი“. – გაზ. „კომუნისტი“. 1935, № 37.

52. „ვისრამიანის“ ტექსტისათვის. – „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ტ. 1, ტფ., 1935, გვ. 270-297.
[К тексту «Висрамиани»].

1936

53. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის. თბ. სახემწ. უნივერსიტეტის შრ., ტ. I, 1936, გვ. 141-150.
[К вопросу о сюжете поэмы «Витязь в тигровой шкуре»]

54. „ვეფხისტყაოსნის“ ორი უმთავრესი გმირის სახელის – „ტარიელ“ და „ავთანდილ“ ეტიმოლოგიისათვის. თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრ., ტ. III, 1936, გვ. 182-184.
[К этимологии имен двух главных героев «Вепхисткаосани»].

55. სახელის „სასან“-ის ეტიმოლოგიისათვის. თბ. სახელმწ. უნივ. შრ., ტ. V, 1936, გვ. 265-268.
[К етимологии слова «Сасан»].

56. „ვისრამიანის“ შესახებ. – „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 1-2, გვ. 71-82.
[О грузинском переводном романе XII века «Висрамиани»].

57. „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხისათვის. – „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 3, გვ. 31-35.
[К вопросу о происхождении «Амирандареджаниани»].

58. სადაა სიყალბის სათავე (პასუხად კ. ჭიჭინაძეს). – გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 14.

59. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ვითარება ვახტანგის რედაქციასთან დაკავშირებით. – „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 7-8, გვ. 55-62.

[Как обстоит дело установления текста поэмы «Витязь в тигровой шкуре» в связи с редакцией Вахтанга VI].

60. „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი უნიკუმის აშკარა კვალი. – „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 11-12, გვ. 33-41.

[Явный след единственного древнейшего уникума рукописи поэмы «Витязь в тигровой шкуре»].

61. „ვისრამიანის“ ახალი ირანული გამოცემა. – „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 11-12, გვ. 41-45.

[Новое персидское издание романа «Висо Рамин»].

62. არაბულ-სპარსული ლექსიკონი. კარაბადინს ერთვის, თბ., 1936.

[Словарь арабско-персидских терминов].

63. ძველი ლიტერატურული ძეგლი („შვიდი მთიები“ – „ბარამ გური“). – „მნათობი“, 1936, № 10-11, გვ. 240-255.

64. ირანული ენის გრამატიკა (ქრესტომათიით და ლექსიკონით), თბ., 1936.

[Грамматика персидского языка с хрестоматией и словарем].

1937

65. რედ.: რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემა, 1937 (ალ. ბარამიძის, ვ. ბერიძის, პ. ინგოროყვას, ს. იორდანიშვილის, ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის და კ. ჭიჭინაძის თანარედაქტორობით).

[Ред.: Руставели. Вепхисткаосани. Юбил. изд. Тбилисского государственного университета].

66. ვეფხისტყაოსნის ვრცელი ლექსიკონი საკუთარი სახელებითა და გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ტერმინებით (საიუბილეო გამოცემას ერთვის), 1937.

[Пространный словарь с указателем собственных имен, лиц, географических и этнограф. терминов к тексту юбилейного изд. поэмы Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре»].

67. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი (თან ერთვის 1937 წლის გამოცემას, სახელგამი), გვ. 349-399.

[Словарь „Вепхисткаосани“].

68. შოთა რუსთაველი. – საბჭოთა ხელოვნება, 1937, № 6, გვ. 41-55.

[Шота Руставели].

69. „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია. – კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937, გვ. 196-231.

[История изучения „Вепхисткаосани“ и его автора].

1938

70. შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი (საიუბილეო კრებული), ტფ., 1938, გვ. 81-84.

[Шота Руставели и его поэма «Витязь в тигровой шкуре»].

71. როგორ უნდა გავიგოთ საბას განმარტება სარატანის შესახებ? (ვუკ. ბერიძის ჩემდამი მომართული ერთი შენიშვნის გამო). – თბ. სახელმწ. უნივ. შრ., 1938, VI ტ., გვ. 358-363.

[О зодиакальном знаке Саратан в поэме Руставели «Витязь в тигровой шкуре»].

72. ვისრამიანის ლექსიკონი, ერთვის II გამოცემას, რომელიც ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედ. და შესავალი წერილით დაიბეჭდა, თბ. 1938.

[Пространный словарь к тексту II-го издания «Висрамиани»].

73. არაბულ-სპარსული ტერმინების ლექსიკონი, ერთვის კარაბადინის II ტომის ტექსტს, თბ., 1938.

[Словар арабско-персидских терминов, приложенный к тексту II-го тома Карабадини].

1939

74. „ვისრამიანის" საკითხისათვის. – „საბჭოთა ხელოვნება", 1939, № 3, გვ. 70-77.
[К тексту грузинского перевода персидского романа „Висо Рамин"].

75. ირანული თეატრის დასაწყისი. – „საბჭოთა ხელოვნება", თბ., 1939, № 5, გვ. 13-16.
[У истоков персидксого театра].

76. „დავით სასუნელი" და ქართული ეპოსი. – საიუბილეო კრებული: დავით სასუნელი, თბ., 1939, გვ. 63-68.
[«Давид Сасунский» и грузинский эпос].

77. შესანიშნავი ეპოსი (დავით სასუნელის შესახებ). – „საბჭოთა ხელოვნება", თბ., 1939, № 9, გვ. 18-20.
[Замечательный эпос (о Давиде Сасунском)].

78. რუსთაველის მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიური აზროვნების წყარო. – „საბჭოთა ხელოვნება", 1939, № 12, გვ. 50-53.
[Источник мировоззрения и философского мышления Руставели].

79. სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის (ბაბოთი, ბაგინეთი, ოზურგეთი). – თბ. უნივ. შრ., ტ. X, 1939, გვ. 279-281.
[К этимологии трех географических названий (Баботи, Багинети, Озургети)].

1940

80. „ამირანდარეჯანიანის" და „ვეფხისტყაოსნის" წარმოშობის ისტორიისათვის [თეზისები]. – თსუ სამეცნიერო სესია, 1940, 7-11 მაისი, თბ., 1940., 182 გვ.
[К вопросу о происхождении „Амирандареджаниани" и „Вепхисткаосани"].

81. არაბულ-სპარსული ტერმინების ლექსიკონი. კარაბადინის III ტომს ერთვის („უსწორო კარაბადინი"), თბ., 1940.
[Словарь арабско-персидских терминов, приложенный к тексту III тома Карабадини].

1941

82. Новый перевод поэмы Руставели. – Газ. „Правда", 1941 г., № 71 (8479).

1942

83. „ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის განმარტებისათვის („მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ ღამესა მომთენაროსა"). – თბ. უნივ. შრ., XXV, 1942, გვ. 145-146.
[К толкованию одного стиха „Витязя в тигровой шкуре"].

84. ქართული ენის წარმოშობის ისტორიისათვის. – თსუ სამეცნიერო სესია, 1942, 9-15. IV, თეზ., 1942, გვ. 89.
[К истории происхождения грузинского языка].

1944

85. „მზიანი ღამე" და „ცათა კულტი" ვეფხისტყაოსანში. – გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1944, № 17.

86. წერილი რედაქციის მიმართ („მცირე შენიშვნის" გამო). – გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1944, № 23.

1945

87. ავთანდილის ეტიმოლოგიისათვის. – გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1945, № 2.

88. სპარსულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან („ჩუნჩერახის" ეტიმოლოგიისათვის). – თსუ სამეცნიერო სესია, თეზისი, 1945 (11–16. v), გვ. 35-36.

[из персидско-грузысних лексических взаимоотношений: к этимологии термина „Cunceraxi"].

1946

89. რეც.: „ვისრამიანი". ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ტფ., 1938. – თბ. უნივ. შრ., ტ. XXVII, 1946, გვ. 87-100.
[Рец.: «Висрамиани» – под ред. Ал. Барамидзе, П. Ингороква и К. Кекелидзе].

1947

90. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. I (V-XII საუკ.), იუსტინე აბულაძის მოკლე მიმოხილვით: „ქართული მწერლობა მეხუთიდან მეცამეტე საუკუნემდე" – რედაქ. ია ეკალაძე. ტფ.- ქუთ., 1947.
[Грузинская литература с V до XIII в.].

1951

91. „ვეფხისტყაოსნის" ერთი ტრადიციული ადგილის შესწორების გამო. – თბ. უნივ. შრ., ტ. 45, 1951, გვ. 283-284 .
[По поводу одного места текста поэмы «Витязь в тигровой шкуре»].
92. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, ერთვის 1951 წლის გამოცემას, გვ. 347-397.
[Словарь к тексту поэмы Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре»].

1953

93. სპარსული ენის სახელმძღვანელო (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბ.,1953., X, 265 გვ.
[Учебник персидского языка].

1954

94. „შაჰ-ნამეს“ ქართული ლექსითი ვერსიების წარმოშობის ისტორიისათვის. – თბ. უნივ. შრომები, ტ. 53, 1954, გვ. 217-224.
[К истории происхождениия прузинских стихотворных версий «Шах-наме»].

1956

95. ერთი რეცენზიის გამო. – გაზ. „სახალხო განათლება“, 1956, № 9.

1957

96. შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის გამო. – „ლიტერატურული გაზეთი“ 1957, № 31.

1958

97. გადამწერის ერთი შეცდომის გამო. – „ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 2.

1959

98. „ვერ კაენ“ თუ „ვერ რამინ“ („ვეფხისტყაოსნიდან“). – „ლიტერატურული ძიებანი“, XII, 1959, გვ. 229-234.
[„ვერ კაენ“ или „ვერ რამინ“].

1962

99. რეც.: დავით კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959, 284 გვ. – თბ. უნივ. შრ., ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 343-352.
[Рецензия на книгу Д. Кобидзе: Персидксие источники прузинских версий Шах-наме].

იუსტინე აბულაძე

ფოტოსურათებში[211]

[211] მადლობას ვუხდით ფოტოსურათების მოწოდებისათვის იუსტინე აბულაძის შვილიშვილებს – იუზა და მარინა აბულაძეებს, ცისანა აბულაძეს და თსუ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის დოქტორს ალექსანდრე მარუაშვილს. ასევე დიდი მადლობა მარიკა ჯიქიას, თავად აკად. სერგი ჯიქიას მიერ გადაღებული იური მარის ფოტოსურათის მოწოდებისათვის. მადლიერი ვართ აღმოსავლეთმცოდნე ნიკოლოზ ნახუცრიშვილის, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია იური მარის წერილების სპარსული ტექსტების დაზუსტებაში.



იუსტ. აბულაძე – პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს



მამა – ირაკლი გიორგის ძე აბულაძე



ახალგაზრდობაში




მეუღლე – ნინო მაქსიმეს
ასული აბულაძე („ნინიჩკა“)



იუსტ. აბულაძე – 1900 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული



ნინო მაქსიმეს ასული აბულაძე



იუსტ. აბელაძის ვაჟიშვილები – ვიქტორი, ვასილი და ვალიკო



ვასილ აბულაძე



ვალერიან (ვალიკო)აბულაძე



ვიქტორ აბულაძე მეუღლესთან ერთად



ალისა აბულაძე (ქალიშვილი)



ვანდა აბულაძე (ქალიშვილი)



იუზა აბულაძე (შვილიშვილი)



თამაზ აბულაძე
(შვილიშვილი)



შვილიშვილი მარიამ აბულაძე და
შვილთაშვილი ციალა ხვედელიანი
(ნატალია აბულაძის შვილი)



მარცხნიდან: ცისანა აბულაძე, ქეთევან საყვარელიძე (რძალი), ელიზავეტა მიხეილის ასული ქუთათელაძე-სკრიაბინა, ვალერიან აბულაძე (შვილი), მარიამ აბულაძე (შვილიშვილი), ანა (სკრიაბინის რძალი) და იუსტ. აბულაძე, თბ., 1958 წ., აგვისტო



მარჯვნიდან: კონსტანტინე „კოტიკო“ აბულაძე (იუსტინეს ძმისშვილი), სკრიაბინის მეუღლე – ელიზავეტა (ლიზა) ქუთათელაძე, კონსტანტინე ივანეს ძე სკრიაბინი – ბიოლოგი, გინმენტოლოგი, მსოფლიო დონის მეცნიერი, სსრკ აკადემიის აკადემიკოსი (ნინო აბულაძის მამიდაშვილის ქმარი), ბოლო მამაკაცი უცნობია



მარცხნიდან: იუსტ. აბულაძე, შალვა ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, ?, აკაკი შანიძე, რევაზ ნათაძე, გიორგი ჩუბინაშვილი



იუსტინე აბულაძე



ხანდაზმულობაში



დიდებულ პატივცემულო და ძვირფასო
ი. ჯუსტინე ორაკელიან ძევ!

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირიველ მასწავლებლებში, პატარასტში და სტუდენტებში გიდასტრებთ აქვსთ თოხმოცი წელიწადის დასაც და სამეცნიერო-შემდგომ გიორგი მოღვაწეობის **50** წელიწადის. გიორგებთ ჭანჭიბონდასა და მრავალეულოვან საყოველთაო მეშაობას.

ჩვენ, თქვენი უსტრანი გიდასტრები და მოსწავლეები ამაყით აღვნიშნავთ ამ დიდ დაბეჭდს. თამეულებ მაგისტრი უნივერსიტეტის ცხოვრებაში და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიაში- განსაკუთრებულ ადგილს.

აღვნიშნავთ იქნის დაშინაურების გიდების მოშენებას და ქართული ისტორიის ფაკულტეტებში, ფილოლოგიის შენობის, ენისმეცნიერების და სხვა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტების ქართული ენის ენისების გამოცემას და გვიდების ადგილზე.


აღვნიშნავთ იქნის ამაყ კლასიკური ქართული ლიტერატურის გიდების, გიდაგიდებით ისტორიული ფაკულტეტის ფილოლოგიის, ლექსიკოლოგიის ადგილზე, რომელიც ენისმეცნიერების და ენისების ისტორიის საყვარელი შემდგომის.

ვაშა, ჩვენს ძვირფასსა და საყვარელს
ი. ჯუსტინე ორაკელიან ძეს!

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

მაისის **7**, **1954** წ
თბილისი

საიუბილეო მისალოცი ადრესი – დაბადებიდან 80 წლის და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის.



ექვთიმე თაყაიშვილი – იუსტ. აბულაძის თანამოაზრე და მეგობარი



ნიკო მარის ეს პორტრეტი იუსტ. აბულაძეს ეკიდა თავის სამუშაო კაბინეტში



მარცხნიდან: შოთა ძიძიგური, სერგი ჯიქია, მასწ. ცინცაძე, იოსებ მეგრელიძე, ევგენი ხარაძე, ?, ზის: იური მარი აბასთუმანი. 1932 წ.



იუსტ. აბულაძე და ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე მაგალი თოდუა





იუსტ. აბულაძის შარჟი შესრულებული მაგალი თოდუას მიერ



პირველ რიგში, მარცხნიდან: 1.?, 2. გრიგოლ ნათაძე, 3.?, აკაკი შანიძე, 5.?, 6. ივანე ჯავახიშვილი, 7.?, 8. ალექსანდრე ჯავახიშვილი, 9. დიმიტრი უზნაძე; მეორე რიგში, მარჯვნიდან: 1. გიორგი ახვლედიანი; მესამე რიგში, მარცხნიდან: იუსტინე აბულაძე, გვერდით მეორე მიხეილ ზანდუკელი?, მესამე რიგში მარჯვნიდან მესამე სიმონ ყაუხჩიშვილი; მეოთხე რიგში პირველი მარჯვნიდან ვარლამ თოფურია და მის გვერდით სიმონ ჯანაშია



100

308

იუსტინე აბულაძის
სახელობის აუდიტორია

IUSTINE ABULADZE ROOM

იუსტინე აბულაძის აუდიტორია გაიხსნა 2011 წლის 23 დეკემბერს,
თსუ-ს I კორპ. მე-3 სართული



თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი აკად. ვლადიმერ პაპავა 2015 წლის 18 ნოემბერს,
როდესაც იუსტინე აბულაძის ნეშტი დიდუბის პანთეონიდან
გადმოასვენეს უნივერსიტეტის ეზოში.



საფლავის კურთხევა



თსუ-ს ირანისტიკის კათედრის ღონისძიება მიძღვნილი იუსტე აბულაძის დაბადებიდან 145-ე წლისთავისადმი (17.04.2019). ესწრებიან მეცნიერის შვილიშვილები, შვილთაშვილები, კათედრის თანამშრომლები და ირანის საელჩოს წარმომადგენლები. წინა პლანზე ჩანს საფლავის ქვა წარწერით: „აქ უნდა დაიდგას უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის იუსტე აბულაძის ძეგლი“.



მარჯვნიდან: პროფ. ცისანა აბულძე (იუსტ. აბულაძის ცოლის ძმისშვილი), ირანის საელჩოს წარმომადგენელი და თსუ-ს ირანისტიკის კათედრის გამგე თეა შურღაია

სარჩევი

1. ბიოგრაფიული ეტიუდი..... 3

2. მოღვაწეობა სხვადასხვა საზოგადოებასა და კომისიაში ...36

3. ქართული უნივერსიტეტის სათავეებთან 44

4. სამეცნიერო მოღვაწეობა.....74

5. ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან.....138

იუსტინე აბულაძის შრომების ბიბლიოგრაფია
(შევსებული) 173

იუსტინე აბულაძე ფოტოსურათებში 187